საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივნისი **სამშაბათი** 2011

№ 131 (13428) ფასი 60 თეთრი

# ხიზანიშვილმა კაისერი არჩია

## თურქული კლუბის დაცვას ისევ ქართველი გაამაგრებს



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) ხორვატიის ნაკრებთან მატჩში

თურქულ მედიაზე დაყრდნობით, გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის „კაისერი“ ზურაბ ხიზანიშვილს მოელაპარაკა და ორწლიან კონტრაქტს წინ აღარაფერი უდგას.

საქართველოს ნაკრების 29 წლის ფეხბურთელმა ჯერ კიდევ ინგლისის ჩემპიონშიპის დასრულებამდე თქვა, თუ „რედინგი“ პრემიერლიგაში ვერ გადავა, კლუბს დავტოვებო. ისიც არ დამალა, რომ ინგლისიდან წასვლასაც არ გამორიცხავდა. „რედინგმა“ „უემბლიზე“ გადათამაშების მატჩი უელსურ „სუონსისთან“ 2:4 წააგო და პრემიერშიპში დარჩა, ქართველმა მცველმა კი კლუბის დატოვა.

ხიზანიშვილს ხელს ის უწყობდა, რომ კონტრაქტი დაუმთავრდა „ბლექბერნთან“, რომელმაც იჯარით „რედინგში“ გაუშვა და თავისუფალი აგენტი გახდა.

ინფორმაცია “კაისერის” მთავარ მწვრთნელ შოთა არველაძესთან გადავამოწმეთ.

**- მართალია, თითქოს ხიზანიშვილი „კაისერში“ გადადის?**

- ეს გადაწყვეტილი ამბავია.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმა?**

- არ გაუფორმებია, რადგან თურქეთში ჯერ ვერ ჩამოვიდა, ოჯახთან ერთად ისვენებს, მაგრამ მის მენეჯერთან ყველა დეტალზე შევთანხმდით და კონტრაქტს მალე გავაფორმებთ.

**- საკონტრაქტო პირობები როგორია?**

- ხელშეკრულება 2+1 სისტემით გაფორმდა.

**- რომელ პოზიციაზე ათამაშებთ?**

- ცენტრალურ მცველად, ჩემი აზრით, ამ პოზიციაზე ის ყველაზე სასარგებლოა.

**- სხვა ქართველის დამატებასაც ხომ არ ფიქრობდით?**

- ამჟამად ეს გამორიცხულია.

**- მართალია, რომ მალხაზ ასათიანის მიწვევაც გსურდათ?**

- მსურდა, მაგრამ ვიცოდი, რომ რუსეთიდან წამოსვლას არ აპირებს და დალაპარაკებას აზრი არ ჰქონდა.

*დაზუსტებული ინფორმაციით, სანამ თურქულ კლუბს დათანხმდებოდა, ზურაბ ხიზანიშვილის მიწვევა ბუნდესლიგაში დაბრუნებულ ბერლინის “ჰერტას” და საფრანგეთის ლიგა 1-ის მერვეადგილოსანი “ტულუზის” მწვრთნელ ალენ კაზანოვასაც სურდათ. დარჩენას სთავაზობდა “რედინგიც”. ბერლინელთა წარმომადგენელი “უემბლიზე” გადათამაშებასაც დაესწრო, მაგრამ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელმა მეგობართან და ყოფილ თანაგუნდელთან თამაში ამჯობინა.*

**მერაბ მამულაშვილი**



# თურქეთმა არველაძე აღმოაჩინა

## შოთას საფეხბურთო ფილოსოფია და ქართული სინამდვილე

2

# ეს ქვეყანა ანასია!

## ბირმინგემის ტურნირის მეორე ეტაპი: ანა ტატიშვილი VS ანა ივანოვიჩი

11



ანა ტატიშვილი

# სენსაციური ჩი ნა ლი

16

როლან გაროსის გამარჯვებულის პრესკონფერენცია



## რა ხდება ყველაზე ტიტულოვანში

# მერებაშვილი დინამოში ბრუნდება?

2



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### ● დინამო



ზურაბ არზიანი

# დიდი მზადება

## მერებაშვილი დინამოში?

ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი გუნდი დიდ მზადებაშია — ახლახან დანიშნული მთავარი მწვრთნელი, ესპანელი **ალექს გარსია** დღეს „დინამოს" ფეხბურთელებთან პირველ ვარჯიშს ჩაატარებს; გარსიასთან ერთად „დინამო" ფეხბურთელებს ორი ახალი მწვრთნელიც დამოძღვრავს: ფიზმომზადებაში ესპანელი **მარკ უგეტი, რამაზ მუმლაძე** კი გარსიას ასისტენტი იქნება! შეგახსენებთ, რომ მუმლაძე ბოლო დროს „დინამოს" დუბლშემადგენლობას თავკაცობდა და გუნდს ამ ტურნირში ჩემპიონობაც მოაპოვებინა. საერთოდაც, მუმლაძისთვის „დინამო" უცხო გუნდი არ არის - წლების განმავლობაში „დინამოს" მეორე გუნდსაც თავკაცობდა და სხვადასხვა დროს მეორე მწვრთნელიც გახლდათ. ალარაფერს ვამბობთ „ვიტ ჯორჯიაში" გატარებულ ოთხ სეზონზე - ერთხელ ჩემპიონი რომ გახადა, ორჯერ კი მეორე ადგილზე რომ გაიყვანა. ამიერიდან მუმლაძე ძირითად გუნდში იქნება და მეორე მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს.

„დინამოში" სხვა სიახლეებიცაა: **სანდრო იაშვილის** გარდა, გუნდში **დავით ოდიკაძისა** და **გიორგი რეხვიაშვილის** ჩარიცხვაც, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ოდიკაძე „დინამოს" გარკვეული პაუზის მერე უბრუნდება, რეხვიაშვილი კი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „ოლიმპის" ერთ-ერთი ლიდერი იყო. რაც შეეხება დანაკლისს, გუნდი დატოვეს: **მარკო მაროვიჩმა, პეტარ ელიჩმა, ედნილსონმა, ზურაბ არზიანმა, გივი კვარაცხელიამ** და **თეიმურაზ ღონღაძემ**. თუმცა „დინამოს" საკადრო ცვლილებები ამით არ ამოიწურება: დიდია იმის ალბათობა, რომ უახლოეს დღეებში გუნდში რამდენიმე ცნობილი სახე გამოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, კულუარებში უკვე საუბრობენ **გიორგი მერებაშვილის, ალექსანდრე კობახიძისა** და **ბექა გოცირიძის** ტრანსფერებზე...

„დინამო" დილმის საწვრთნელ ბაზაზე 12 ივნისამდე მოემზადება, შემდეგ კი სლოვენიაში გაემგზავრება შეკრებაზე, სადაც სამ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს. შეკრების ბოლო ორ დღეს (22-23 ივნისი) „დინამო" ავსტრიაში გაატარებს, სადაც ამ ქვეყნის ჩემპიონს, „შტურმს" გაეჯიბრება სპარინგშეხვედრაში.

**გია ტუხაშვილი**

### ● ინტერვიუ



# თურქეთმა არველაძე აღმოაჩინა

## ქეცბაიას მაშინ გავაკრიტიკებდით, ფეხბურთელები რომ ჰყავდეს...

**გასულ სეზონში შოთა არველაძემ პირველი დამოუკიდებელი სამწვრთნელო ნაბიჯები გადადგა და ლუის ვან გაალის შეგირდის შესაფერისი აღიარებაც მოიპოვა.**

**"კაისერის" 38 წლის მთავარი მწვრთნელი გვიზიარებს შთაბეჭდილებებს თურქეთში გატარებულ სეზონზე, საქართველოს ნაკრებსა და მისი გაუფერულებული სტილის მიზეზებზე.**

**- დასრულდა თქვენი პირველი სამწვრთნელო სეზონი, რომელსაც ახლდა სიხარულიც და იმედგაცრუებაც. თავად როგორ შეაფასებდით განვლილ პერიოდს?**

- შესაძლოა, შედეგი უკეთესიც ყოფილიყო და უარესიც. მაგრამ ორი ადგილით წინ მოხვედრასა და შედეგზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ჩანაფიქრის განხორციელება, გუნდის სახის ჩამოყალიბება იყო. ვფიქრობ, ეს ნაწილობრივ მაინც მოვახერხე.

არ დავმალავ და, მეამაყება, დასრულებულ სეზონში თურქეთში მიწვეული უცხოელი მწვრთნელებიდან პოსტზე მხოლოდ მე რომ დამტოვეს. არადა, ბევრი ცნობილი სპეციალისტი ჩამოიყვანეს - რაიკაარდი, ჰაჯი... ყველა გაუშვეს, ჩემს შემთხვევაში კი ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა.

**- შევიტყვეთ, თუმცა თურქულ წყაროებში ვერ მივაკვლიეთ ინფორმაციას, თითქოს წლის მწვრთნელებში დაგასახელეს.**

- უფრო ზუსტად, თურქეთში ძალიან პოპულარულმა გაზეთმა "ფუტბოლ+"-მა წლის აღმოჩენად დამასახელა, გალა-საღამო გაიმართა და თასი გადმომცეს.

**- გილოცავთ, ასეთი დებიუტით ყველა იამაყებდა.**

- ცხადია, სასიხარულოა, თანაც "კაისერში" დიდი გამოცდილება მივიღე მრავალი პრობლემის მიუხედავად.

**- რა პრობლემებს გულისხმობთ?**

- ბევრ რამეს. გუნდში ათასგვარ გაუთვალისწინებელ ამბავს ვაწყდებოდი. მაგალითად, ვილაცას ფსიქოლოგიურად უჭირს, იყო შემთხვევა, მოთამაშეს ოჯახური პრობლემა შეექმნა, ზოგი ბედნიერია და ზოგიც უბედური. ერთი შეხედვით, ეს წვრილმანებია, მაგრამ ყურადღება თუ არ მიაქციე, გუნდის თამაშზე ძალიან ცუდად აისახება.

**- ფეხბურთელებთან ურთიერთობაში დისტანციას იცავთ თუ მეგობრობას ამჯობინებთ?**

- თავიდან ზომიერ დისტანციას ვიცავდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს შეცდომა იყო და მეტი სიმკაცრე მომეთხოვებოდა. ფეხბურთელთან სწორი ურთიერთობის შერჩევა ძნელია, ყველას უნდა გაუგო, მოძებნო საერთო ენა. თუმცა ზედმეტიც არ უნდა მოგივიდეს, თორემ ძალიან ახლო ურთიერთობისას ბევრი იფიქრებს, რომ დისციპლინის დარღვევაზე წაუყრუებ, აპატიებ ავტობუსში, ვარჯიშსა თუ სასადილოში დაგვიანებას... ასე თანდათანობით გათამამდება, მერე ეს სხვებსაც გადაედებათ და გუნდი აირევა, თუ დროულად არ მიხედე.

**- როგორც ჩანს, ამისულაშვილის წასვლამ "კაისერზე" ძალიან ცუდად იმოქმედა, რადგან ლიდერებიდან მეექვსე ადგილზე დაქვეითდით.**

- რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედა. თურქებმა ამისულაშვილი ჩემპიონატის საუკეთესო მცველად აღიარეს, მაღალ დონეზე თამაშობდა, მისი წასვლა და გუნდის არევა ერთი იყო. ამას სხვა უსიამოვნო ამბებიც დაემატა - ფაქტობრივად, ერთი მცველის ამარა დავრჩით, ბევრი დაშავდა, ერთი წავიდა და მარჯვენა მცველს მარცხენა ფლანგზე ვაყენებდი, საყრდენს - დაცვის ცენტრში და ასე შემდეგ. შეიძლება, ამან ერთ-ორ თამაშში გაგიმართლოს, მაგრამ რვა მატჩში – წარმოუდგენელია.

**- ევროპის ლიგის საგზურიც ვერ მოიპოვეთ.**

- სამწუხაროდ, სამი ქულა დაგვაკლდა. "ბეშიქთაშმა" თასიც აიღო, მეხუთე ადგილზეც გავიდა და ჩვენ უსაგზუროდ დაგვტოვა. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ არა ტრავმირებულთა სიმრავლე, ევროპის ლიგაზე ვითამაშებდით.

**- ახალ სეზონში რა მიზანს ისახავთ?**

- ევროპის ლიგაზე გასვლას და სათამაშო სტილის დახვეწას.

**- სათამაშო სტილი დასაწყისშიც ახსენეთ. როგორ ფეხბურთს ნერგავთ?**

- ფეხბურთის თამაშს ვცდილობთ და არა ბურთის გადაგდება-გადმოგდებას. ჩემი მიზანია, "კაისერმა" გააზრებული ფეხბურთი აჩვენოს, რაც გულშემატკივარს ყველაზე მეტად უყვარს. სტილისთვის მაშინაც არ მიღალატია, როდესაც ძალიან გაგვიჭირდა და ტრავმების გამო ლამის მთელი შემადგენლობა დაგვაკლდა. ჩემი ფილოსოფიაა, ბურთმა დაბლა უნდა იგოროს და ცაში უაზროდ არ დაფრინავდეს.

**- ასეთ ფეხბურთს "ბარსელონა" თამაშობს.**

- ცხადია, "ბარსას" დარი ფეხბურთელები არ გვყავს. ამას ვინ ჩივის, თურქეთის პირობებზეც არ ვართ განებივრებულები. "გალათასარაის" ახალმა პრეზიდენტმა ტრანსფერებისთვის 100 მილიონი ევრო გაიღო, "კაისერს" კი სულ 12 მილიონი აქვს – ტრანსფერებისთვის, კვებისთვის, საჭირო ხარჯებისთვის. ასეთ პირობებში სასურველი მოთამაშეებით დაკომპლექტება და გრანდებთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელი ჩანდა, მაგრამ ვცდილობდით და მეტ-ნაკლებად გამოგვდიოდა. თუმცა მოთამაშეთა არჩევაში შეზღუდულები ვართ.

**- "კაისერში" კიდევ რამდენ ხანს დარჩებით?**

- კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს მიმთავრდება.

**- თურქეთში მწვრთნელის აღიარება პატარა ამბავი არ არის. სეზონის შემდეგ უფრო ძლიერ კლუბებში არ მიგიწვიეს?**

- სხვათა შორის, შვედეთში გამზადებული კონტრაქტით მელოდებოდა "მალმე". შვედეთი მდიდარი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაა, "მალმე" კი - საინტერესო ისტორიის კლუბი. წასვლას არ ვაპირებ, მაგრამ სასიამოვნო სიურპრიზი იყო.

**- თავად თურქეთში არავინ გიწვევდათ?**

- დიდი კლუბებიდან არავინ, პატარებით კი თავად არ დავინტერესებულვარ.

**- საქართველოს ნაკრებზეც ვილაპარაკოთ. ხორვატიაში წაგებულმა შეხვედრამ საფიქრალი აღძრა. ვითომ ეს არის ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი?**

- ცოტა შორიდან დავიწყებ. ბოლო სამი-ოთხი დღეა ჩემი თაობის თბილისის "დინამოს" შეხვედრებს ვუყურებ და გაოცებული ვარ, თურმე რა შემტევ და ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებდით. უეფას თასზე ავსტრიულ "ტიროლთან" სულაც ერთი მცველით ვითამაშეთ, მარჯვენა მცველად კი გიორგი ნემსაძე გვყავდა! ორიოდე ფეხბურთელის გარდა, ყველა ტექნიკური იყო, ერთი გადაცემით თამაშის გამწვავება და მეტოქის კართან ხიფათის შექმნა ნებისმიერს შეეძლო. ბურთს ვკარგავდით და ეგრევე მეტოქის "მიხრჩობას" ვცდილობდით. ამ ყველაფრის მონაწილე თავად ვიყავი, მაგრამ მაშინდელი კადრების ხილვამ ბავშვივით გამახარა. არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, "ბარსელონა" სწორედ ამ ფეხბურთს თამაშობს, ცხადია, ბევრად მაღალ დონეზე, მაგრამ ჩვენ აბსოლუტურად იგივე სტილი გვქონდა. ამ ფეხბურთს არავინ გვასწავლიდა, რაც სისხლსა და ხორცში გვქონდა, იმას ვაჩვენებდით. მეამაყება, იმ "დინამოს" წევრი რომ ვიყავი – "ლინფილდთან" და კრაიოვას "უნივერსიტატეასთან" ძალიან მაგარი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ამ ყველაფრის მიუხედავად, ევროპაში ევრაფერს მივაღწიეთ. ალბათ, იმიტომ, რომ პატრონი არ გვყავდა და არავინ გვირჩევდა, ტექნიკა როგორ გამოგვეყენებინა, რომ ზოგჯერ მარტივად თამაში ჯობდა, ყველას თავდამსხმელის მეკარესთან პირისპირ გაყვანა გვსურდა, ზომა-წონა არ ვიცოდით, ზედმეტად ვირთულებდით ცხოვრებას და გუნდის პოტენციალი ვერ გამოვიყენეთ.

ახლა ჩვენი ფეხბურთი მეორე უკიდურესობაში გადავარდა. ობიექტურად ვიმსჯელოთ: სანამ თემურ ქეცბაიას გავაკრიტიკებდეთ, დავფიქრდეთ, საქართველოში გვყავს მაღალი კლასის თუნდაც ერთი სწრაფი ფლანგის მოთამაშე, ტექნიკური და შრომისმოყვარე ნახევარმცველი, ბურთს რომ "ლეჭავს", შედეგიანი თავდამსხმელი, რომლისაც მცველებს ეშინიათ? დარჩა ფეხბურთელი, რომელიც მწვავე გადაცემით მეტოქის დაცვას დაშლის? ერთი ანანიძეა და ისიც ტრავმის შემდეგ უთამაშებელია, ყენიასი გვეიმედება და ორი წელია, მოედანზე გასვლა ენატრება, ლევან მჭედლიძე ძლივს მომჯობინდა, მაგრამ მთლიანობაში საკმაოდ უფერული სურათია და ქეცბაია სასწაულმოქმედი არ არის, სამ დღეში მათ ფეხბურთი ასწავლოს.

**- სამწუხაროდ, ტექნიკურ ფეხბურთელებს საქართველოში გასაქანს აღარ აძლევენ და ამის ლოგიკური გაგრძელებაა ის ფეხბურთი, რასაც ნაკრებში ვხედავთ.**

- გეთანხმებით, ეს სერიოზული პრობლემაა. სამწუხაროდ, ჩვენი ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ტექნიკა სანატრელი გაგვიხდა. ქეცბაიას მაშინ უნდა ვაკრიტიკებდეთ, ფეხბურთელები რომ ჰყავდეს და არ იწვევდეს. არის კი ისეთი, საერთო სურათი რადიკალურად რომ შეცვალოს? თემური იძულებული გახდა, ცენტრალური მცველი კაშია ნახევარდაცვაში აეწია, სადაც ამპლუით მცველი ხიზანიშვილიც იძულებით დააყენა, ორი მცველი კი შეტევას ვერ გააძლიერებს.

კიდევ ერთი პრობლემა ინიციატივიანი, თავის თავზე თამაშის ამღები ფეხბურთელის არარსებობაც არის. ჩვენ რომ პირველად გავუშვათ, შემდეგ ორის გატანა შეგვიძლია? ერთი გავიტანეთ ხორვატიაში და არ გვეყო, ისევე, როგორც საბერძნეთსა და ლატვიაში. ასეთია სამწუხარო რეალობა, დღევანდელი არჩევანით ძნელია სასურველი ნაკრების ჩამოყალიბება – მაღალი კლასის ფეხბურთელს მწვრთნელი ვერ მოიგონებს.

**მერაბ მამულაშვილი**

### ● U17

# ქართველთა ბაქოური მეტოქეები

11 ივნისს დაიწყება და 16 ივნისს დასრულდება ბაქოში "კასპიის თასის" გათამაშება, რომელშიც 8 ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებები იასპარეზებენ. ტურნირის ორგანიზატორებმა წილისყრა ჩაატარეს და მონაწილენი ორ ჯგუფად გაჰყვეს.

**ვასილ მაისურაძის** გუნდი B ჯგუფში მოხვდა, სადაც მისი მეტოქეები ესპანეთის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის ნაკრებები იქნებიან. 11 ივნისს ქართველები ყახაზეთს შეხვდებიან, 12 ივნისს - ტაჯიკეთს, 14-ში კი - ესპანეთს.

ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ ფინალში გადიან, მეორეადგილოსნები მესამე ადგილისთვის ითამაშებენ, მესამეადგილოსნები – მეხუთისთვის, ბოლოადგილოსნები კი მეშვიდისთვის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას**

**დედის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**საფეხბურთო კლუბი ცხინვალის „სპარტაკი" მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას**

**დედის**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2012 და საქართველო. სტატისტიკა

# რაში ვჯობნით მსოფლიოს ჩემპიონებს... და რით ჩამოვრჩებით ჯუჯებს



საქართველოს ნაკრებმა ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის 70% უკვე მოილია - 7 მატჩიდან 2-2 მოიგო და წააგო, 3 კი ფრედ დაასრულა. გუნდი 9 ქულით მეოთხე ადგილზეა F ჯგუფში და პოლონეთ-უკრაინის საგზურის მოპოვების მინიმალური შანსიღა შერჩა. ნაკრებმა დიდებულად დაიწყო, მაგრამ ხუთი წაუგებელი შეხვედრის შემდეგ ზედიზედ ორჯერ დამარცხდა. რამდენადაც კარგი და საამაყოა 7 შეხვედრაში სულ რაღაც 5 მილებული გოლი, ასევე დიდ უკმარისობის გრძნობას გვიტოვებს მეტოქეთა კარში ამდენივე გატანილი. მოდი, კიდევ უფრო ღრმად ჩავხედოთ ციფრებს...

**თემურ ქეცბაიამ** ამ შვიდ შეხვედრაში სულ 25 ფეხბურთელი ათამაშა. ამათგან 2 მეკარე, 9-9 მცველი და ნახევარმცველი და 5 თავდამსხმელია. ჩვენი ნაკრების ბომბარდირი **დავით სირაძეა** 2 გოლით (ერთი საგოლე პასიც მისია), თითო **ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა** და **ჯაბა კანკავამ** შეაგდეს. საუკეთესო ბომბარდირთა დავას 8-8 გოლით ჰოლანდიელი **კლას-იან ჰუნტელაარი** და გერმანელი **მიროსლავ კლოზე** ლიდერობენ.

საგოლე გადაცემებში ერთბაშად 6 ფეხბურთელი ლიდერობს. თანაგუნდელებს 4-4 ჯერ გაუწიეს ასისტენტობა შვედებმა **კიმ კალსტრიომმა** და **სებასტიან ლარსონმა**, ჩეხმა **ტომაშ როსიცკიმ**, უნგრელმა **ბალაშ ჯუჯაკმა**, გერმანელმა **მესუთ იოზილმა** და ჰოლანდიელმა **ვესლი სნეიდერმა**. ქართველთაგან თითო საგოლე პასი გააკეთეს სირაძემ, **ოთარ მარცვალაძემ** და **უჩა ლობჟანიძემ**.

ისრაელის ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელსაც გოლი ვერ გავუტანეთ, არადა, უკვე ორჯერ შევხვდით. დანარჩენ ხუთ მატჩში მეტოქეებს თითო გოლი გავუტანეთ - ორ შეხვედრაში ეს ფრეს ეყო (ლატვიაში და საბერძნეთში), ორში გამარჯვება მოგვიტანა (შინ მალტასთან და ხორვატიასთან), ხორვატიაში კი ეული გოლი ვერაფერში დაგვეხმარა.

ჩვენს ნაკრებს თამაშში საშუალოდ 0,71 გოლი გაჰქონდა, ამ მაჩვენებლით კი მხოლოდ 13 ნაკრებს ვჯობთ, რომელთაგან მხოლოდ ბელარუსს, ლიტვას, ბულგარეთსა და უელსს გამოვყოფთ, დანარჩენები კი ევროპის ჯუჯა სახელმწიფოების წარმომადგენლები ან უიმედო აუტსაიდერები (მაგალითად, ყაზახეთი) არიან. ყველაზე შედეგიანი ნაკრები ჰოლანდიელებს ჰყავთ - 3,5 გოლი საშუალოდ მატჩში.

მილებულ ბურთებშიც იგივე მაჩვენებელი გვაქვს - 0,71. ახლა როლები შეიცვალა და მხოლოდ 13 ნაკრები გვჯობნის დაცვის სიმტკიცით. ვჯობნით ისეთ გუნდებს, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთი და ვიცე-ჩემპიონი ჰოლანდიაა. ერთ-ერთი ყველაზე კარგი დაცვის ხაზი კი ჩერნოგორიელებს ჰყავთ - 0,2 გოლი მატჩში. პირველად მათ ამ შაბათს გაუშვეს ბულგარელებთან შეხვედრაში, თუმცა საუკეთესო ამ კომპონენტში „სკუადრა აძურაა" - 0,17. მოკლედ, ცოტა გაგვაქვს და ცოტას ვუშვებთ, რაც ქეცბაიას მიერ არჩეული ერთობ დაცვითი სათამაშო სტილითაა განპირობებული.

ბუნებრივია, გოლს ვერ გაიტან, თუ კარში არ დაარტყამ. როგორია ამ მხრივ ქეცბაიას გუნდში საქმე? საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ციკლში კარისკენ 55-ჯერ დაარტყა, ეს კი საშუალოდ 7,8 დარტყმაა თამაშში. აქედან ზუსტი (კარის ჩარჩოში) 18 იყო (2,57), 37 (5,29) კი არაზუსტი. ნათელია, რომ სიზუსტეში მოვიკოჭლებთ - ძნელია მიზანს მიაღწიო, როცა მეტოქის მეკარეს მატჩში სულ 2-3-ჯერ აწუხებ. ეს მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ 50-ზე მეტ ქვეყანას შორის მხოლოდ 8 ჩამოგვრჩება (ყაზახეთი, მალტა, ლუქსემბურგი, აზერბაიჯანი, ლიხტენშტაინი, ჩერნოგორია, უელსი და სან მარინო). აცილებაში კი „მონინავეთა" შორის ვართ, გუნდების უმეტესობას „ვჯობნით".

კარის ჩარჩოში ყველაზე მეტჯერ, 14-ჯერ დაარტყა ფინელმა **მიკაელ ფორსელმა**, საქართველოს ნაკრების წევრთაგან კი 2-2 დარტყმით საუკეთესოები არიან სირაძე, რომლის ორივე მცდელობაც შედეგიანი აღმოჩნდა, იაშვილი, **გოგიტა გოგუა, დავით კვირკველია** და **ზურაბ ხიზანიშვილი**. თითოჯერ მოარტყეს ბურთი მეტოქის კარის ჩარჩოში კობიაშვილმა, კანკავამ, **გიორგი მერებაშვილმა, მურთაზ დაუშვილმა, ვლადიმერ დვალიშვილმა, ჯანო ანანიძემ, მალხაზ ასათიანმა და კახა კალაძემ**.

კარის მიმართულებით დარტყმებში 13 დარტყმით ესპანელი **დავიდ ვილია** ლიდერობს, ქართველთაგან კი ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი – 5, ხიზანიშვილს აქვს. 4 დარტყმაა გოგუას ანგარიშზე, 3-3-ჯერ დაარტყეს კანკავამ, დვალიშვილმა, ანანიძემ, სირაძემ, კობიაშვილმა და კალაძემ, 2-2-ჯერ – კვირკველიამ, ლობჟანიძემ და **ალექსანდრე ამისულაშვილმა**, თითოჯერ – მარცვალაძემ, დაუშვილმა, იაშვილმა და **ლაშა სალუქვაძემ**.

საქართველოს ნაკრებმა ჩააწოდა 24 კუთხური (საშ. 3,43 მატჩში). ესეც ძალიან ცოტაა და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ იშვიათად ვუტევთ (სპლიტში, მაგალითად, ერთი კუთხურიც არ ჩაგვიწოდებია). შედარებისთვის, ჩეხები საშუალოდ 9,6 კუთხურს აწვდიან თამაშში. ამ მაჩვენებლით 13 ქვეყანას ვჯობნით, ისევ და ისევ აუტსაიდერებს (გამონაკლისი შვეიცარია, ირლანდია და შოტლანდიაა).

შეამჩნევდით, რომ **ზლატკო კრანჩარის** ჩერნოგორიისა და ჩვენი ნაკრების სტატისტიკური მაჩვენებლები საკმაოდ ახლოსაა. თუმცა, ბალკანელებს ჩვენზე გაცილებით უკეთესი სატურნირო მდგომარეობა აქვთ. და რითი აღწევს კრანჩარის გუნდი ამ წარმატებას - ხისტი თამაშით დაცვაში. ამას კი ფეხბურთის ესთეტიკური მხარე ეწირება - ჩერნოგორია თამაშში საშუალოდ 22,2-ჯერ ჯარიმდება, ეს კი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია შესარჩევ ციკლში. თემურ ქეცბაიას გუნდი კი ამ მხრივ მეტი სიფრთხილით გამოირჩევა, ქართველები სულ 90-ჯერ დაჯარიმდნენ. ეს კი საშუალოდ 12,86-ია მატჩში.

საქართველოს ნაკრებს 95-ჯერ ეუხეშნენ. გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, ეს მაჩვენებელი მეორეა მთელ ევროპაში - ერთით მეტჯერ დაჯარიმდნენ ბერძნების წინააღმდეგ. მართალია, საშუალო მაჩვენებლით ლიდერებში არ ვართ (13,57), მაგრამ არც ძალიან ჩამოვრჩებით მათ. ქართველებს რომ ტექნიკა არ დაგვეწუნება, ცხადია, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა სხვანაირადაა საქმე - ძირითადად მეტოქეები ჩვენი მცველების წინააღმდეგ ჯარიმდებიან - კალაძე, ამისულაშვილი, **ხუბუტია**, სხვებიც ფიზიკურად ძლიერები არიან და მათთან უჯარიმოდ გამკლავება ხშირად უჭირთ მეტოქეთა შემტევებს - ამიტომ ჯარიმების დიდი ნაწილი სწორედ ჩვენი მცველების წინააღმდეგ მოდის. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა 14 ყვითელი ბარათი მიიღეს (საშუალოდ 2 თამაშში) - ეს ევრო 2012-ის შესარჩევში საშუალო მაჩვენებელია. წითელი ბარათი კი ჯერჯერობით არ დაგვიმსახურებია.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ კახა კალაძემ და ალექსანდრე იაშვილმა ითამაშეს შვიდივე შეხვედრაში. ყველაზე მეტი დრო (630 წუთი) კაპიტანმა ითამაშა, ყველაზე ცოტა - **ალექსანდრე კოშკაძემ** (2 წუთი). მეტოქეთა კარისკენ ყველაზე მეტჯერ, **ზურაბ ხიზანიშვილმა** დაარტყა (7), შემდეგ მოდიან გოგიტა გოგუა (6) და სირაძე (5). ყველაზე მეტჯერაც ხიზანიშვილი დაჯარიმდა - 11, მეტოქეთა უხეშობამ კი ყველაზე მეტჯერ კობიაშვილი და გოგუა (13-13) დააზარალა. ყველაზე უხეში ფეხბურთელია ფარერელი **იოან ედმუნდსონი**, რომელიც 20-ჯერ დაჯარიმდა. 4-მა ფეხბურთელმა მიიღო 2-2 ყვითელი ბარათი, ოთარ მარცვალაძემ ეს 2 თამაშში „მოახერხა".

თამაშგარე მდგომარეობაში ყველაზე მეტჯერ, 11-ჯერ, ბერძენი **დიმიტრის სალპინგიდისი** და ფრანგი **ქარიმ ბენზემა** მოხვდნენ, ჩვენი ნაკრებიდან კი დვალიშვილი – 5-ჯერ. ოფსაიდში 3-ჯერ აღმოჩნდა კობიაშვილი, 2-ჯერ გოგუა, თითოჯერ კი – მარცვალაძე, კვირკველია, სირაძე და ასათიანი.

ყველაზე მეტჯერ, 4-4-ჯერ უნგრელი **ზოლტან ლიპტაკი**, ლუქსემბურგელი **მარიო მუჩი** და ბელგიელი **ვინსენტ კომპანი** გააფრთხილეს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან 2-2 ყვითელი ბარათი მიიღეს მარცვალაძემ, ლობჟანიძემ, ხიზანიშვილმა და კობიაშვილმა, თითო – გოგუამ, სირაძემ, იაშვილმა, ამისულაშვილმა, **ნუკრი რევიშვილმა** და აკაკი ხუბუტიამ.

ყველაზე მეტი, 21 ჯარიმა ჰოლანდიელმა **მარკ ვან ბომელმა** "გამოიმუშავა", ქართველთაგან კი 13 ჯარიმით გოგუა ლიდერობს. 12-12-ჯერ დაჯარიმდნენ კობიაშვილსა და კალაძესთან ორთაბრძოლაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



| ფეხბურთელი | თამაში | გოლი | პასი | წუთი | დარტყმა | ჯარიმა | მასზე | გაფრთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | | | | | |
| ნუკრი რევიშვილი | 6 | -3 | - | 540 | - | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ლორია | 1 | -2 | - | 90 | - | 0 | 0 | 0 |
| **მცველები** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | 7 | 0 | 0 | 630 | 4 | 8 | 12 | 0 |
| ალეკო ამისულაშვილი | 6 | 0 | 0 | 540 | 2 | 10 | 6 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | 5 | 0 | 0 | 371 | 1 | 3 | 2 | 0 |
| მალხაზ ასათიანი | 4 | 0 | 0 | 360 | 1 | 1 | 1 | 0 |
| დავით კვირკველია | 4 | 0 | 0 | 293 | 4 | 4 | 4 | 0 |
| აკაკი ხუბუტია | 3 | 0 | 0 | 270 | 0 | 6 | 3 | 1 |
| უჩა ლობჟანიძე | 3 | 0 | 1 | 270 | 2 | 3 | 2 | 2 |
| გურამ კაშია | 1 | 0 | 0 | 80 | 0 | 1 | 0 | 0 |
| გია გრიგალავა | 1 | 0 | 0 | 90 | 0 | 2 | 0 | 0 |
| **ნახევარმცველები** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 6 | 1 | 0 | 540 | 4 | 5 | 13 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 6 | 0 | 0 | 540 | 7 | 11 | 8 | 2 |
| გოგიტა გოგუა | 5 | 0 | 0 | 290 | 6 | 7 | 13 | 1 |
| ჯანო ანანიძე | 5 | 0 | 0 | 288 | 4 | 2 | 6 | 0 |
| მურთაზ დაუშვილი | 5 | 0 | 0 | 254 | 2 | 1 | 3 | 0 |
| ჯაბა კანკავა | 3 | 1 | 0 | 270 | 4 | 3 | 6 | 0 |
| გიორგი მერებაშვილი | 3 | 0 | 0 | 76 | 1 | 1 | 0 | 0 |
| თორნიკე აფციაური | 1 | 0 | 0 | 15 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ალექსანდრე კოშკაძე | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 |
| **თავდამსხმელები** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 7 | 1 | 0 | 419 | 3 | 4 | 7 | 1 |
| დავით სირაძე | 6 | 2 | 1 | 295 | 5 | 6 | 2 | 1 |
| ლადო დვალიშვილი | 6 | 0 | 0 | 276 | 4 | 8 | 4 | 0 |
| ოთარ მარცვალაძე | 2 | 0 | 1 | 101 | 1 | 2 | 2 | 2 |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 1 | 0 | 0 | 30 | 0 | 2 | 1 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება. ოლიმპი

| | | სული | | | | | | | შინ | | | | | | | გასვლა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
| 3 | ოლიმპი | 36 | 20 | 6 | 10 | 52 | 31 | 66 | 18 | 14 | 2 | 2 | 30 | 8 | 44 | 18 | 6 | 4 | 8 | 22 | 23 | 22 |



● სიონი

# ჯერ მხოლოდ მიდიან

## ყველაფერი კვირის ბოლოს გაირკვევაო

ბოლნისის "სიონს" მომავალი სეზონისთვის მზადება ჯერ არ დაუწყია. არც ის არის ცნობილი, როდის და სად დაიწყებს გუნდი შეკრებას. მეტიც, ისიც კი გაურკვეველია, რა კონტინგენტით განაგრძობს "სიონი" არსებობას. 30 მაისს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა ყველა მწვრთნელსა და ფეხბურთელს და მოთამაშეთა ნაწილმა უკვე მოძებნა ახალი კლუბი, ნაწილიც ძიებაშია. ბოლნისელთა ახალწვეულების შესახებ კი არაფერია ცნობილი.

როგორც იცით, რუსთავის "ოლიმპს" მიაშურეს **სერგი ორბელაძემ** და **დავით ლომაიამ, კობა შალამბერიძე** და **რევაზ ჯიქია** კი, ჩვენი ინფორმაციით, ცხინვალის "სპარტაკთან" აწარმოებენ მოლაპარაკებას. გაურკვეველია დუბლშემადგენლობის ბედიც, სადაც, სავარაუდოდ, ახალი მწვრთნელი დაინიშნება და კადრებიც გვარიანად შეიცვლება.

*"ჯერჯერობით გუნდის მომავლის შესახებ არავითარ ინფორმაციას არ ვფლობ. არც ის ვიცი, დავრჩები თუ არა "სიონში" და არც იმის შესახებ ვარ ინფორმირებული, დარჩენის შემთხვევაში რა მიზნებისთვის ვიბრძოლებთ. მე მზად ვარ "სიონში" მუშაობის გასაგრძელებლად და ვნახოთ, რა იქნება"*, - გვითხრა "სიონის" მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა**.

ამაზე ბევრად მეტი ვერც კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის, **გიორგი არევაძისგან** შევიტყვეთ: *"როგორც იცით, ჩვენი სპონსორის, "მადნეულის" ხელმძღვანელი კობა ნაყოფია ბოლო პერიოდში ფილმ "აგვისტოს 5 დღისადმი" მიძღვნილი ღონისძიებებითაა დაკავებული. მალე დროს "სიონისთვისაც" გამონახავს და კვირის ბოლოსთვის დეტალურად გვეცოდინება კლუბის ბიუჯეტიც, საზაფხულო გეგმებიცა და სამომავლო მიზნებიც. საგანგაშო არაფერია, "სიონი" უმაღლეს ლიგაში ღირსეულად იასპარეზებს"*.

არევაძემ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ "სიონს" მწვრთნელების, ფეხბურთელებისა და პერსონალის მიმართ რამდენიმე თვის სახელფასო დავალიანება აქვს და თქვა, რომ გასასტუმრებელი მხოლოდ მაისის ხელფასებია და ეს საკითხი რამდენიმე დღეში მოგვარდება.

ასე რომ, დაველოდოთ კვირის ბოლოს და იმედი დავიტოვოთ, რომ "სიონში" ყველაფერს სულ მალე მოეფინება ნათელი და უმაღლესი ლიგის ამბიციური კლუბების რაოდენობა არ შემცირდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

# კახა ცხადაძის ვაჟი ინტერიდან მოდის?

**კახა მჟავანაძისა** და **დავით ოდიკაძის** შემდეგ, შესაძლოა, ბაქოს "ინტერი" კიდევ ერთმა ქართველმა დატოვოს - გუნდის მთავარი მწვრთნელის, **კახა ცხადაძის** 23 წლის ვაჟს **ბაჩანა ცხადაძეს** მალე კონტრაქტი უმთავრდება.



ბაჩანა ცხადაძე

*"ჯერ არ გადამიწყვეტია, "ინტერში" დავრჩები თუ არა. სხვა კლუბში გადასვლას არ გამოვრიცხავ. საქმე ისაა, რომ 30 ივნისს კონტრაქტი მიმთავრდება და თავისუფალი აგენტი ვხდები. ბაქოელებთან მოლაპარაკება დავიწყე და ჩემზეა დამოკიდებული, საკითხი როგორ გადაწყდება. ამავე დროს სხვა ვარიანტებსაც განვიხილავ. მამაჩემის ფაქტორი არაფერ შუაშია, არავის უთქვამს და არ წამოუძახებია, რომ ზედმეტი ვარ, პირიქით, "სიმურგში" იჯარით გაშვებიდან მოყოლებული, კლუბში ჩემ მიმართ ინტერესი რეალურია, კარგად განეწყვნენ, მაგრამ თავად ვფიქრობ გარემოს შეცვლაზე. იქვე, აზერბაიჯანშიც ზამთარში ბევრი წინადადება იყო, ახლა კი არავისთან მილაპარაკია. შესაძლოა, საქართველოშიც დავბრუნდე, მაგრამ აქ არავინ იცის და, შესაძლოა, არავინ ელის, რომ შეიძლება წამოვიდე. ახლა ეს ჩემზეა დამოკიდებული"* - გვითხრა ცხადაძემ.

შევიტყვეთ, რომ **ილია კანდელაკის** საკითხი გადაწყვეტილია – 30 წლის უნივერსალი ბაქოს "ინტერთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ექსლეგიონერი

# აკინო ბრაზილიაშიც ბრწყინავს

## ჰეთ თრიქი 9 წუთში!



ანდერსონ აკინო

**ანდერსონ აკინომ**, რომელიც შარშან რუსთავის "ოლიმპის" შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა, ბრაზილიის ჩემპიონატშიც გაიბრწყინა. ბრაზილიური სერია A-ს მესამე ტურში მისმა "კურიტიბამ" 5:1 გაანადგურა "ვასკო და გამა" და პირველი ქულები მოიპოვა, აკინომ კი თავი ჰეთთრიქით გამოიჩინა. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მან გოლები ცხრაწუთიან ინტერვალში (მე-11, მე-15 და მე-20 წუთებზე) გაიტანა, მოედანზე კი მხოლოდ 61 წუთი დაჰყო.

რა გვეთქმის – აკინოს წარმატებებს ვუსურვებთ, მაგრამ გული იმაზე გვწყდება, ქართულ ფეხბურთს რომ ველარ გამოადგება. საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე სიარული მის სანახავადაც ღირდა და არც ის იქნებოდა ურიგო, აკინოს საქართველოს მოქალაქეობა მიეღო. ამ შემთხვევაში იგი ჩვენი ეროვნული გუნდის რეალური კანდიდატი უნდა ყოფილიყო. ისიც აღსანიშნავია, რომ აკინო მხოლოდ 24 წლისაა და კარიერაში მეტის მიღწევა შეუძლია.

"ოლიმპიდან" წასვლის შემდეგ, სადაც 2009-10 წლების სეზონი გაატარა და საქართველოს ჩემპიონატში 26 გოლი გაიტანა, მას მინსკის "დინამო" იწვევდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნდა. "კურიტიბაში" აკინო რამდენიმე თვის წინ გადავიდა, მანამდე კი "პარანას" ღირსებას იცავდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# „ოლიმპის" ყველა მატჩი

**I ეტაპი**

**I წრე**

| | | |
|---|---|---|
| II ტური | ტორპედო-ოლიმპი | 1:1 |
| III ტური | ოლიმპი-დინამო | 1:0 |
| IV ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 1:0 |
| V ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 2:0 |
| I ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| VI ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| VII ტური | კოლხეთი-ოლიმპი | 5:1 |
| VIII ტური | ოლიმპი-სამტრედია | 3:0 |
| IX ტური | სიონი-ოლიმპი | 2:1 |

**II წრე**

| | | |
|---|---|---|
| X ტური | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 0:4 |
| XI ტური | ოლიმპი-ტორპედო | 0:0 |
| XIV ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 2:3 |
| XII ტური | დინამო-ოლიმპი | 1:1 |
| XIII ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 1:0 |
| XV ტური | ბაია-ოლიმპი | 0:1 |
| XVI ტური | ოლიმპი-კოლხეთი | 2:0 |
| XVII ტური | სამტრედია-ოლიმპი | 1:1 |
| XVIII ტური | ოლიმპი-სიონი | 3:1 |

**II ეტაპი**

**III წრე**

| | | |
|---|---|---|
| XIX ტური | ოლიმპი-ვიტ ჯორჯია | 2:1 |
| XX ტური | ოლიმპი-ტორპედო | 1:1 |
| XXI ტური | ოლიმპი-დინამო | 1:0 |
| XXII ტური | ზესტაფონი-ოლიმპი | 2:0 |
| XXIII ტური | ოლიმპი-სპარტაკი | 1:0 |
| XXIV ტური | ოლიმპი-ბაია | 2:0 |
| XXV ტური | კოლხეთი-ოლიმპი | 0:0 |
| XXVI ტური | ოლიმპი-სამტრედია | 4:0 |
| XXVII ტური | სიონი-ოლიმპი | 1:0 |

**IV წრე**

| | | |
|---|---|---|
| XXVIII ტური | ვიტ ჯორჯია-ოლიმპი | 0:1 |
| XXIX ტური | ტორპედო-ოლიმპი | 2:1 |
| XXX ტური | დინამო-ოლიმპი | 2:0 |
| XXXI ტური | ოლიმპი-ზესტაფონი | 1:2 |
| XXXII ტური | სპარტაკი-ოლიმპი | 0:2 |
| XXXIII ტური | ბაია-ოლიმპი | 3:1 |
| XXXIV ტური | ოლიმპი-კოლხეთი | 0:1 |
| XXXV ტური | სამტრედია-ოლიმპი | 0:4 |
| XXXVI ტური | ოლიმპი-სიონი | 2:1 |

# „ოლიმპის" ფეხბურთელების მონაგარი



თორნიკე მაისურაძე

**მწვრთნელები**

თემურ მახარაძე (I-VII, IX)
არმაზ ჯელაძე, იური გაბისკირია (VIII)
რამაზ მუმლაძე (X-XVII)
თორნიკე მაისურაძე (XVIII-XXXVI)

მეკარეები: გრიგოლ ბედიაშვილი-23, ზურაბ ბათიაშვილი-11, გრიგოლ ჭანტურია-4;

მცველები: გიორგი რეხვიაშვილი-32 (2), დენის დობროვოლსკი-31 (1), ალექსანდრე კვახაძე-29 (2), ლაშა ჯაფარიძე-26, რევაზ ქემოკლიძე-24, თეიმურაზ ღონღაძე-16, გიორგი მურველაშვილი-13 (1), ივანე კანდელაკი-3, გიორგი გორდეზიანი-2, დავით ხოჭოლავა-2;

ნახევარმცველები: დავით ბოლქვაძე-32 (7), გიორგი ქავთარაძე-31 (2), რევაზ გეწაძე-30 (6), ლუკა რაზმაძე-28(5), გიორგი ჭელიძე-25, ირაკლი მაისურაძე-14 (2), ვაკო ტყემალაძე- 14 (2), ვაკო ყაზაიშვილი-7 (1), რომან ახალკაცი-4, გიორგი აბურჯანია-3, ლევან სეთურიძე-2, ილია კერძევაძე-1, ლაშა ქოჩლაძე-1;

თავდამსხმელები: ირაკლი მოდებაძე-34 (16), გიორგი ბერიაშვილი-16 (2), ილია პავლიაშვილი- 13 (1), ჯაბა უგულავა-7 (1), სანდრო იაშვილი-5, რევაზ ბარაბაძე-2, ზურაბ ქურდობაძე-2, თორნიკე ბახტაძე-2.



ირაკლი მოდებაძე

მოსაზრება



მასიმო მორატი

# მორატის 5 ოცნება

ბოლო დროს, მასიმო მორატი ხშირად ურთიერთობს ჟურნალისტებთან და საინტერესო კომენტარებსაც აკეთებს. ამას წინათ, სამუელ ეტოო ლიონელ მესის შეადარა და განაცხადა, რომ კამერუნელი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა მისი გუნდისთვის, ვიდრე არგენტინელი „ბარსელონასთვის“. ამჯერად, სინიორ მასიმომ მის საოცნებო ტრანსფერებზე ისაუბრა და იმ ფეხბურთელების ტოპ 5-ეული შეადგინა, რომლებსაც სიამოვნებით იხილავდა „ინტერის“ ამუნიციით. მაშ ასე, მორატის ხუთი ოცნება მისივე კომენტარებით...

**5. ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)**

**ჟულიო სეზარის** საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ის უდავოდ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო კიპერია, მაგრამ დღეს მინდა გამოვტყდე, რომ **ჯანლუიჯი ბუფონს** სიამოვნებით ვიხილავდი “ინტერის” მაისურით. ჯიჯის თამაშის მანერა ყველასგან გამორჩეულია, ისე იოლად უმკლავდება ურთულეს დარტყმებს, რომ იფიქრებ, მის კარში გოლის გატანა შეუძლებელია. ვიმუშავებთ თუ არა მის გადაბირებაზე? – შესაძლოა მოვსინჯოთ კიდეც ძალები, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ საქმიდან რამე გამოვიდეს.

**4. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)**

ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ **უეინ რუნი** კიდევ უფრო დავაფასე. არ ვიცი, რამდენი კილომეტრი გაირბინა, მაგრამ ამდენი ეშრომოს ფეხბურთელს, არ მახსენდება. მთელი სული და გული ჩადო თამაშში და იმაში, რომ “ბარსელონამ” მაინც გაიმარჯვა, ყველაზე ნაკლებად სწორედ ის არის დამნაშავე. მებრძოლი ფეხბურთელების მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით ვიყავი განწყობილი და როდესაც, ამას ტექნიკა და მოედნის შესანიშნავი ხედვა ერწყმის, მოთამაშე ფასდაუდებელი ხდება. რუნი მართლაც ფასდაუდებელია და ამიტომ, აზრადაც არ მომსვლია მის ტრანსფერზე მოლაპარაკების წამოწყება.

**3. კრიშტიანო რონალდო (რეალი)**

**კრიშტიანო რონალდოს** ტრანსფერზე ერთი ხანობა სერიოზულად ვფიქრობდით და არც ცდა დავაკელით, მაგრამ “რეალმა” გვაჯობა და პორტუგალიელი მადრიდში წაიყვანა. რა შეიძლება ითქვას პორტუგალიელზე, ჩემი აზრით, მას ამპლუა არ აქვს – არც ნახევარმცველია და არც თავდამსხმელი, სადღაც მათ შორის არის და იმდენი გოლი გააქვს, ნებისმიერ სუფთა ფორვარდს შეშურდება. სივრცე სჭირდება შესაძლებლობების გამოსავლენად და ეს ნამდვილად ნაკლია, მაგრამ სხვა ბევრ კომპონენტში უდავოდ საუკეთესოა მსოფლიოში.

**2. დანიელე დე როსი (რომა)**

შესაძლოა ბევრს გაუკვირდა, რომ ჩამონათვალში **დანიელე დე როსი** მოხვდა, მაგრამ ჩემი აზრით, ის საუკეთესო ნახევარმცველია მსოფლიოში. ზემოთაც ვთქვი, რომ მებრძოლი ფეხბურთელები მომწონს და რომაელი სწორედ მათ კატეგორიას მიეკუთვნება. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ “ინტერის” სათამაშო მონახაზში იდეალურად ჩაეწერებოდა. ვეცდები თუ არა მის გადაბირებას? – შესაძლოა დავფიქრდე ამ საკითხზე, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ. “რომას” ახალი მესვეურები ჰყავს, გუნდში რეორგანიზაციის პერიოდია და ასეთ დროს ტრანსფერზე საუბარი უტოპიაა. დიდია შანსი, **ვინჩენცო მონტელა** სხვა მწვრთნელმა ჩაანაცვლოს, ვისაც თავისი ხედვა ექნება თითოეულ ფეხბურთელთან დაკავშირებით. ერთი ვიცი, დე როსი ნამდვილი რომაელია და მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს “ჯალოროსის”, თუ კლუბმა თქვა მასზე უარი.

**1. ლიონელ მესი (ბარსელონა)**

ვგონებ, ნებისმიერი კლუბის პრეზიდენტი იტყოდა, რომ მისთვის ყველაზე სასურველი **ლიონელ მესის** გადაბირებაა. გამონაკლისი არც მე ვარ და ღიად ვაცხადებ, რომ არგენტინელის სანაცვლოდ ძალიან ბევრს მივცემდი. თუმცა, ეს ძალიან ბევრი საკმარისი არ არის და ამიტომ, მოლაპარაკების წამოწყება არც კი მიცდია. უბრალოდ, რეალისტი ვარ და დროის ფუჭად კარგვა არ მიყვარს. თუ ოდესმე გაჩნდა მესის გადაბირების შანსი, ოცნების ასასრულებლად ყველა ღონეს ვიხმარ. არის თუ არა მესი მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი? – ეს პროვოკაციული კითხვაა და პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. ლიონელი უდიდესი მოთამაშეა, თუმცა იმ აზრს ვეთანხმები, რომ სანაკრებო დონეზე ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

რომა

# კონტი ტიფოზებს ამშვიდებს

## ტოტი ლიგაზე ოცნებობს

მართალია, სატრანსფერო ფანჯარა ჯერ არ გახსნილა, მაგრამ გუნდებმა უკვე მოასწრეს გაძლიერება. განსაკუთრებით ეს „იუვენტუსზე“ ითქმის, ტურინელებმა ორი ფეხბურთელი უკვე დაიმატეს და დღე-დღეზე კიდევ ერთს გაიფორმებენ. ერთი რომ **ანდრეა პირლო** გახლავთ, ყველას კარგად მოგეხსენებათ, მეორე კი **რეტო ციგლერია**, მარცხენა მცველი, რომელიც გასულ სეზონში გენუის „სამპდორიაში“ ასპარეზობდა. რაც შეეხება თითქმის გადაბირებულს, ეს **გეკჰან ინლერი** გახლავთ „უდინეზედან“, რომელიც უკვე აღარ მალავს, რომ დიდი სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას „ბიანკონერიში“.

რა ხდება ამ დროს „რომაში“, გუნდში, რომელსაც ახალი მეპატრონე ჰყავს და რომელიც გულშემატკივრებს სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას ჰპირდება - ჯერჯერობით, სრული სიმშვიდეა და ერთი, რაც შეგვიძლია უკვე თამამად ვთქვათ, **ფილიპ მექსეს** „მილანში“ გადაბარგების ამბავია. „ჯალოროსის“ სპორტული დირექტორი **ბრუნო კონტი** ტიფოზებს ამშვიდებს და აცხადებს, რომ სულ მალე ვითარება რადიკალურად შეიცვლება:

*„ახალი მესვეურები კლუბთან გაცნობის პროცესში არიან და მენეჯმენტის კუთხით გარკვეულ სიახლეებს გეგმავენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან პირველ რიგში, კარგად უნდა გაერკვნენ ვითარებაში და უკვე შემდეგ შეუდგნენ იმ სტრატეგიული გეგმების განხორციელებას, რომლებიც დასახულია. გულშემატკივრებს ყველაზე მეტად სატრანსფერო საკითხები აღელვებთ და მინდა ვუთხრა მათ, რომ ამ მხრივაც სერიოზული მიზნებია დასახული. ჯერჯერობით, კონკრეტული გვარების დასახელება გამიჭირდება, მაგრამ ვიცი, რომ მინიმუმ ხუთი-ექვსი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის გადაბირებაა დაგეგმილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონიდან „რომა“ სულ სხვა, გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი იქნება“.*

იტალიელი ჟურნალისტები **ფრანჩესკო ტოტისაც** გაესაუბრნენ და მისი აზრიც მოისმინეს: *„სრულებით არ ვნერვიულობ, რომ ჯერჯერობით არც ერთი ფეხბურთელი არ დაგვიმატებია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სატრანსფერო ფანჯარა პირველ ივლისს იხსნება და იქამდე მხოლოდ მოლაპარაკების წარმოებაა შესაძლებელი. კლუბის ახალ მეპატრონეებზე დიდ იმედებს ვამყარებ და ვიცი, რომ სერიოზული გეგმები აქვთ. დარწმუნებული ვარ, მომდევნო სეზონიდან „რომა“ გაცილებით უფრო ძლიერი გუნდი იქნება და ბევრად უკეთესად ითამაშებს როგორც ეროვნულ პირველობაზე, ისე ევროპულ ასპარეზზე. დიდი იმედი მაქვს, რომ კარიერის დასრულებამდე, ჩემპიონთა ლიგის მოგებას მოვახერხებ. სანაკრებო კარიერა უკვე დავასრულე, ამიტომ, ეს ყველაზე დიდი ოცნებაა, რომლის ახდენისთვის ენერგიას არ დავზოგავ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



# პრანდელი: როსი ესპანეთში უნდა დარჩეს



იტალია-ესტონეთის შეხვედრაში ერთ-ერთი საუკეთესო **ჯუზეპე როსი** იყო – ბალტიისპირელთა კარში გატანილი სამი გოლიდან, ერთი მის ანგარიშზეა და ესეც რომ არა, მთლიანობაში ძალიან კარგად გაისარჯა. როსის ასპარეზობით მეტად კმაყოფილი დარჩა იტალიის ეროვნული ნაკრების თავკაცი **ჩეზარე პრანდელი**, რომელმაც პრესას შემდეგი განუცხადა:

*„როსი იმ ფეხბურთელთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის საკუთარ გუნდში ხილვასაც ნებისმიერი მწვრთნელი ისურვებდა. ძალიან სწრაფია, უაღრესად ტექნიკური და მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს. ამასთან, კარგად იცის, როგორ და როდის გაექცეს თამაშგარე მდგომარეობას, რაც ფორვარდისთვის ძალიან დიდი პლუსია. ვიცი, რომ მასზე იტალიურ გუნდებს ნადირობა აქვთ გამოცხადებული, მაგრამ, ჩემი აზრით, მან ესპანეთში უნდა გააგრძელოს კარიერა. როსის სათამაშო მანერა იდეალურად ერწყმის ესპანური ფეხბურთის სტილს და სწორედ ამიტომ, ყოველწლიურად პროგრესირებს“.*



## უცხოური ფეხბურთი

### მანჩესტერ იუნაიტედი


სამირ ნასრი


ეშლი იანგი


ლუკა მოდრიჩი

# ნასრი, იანგი და მოდრიჩი

„არსენალის“ 23 წლის ფრანგი ნახევარმცველი **სამირ ნასრი** მზად არის პრინციპული მოწინააღმდეგის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბანაკში გადაბარგდეს. ეს, რასაკვირველია, სენსაციურად ჟღერს, მაგრამ ფაქტია, რომ „მეთოფეთა“ ვარსკვლავმა, რომელიც „ემირეიტ სთედიუმზე“ 2008 წლიდან თამაშობს და მის შემადგენლობაში 84 შეხვედრა (18 გოლი) აქვს ჩატარებული, იკითხა, ნეტავ „იუნაიტედის“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში ვარ თუ არაო.

ნასრიმ თქვა: *„ნამდვილად არ ვიცი, მოვაწერ თუ არა „არსენალთან“ ახალ ხელშეკრულებას ხელს. „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლა თუ მინდა? მოდი, ჯერ გავიგებ, რამდენად რეალურია ამ ტრანსფერის ამბავი და მერე გაგცემთ პასუხს“.*

ნასრის „არსენალთან“ ერთი წელიწადილა აკავშირებს. დღეს მისი ფასი 25 მილიონი ფუნტია. საინტერესოა, რომ „იუნაიტედის“ ამბავი ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმაც** გაიგო. მან თქვა:

*„რაც უნდათ ის თქვან. მე ერთი რამის გარანტიას გაძლევთ, ნასრის „მანჩესტერ იუნაიტედს“ არ მივყიდით. ეს გამორიცხულია.“*

„არსენალამდე“ სამირ ნასრი სამშობლოში, „მარსელში“ თამაშობდა. „ველოდრომზე“ მას 121 შეხვედრაში 11 გოლი აქვს გატანილი.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ უკავშირებენ „ასტონ ვილას“ 25 წლის გარემარბის, **ეშლი იანგის** სახელსაც. უფრო სწორად, იანგმა თქვა, რომ „ვილადან“ წასვლა უნდა, რათა ჩემპიონთა ლიგის დონეზე შეამოწმოს თავისი ნიჭი და უნარი, პრესა-ტელევიზიაში კი ითქვა, რომ ამ ფეხბურთელის შეძენის მსურველთა შორის ყველაზე მეტად „იუნაიტედი“ აქტიურობს. 20 მილიონ ფუნტად დაფასებული ფეხბურთელის ყიდვა „ლივერპულსაც“ სურს, მაგრამ მერსისაიდელები ჩემპიონთა ლიგისგან შორს არიან.

იანგმა თქვა: *„მინდა ძალები უმაღლეს დონეზე მოვსინჯო. ვოცნებობ ვითამაშო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე და, რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგაში“.*

„ასტონ ვილამდე“ ეშლი იანგი „უოტფორდში“ გამოდიოდა. ინგლისის ნაკრებში მას 15 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

და კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელსაც „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლის პერსპექტივა აქვს, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 25 წლის გამთამაშებელი **ლუკა მოდრიჩია**. ამბობენ, რომ 20 მილიონ ფუნტად შეფასებულ ხორვატს, „იუნაიტედის“ შეფი სერ **ალექს ფერგიუსონი** ძალიან აფასებს. შოტლანდიელს მოდრიჩი, თურმე, **პოლ სქოულზის** იდეალურ შემცვლელად ესახება. „სფურზი“ ოფიციალურად აცხადებას, რომ მოდრიჩის გაყიდვას არ აპირებს, მაგრამ კულუარებში ლონდონური კლუბის მაღალჩინოსნებიც კი ამბობენ, რომ ეს ტრანსფერი გარდაუვალია.

„სანს“ „დეზების“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ასეთი რამ უამბო:

*„საქმე ის არის, რომ ტრანსფერზე მუშაობა აგენტებმა კი არ დაიწყეს, სერ ალექს ფერგიუსონმა ჰარი რედნაპს პირადად უთხრა, როგორ მოსწონს მოდრიჩის ფეხბურთი და როგორ უნდა, რომ ეს ფეხბურთელი მის გუნდში იყოს. ჰარის, მართალია, გამთამაშებლის შენარჩუნება უნდა, მაგრამ იცის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდძალ ფულს გამოვა და „სფურზის“ დირექტორატი ამ თანხაზე უარს ვერ იტყვის. შესაბამისად, რედნაპი ცდილობს, რაც შეიძლება მალე მოაგვაროს „ლივერპულისგან“ ჯო კოულის ყიდვის საქმე, რათა მოდრიჩს შედარებით თავისუფლად შეელიოს“.*

### ინგლისის ნაკრები

# დაღლა რა მოსატანია

ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ პირსმა** სასტიკად გააკრიტიკა „დიდი“ ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელოცა** და მისი ფეხბურთელებიც, რომელთაც შაბათს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში შვეიცარიასთან 2:2 ითამაშეს. ყველაზე მეტად პირსი იმან გაალიზიანა, რომ კაპელომ ცუდი შედეგი მოთამაშეთა დაღლილობას დააბრალა. 49 წლის სპეციალისტმა თქვა:

*„მე ბრაიან კლაფის სკოლა მაქვს გამოვლილი. კლაფის სწავლების მთავარი იდეა ასეთი გახლავთ: „ჩვენ ყოველთვის მეტოქეზე დასვენებულები ვართ“, და არ ყოფილა შემთხვევა, ამ პრინციპს შედეგი რომ არ მოეტანა. სხვა სიტყვებით, საქმე მარტივადაა: თუ შენ მენტალურად სალად ხარ, სხეულს რასაც გინდა იმას უზამ, როგორც გინდა ისე დატვირთავ. ამიტომაც, დაღლილობაზე ლაპარაკი ისეთი რამ არის, რასაც მე გასამართლებელ საბუთად არც ერთი მწვრთნელისგან არ მივიღებ“.*

ბარემ, აქვე შეგახსენებთ, რა თქვა კაპელომ მორიგი ქულების დაკარგვის შემდეგ, მან განაცხადა:

*„ჩვენ მაღალი დონის გუნდი გვყავს, მაგრამ სერიოზული პრობლემა გვაქვს. ეს ენერგიის ნაკლებობაა. მარტო მე არ ვამბობ, რომ ეს ფეხბურთელები ძალიან დაღლილები არიან. ყველანი კარგად ხედავდით, რაც ხდებოდა მოედანზე. ჯეკ უილშირი ბოლო 10 წუთის განმავლობაში გაძლებაზე იყო“.*


ფაბიო კაპელო

### ტრანსფერი

# ჰენდერსონი ლივერპულს მიუახლოვდა

„მანჩესტერ იუნაიტედს“ იმედი ჰქონდა, რომ „სანდერლენდის“ 20 წლის ნახევარმცველ **ჯორდან ჰენდერსონს** გადაიბირებდა, მაგრამ საქმეები ისე წავიდა, რომ ფეხბურთელს, რომელსაც ინგლისის ნაკრებში ჯერჯერობით ერთი თამაში აქვს ჩატარებული, „ლივერპული“ უფრო შეიძენს. ყოველ შემთხვევაში, თავად ჰენდერსონს მერსისაიდზე უნდა გადაბარგება. მოვლენათა ასეთი განვითარება არც „შავი კატების“ თავკაც **სტივ ბრუსს** აძლევდა ხელს. საქმე ის გახლავთ, რომ ბრუსს „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ **დარონ გიბსონის**, **დენი უილბეკის** და **ვეს ბრაუნის** ყიდვა უნდოდა და ფიქრობდა, რომ მათ საფასურს მთლიანად ფულით კი არ გადაიხდიდა, არამედ გარკვეულ ნაწილს ჰენდერსონში გაქვითავდა. ახლა „სანდერლენდის“ თავკაცს თანხა სრულად აქვს მოსაძიებელი.

ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელს „ლივერპული“, სავარაუდოდ, ოთხშაბათს იყიდის. „წითლებს“ ამ საქმისთვის 18 მილიონი ფუნტი აქვთ გადადებული. სხვათა შორის, მერსისაიდისკენ უჭირავს გეზი „იფსვიჩის“ 18 წლის თავდამსხმელ **კონორ უიკჰემსაც**, რომლის შეძენა **კენი დალგლიშს** თავიდან იაფად უნდოდა, მაგრამ შემდეგ 10 მილიონი ფუნტის გამეტება მოუხდა.

### ყვითელი პრესიდან

# ბინძური ღალატი


ძმები გიგზები და დედა ლინი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ 37 წლის ვარსკვლავის, **რაიან გიგზის** უმცროსმა ძმამ, 34 წლის **როდრი გიგზმა** სახლიდან ცოლი გააგდო. მიზეზი: აღმოჩნდა, რომ ქალი უფროს ძმასთან, რაიანთან ღალატობდა, თან მთელი 8 წლის განმავლობაში.

საბრალო როდრი ორმხრივ ნალალატები დარჩა. ერთი მხრივ, მას ათი თვის წინ მოყვანილმა მეუღლემ „დაადგა რქები“, მეორე მხრივ კი - საკუთარმა ძმამ. შეგახსენებთ, რომ „იუნაიტედის“ ვარსკვლავი ისედაც შარში იყო გახვეული. მას მერე, რაც ცნობილი გახდა, რომ ის უელსელ მოდელსა და ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხის „რეალითი შოუს“ მონაწილე **იმოგენ ტომასს** ყვარობდა, ცხადია, შინ საქმეები აერია და ცოლთან შესარიგებლად ათასი ხერხის მონახვა დასჭირდა და უცებ... რძალი!

თავს დატეხილი უბედურებისგან დაზაფრული როდრი სიმწრისგან ძლივს ლაპარაკობდა: *„შაბათს ის ჯერ კიდევ ცოლად მიმაჩნდა, მაგრამ დღეს ასე აღარ არის“.*

დღეს, ბრიტანული გაზეთები წერენ, რომ ყველაფერი იმოგენ ტომასის ამბით დაიწყო. მოგეხსენებათ, გიგზმა მოახერხა და უელსელ მოდელს, ინგლისური კანონმდებლობის დახმარებით, იურიდიულად აუკრძალა მისი ვინაობის გამხელა. სხვა სიტყვებით, მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ტომასს სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდა პრემიერლიგის მავან ფეხბურთელთან, თუმცა, კერძოდ რომელ ფეხბურთელზე იყო ლაპარაკი, არავინ იცოდა. მოდელს სატრფო რომ დაესახელებინა, დიდძალი ჯარიმის გადახდა მოუწევდა. ამან, უკუეფექტი გამოიღო. მასმედიაში დიდხანს მსჯელობდნენ იმაზე, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ოჯახის პატრონი ვარსკვლავი, რომელიც ვინაობის დასახელებამ ასე დააშინა, თუმცა როგორც შემდეგ გაირკვა, სინამდვილეში ყველას ყველაფერი სცოდნია — სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ მთელი მოსახლეობა პირდაპირ ასახელებდა გიგზის გვარს. ერთი სიტყვით, დამალვამ აზრი დაკარგა და მავანმა უფლებამოსილმა პოლიტიკოსმა იურიდიული აკრძალვაც მოხსნა.

ახლა კი ის ვთქვათ, რატომ მოვყევით იმოგენ ტონასის ამბავს, როდესაც ეს წერილი გიგზისა და მისი რძლის სამარცხვინო ურთიერთობას ეხება. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ამბის გახმაურებამ მარტო გიგზის კანონიერი მეუღლე კი არა, რძალი ნატაშაც ალაშფოთა — თავი მოტყუებულად ჩათვალა, იეჭვიანა.

„სანი“ წერს, რომ განადგურებულ როდრის ძმაკაცები, მათ შორის უელსელი ტელემსახიობი **უილ მელორი** ამშვიდებდნენ, რაიანი კი, ამასობაში, ესპანეთში გახლდათ, მეუღლეს, **სტეისი კუკს** ურიგდებოდა.

ესპანეთის ამბავზე ცოტა უფრო დეტალურად ვთქვათ: სტეისი და ორი შვილი, 8 წლის **ლიბი** და 4 წლის **ზაკი** ესპანეთში რაიანის გარეშე იყვნენ წასულები, ვარსკვლავმა კი კერძო თვითმფრინავი იქირავა და ჩააკითხა, რათა მეუღლეს (რომელმაც ნატაშას ამბავი ჯერ არ იცოდა) შერიგებოდა.

საინტერესო იყო ძმები გიგზების მამის, 55 წლის **დენი უილსონის** კომენტარი. შეგახსენებთ, რომ ამ ინგლისელმა კაცმა, რომელიც ოდესღაც „სუინტონში“ რაგბის თამაშობდა, უელსელი მეუღლე, გიგზების დედა **ლინი** მიატოვა და გაბრაზებული ვაჟებიც მის ჯიბრზე გადავიდნენ დედის გვარსა და ეროვნებაზე. მამის ჯინაზე თამაშობს ამდენი წლის განმავლობაში რაიან გიგზი არა ინგლისის, არამედ უელსის ნაკრებში.

მისტერ უილსონმა თქვა: *„რაიანის საქციელმა გული მატკინა, მაგრამ მისით მაინც ვამაყობ. მე რაიანით ყოველთვის ვამაყობდი. იმედი მაქვს, ცხოვრების რთულ პერიოდს მალე დაძლევს“.*

### ჩემპიონთა ლიგის ფინალი

# 2013 ისევ უემბლიზე?



„უემბლიმ“ 2011 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს ისე უმასპინძლა, რომ დიდი შანსია ორი წლის შემდეგ, შეჯიბრების დამაგვირგვინებელი მატჩი ისევ ლონდონის მთავარ სარბიელზე გაიმართოს. როგორც ჩანს, უეფას წარმომადგენლებს ადგილობრივმა ინფრასტრუქტურამ მოსჭრა უპირველეს ყოვლისა თვალი. ამასთან, ისინი ითვალისწინებენ, რომ სხვა ქალაქები, რომლებიც ლიგის ფინალის სამასპინძლოდ თავს სთავაზობენ, ბევრ საკითხში მოუმზადებლები არიან.

28 მაისის დილას, სანამ „ბარსელონა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 3:1-ს მოუგებდა, უეფას წარმომადგენლები „უემბლის“ სტადიონის თანამშრომლებს შეხვდნენ და პირდაპირ უთხრეს, რომ, რაც 1992 წელს ჩემპიონთა თასი ჩემპიონთა ლიგად გადაკეთდა, ასე მზად სტადიონი ფინალს არ დახვედრია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თანამშრომლები განსაკუთრებული ქების ღირსნი გახდნენ. თამაშის დასრულების შემდეგ ითქვა ისიც, რომ მატჩს დიდი კომერციული წარმატება ჰქონდა, რითაც, რასაკვირველია, საკუთრივ „უემბლის“ სტადიონმაც ძალიან იხეირა.

დავაზუსტოთ, ფეხბურთის ასოციაციამ ამ ერთი მატჩით მილიონი ფუნტი მოიგო, მაშინ, როდესაც ტრადიციულად ყველაზე შემომტანი ღონისძიება, მაღალი რანგის როკ-კონცერტი, საშუალოდ 250 ათას ფუნტს სტოვებს. შევადაროთ, ეს ფინალი იმავე გუნდების მონაწილეობით ჩატარებულ ორი წლის წინ რომში, რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ ჩატარებულ ფინალსაც. მაშინ, მოგება სულ რაღაც 125 ათასი ფუნტი იყო.

ბილეთების ფასი, „უემბლიზე“, 225-დან 4 ათას ფუნტამდე მერყეობდა. 225 ფუნტი ჩვეულებრივი ბილეთი ღირდა, შემდეგ კი მომსახურების მიხედვით ძვირდებოდა. როგორც ტაბლოიდები ვარაუდობენ, მარტო ბილეთებით ვაჭრობამ დაახლოებით 50 მილიონი ფუნტი მოიტანა.

შემდეგი ფინალი მიუნხენის „ალიანს არენაზეა“ დანიშნული, მაგრამ უეფა არჩევანით მაინც და მაინც კმაყოფილი არ არის, რადგან ეს სტადიონი სპორსორებთან ცუდ ურთიერთობაშია და დავა რით დასრულდება, არავინ იცის.

2013 წლის ფინალი კი იმითაც იქნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ ის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის 150 წლისთავს ემთხვევა. ცნობისათვის: „უემბლიზე“ დღეისათვის ჩემპიონთა თასის გათამაშების ყველაზე მეტი ფინალი ჩატარებულა. პირველად ეს 1963 წელს მოხდა, როდესაც ერთმანეთის პირისპირ „მილანი“ და „ბენფიკა“ წარდგნენ (მილანელებმა 2:1 მოიგეს), სულ კი აქ ექვსი ფინალი გაიმართა: 1963, 1968, 1971, 1978, 1992, 2011.

თუ 2013 წლის ფინალს მართლა „უემბლიზე“ ჩაატარებენ, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე სტადიონი სამ წელიწადში ორჯერ უმასპინძლებს ფინალს. აქამდე, ორ ფინალს შორის ყველაზე „მოკლე მანძილი“ ისევ და ისევ „უემბლიზე“ გახლდათ — 1968, 1971. ასეთივე სხვაობა იყო ვენაში, „პრატერშტადიონზე“, იმავე **ერნსტ ჰაპელის** სახელობის სტადიონზე ჩატარებულ ფინალებს შორის — 1987, 1990.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო ფაქტები

# საოცნებო და საზარელი დებიუტები

## მესი: ეს ის თამაში არ არის, რომელზეც ვოცნებობდი


ზინედინ ზიდანი

ძველი ანდაზა გვეუბნება, რომ ცხოვრებაში არასოდეს მოგეცემა მეორე შანსი მოახდინო პირველი შთაბეჭდილება. არსად ისე არ ამართლებს ეს ფრაზა, როგორც ფეხბურთში. პირველმა თამაშმა შეიძლება, ფეხბურთელს ბრწყინვალე პლატფორმა შეუქმნას, ან კიდევ წარუმატებელი კარიერისთვის გაწიროს. ფიფა-ს ოფიციალურმა საიტმა გამოჩხრიკა, ყველაზე საინტერესო დებიუტები - ფეხბურთელებს ხომ არასოდესავიწყდებათ პირველი მატჩები კლუბისა თუ ნაკრების მაისურით.

დავიწყოთ მათით, ვინც წარუშლელი კვალი დატოვეს ფეხბურთში, რომელთა დიდებული კარიერის გამეორება ერთეულებს თუ ძალუძთ - ავილოთ, **ზინედინ ზიდანი**. მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი „ლე ბლეს“ შემადგენლობაში პირველად 1994 წლის აგვისტოში მიიწვიეს, მაშინ „ზიზუ“ „ბორდოს“ ახალბედა და ახალგაზრდა ნახევარმცველი იყო. ფრანგებმა ეს მატჩი ჩეხებთან 2:2 ითამაშეს, ხოლო ზიდანი შეცვლაზე შევიდა 0:2-ზე და თამაშის გმირიც გახდა, თუმცა თავიდან...

*„დავიწყე საშინლად - საჯარიმო დარტყმა შევასრულე და ძალიან არაზუსტად. მერე ორი-სამი ისეთი არაზუსტი პასი გავაკეთე, რომ 22 წლის ბიჭს კი არა, 80 წლის ბაბუას არ გაუჭირდებოდა სწორად გაეკეთებინა“*, - იხსენებს ფრანგი. შემდეგ კი დებიუტანტმა გმირობა ჩაიდინა - პირველი გოლი ცაციათი გაიტანა, მეორე კი - თავურით.

საოცარი დებიუტი ჰქონდა 1984 წლის თებერვალში „რეალის“ რიგებში **ემილიო ბუტრაგენიოს**. 20 წლის ფეხბურთელში დიდი მომავალი **ალფრედო დი სტეფანომ** შენიშნა. როცა ბუტრაგენიო მოედანზე გავიდა „რეალი“ „კადისთან“ 0:2-ს აგებდა. თამაში „სამეფო კლუბმა“ 3:2 მოიგო - დებიუტანტის ანგარიშზე ორი გოლი და საგოლე პასი იყო!

**უეინ რუნის** დებიუტს „მანჩესტერ იუნაიტედში“ კი საოცარზე მეტი ეთქმის - 18 წლის ფორვარდმა პირველად ჩემპიონთა ლიგის მატჩში ითამაშა „ფენერბაჰჩეს“ წინააღმდეგ და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გახდა, რომელმაც ჰეთ თრიკი შეასრულა - „მანჩესტერმა“ ის თამაში 6:2 მოიგო.

დებიუტანტი რუნი **ხავიერ სავიოლასთან** შედარებით ვეტერანი გამოდის - ხავიერს „რივერ პლეიტში“ 1998 წლის ოქტომბერში ჰქონდა დებიუტი, როცა ის ჯერ კიდევ 16 წლის იყო. აქამდე „ელ კონეხოს“ სულ რამდენჯერმე ევარჯიშა „რივერის“ ძირითად გუნდთან ერთად, სულ ეს იყო. როცა „ბაჭიას“ უთხრეს, რომ სათადარიგო იქნებოდა, ყურებს არ უჯერებდა, თუმცა შევიდა და პირველივე მატჩში გოლი გაიტანა: *„სკამზე ჯდომაც კი საოცრება იყო. სამჯერ გადავამოწმე, რომ მართლა შემიყვანეს თუ არა მატჩის ოქმში. იმ დღეს სახლში დავაგვიანე და შინ ინერვიულეს. არავინ ელოდა, რომ თამაში მომიწევდა, მაგრამ რომ გამოვჩნდი, ყველას დიდებული ამბავი მოვუყევი და მთელი ოჯახი სიხარულისგან ვტიროდით“*.

თუკი სავიოლას გამოჩენას არავინ ელოდა, „ევერტონელი“ **ტონი კოტის** დებიუტი ყველას აინტერესებდა - 1988 წელს ის ბრიტანეთის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი იყო (ლივერპულელებმა მასში 2 მილიონი ფუნტი გადაიხადეს). დღეს კოტი სატელევიზიო საფეხბურთო მიმომხილველია - იცით, რა ქნა კოტიმ პირველივე მატჩში? „ნიუკასლს“ 34-ე წამზე (!) გაუტანა, ის თამაში „ევერტონმა“ 4:0 მოიგო, კოტიმ კი ჰეთ თრიკი შეასრულა!

სულ ახალი ამბავიც გავიხსენოთ - **ჯამპაოლო პაცინის** სანაცვლოდ ამ სეზონში „ინტერმა“ 12 მილიონი გადაიხადა და პაცინიმ ტრანსფერიდან მეორე დღესვე დაიწყო ამ თანხის ანაზღაურება - „პალერმოსთან“ თამაშში ახლადგამომცხვარმა ინტერისტამ 2 გოლი გაიტანა და თამაშის მიწურულს პენალტი მოუპოვა გუნდს: *„ასეთ დებიუტზე არც კი მიოცნებია“*, - თქვა მან.


ემილიო ბუტრაგენიო


უეინ რუნი


ხავიერ სავიოლა


ლიონელ მესი

მაგრამ ვერავინ ვერასდროს გაიმეორებს 1934 წლის მუნდიალის მონაწილე **ისიდრო ლანგარას** დებიუტს. ესპანელი, რომელიც 1939 წელს სამოქალაქო ომს გაექცა და არგენტინაში წავიდა ემიგრაციაში - საბრალო, სამშობლოდან ნავით გაიქცა და ამ სატრანსპორტო საშუალებით მოუწია ოკეანის გადალახვა. მას ხეირიანად მყარ მიწაზე არ ჰქონდა ფეხი დადგმული, რომ „სან ლორენსოს“ წარმომადგენლები მივიდნენ და დაიყოლიეს „რივერ პლეიტის“ წინააღმდეგ მათ გუნდში ეთამაშა... იმავე საღამოს! ლანგარამ 28 წუთის განმავლობაში „სან ლორენსოს“ ოთხივე გოლი გაიტანა, გუნდმა კი ეს მატჩი 4:2 მოიგო!

ზოგიერთი ფეხბურთელი ვერასდროს დაივიწყებს თავის დებიუტს არა კარგი თამაშის გამო, არამედ სულ სხვა მიზეზით - **მარკო ვან ბასტენმა** „აიაქსში“ **იოჰან კრუიფი** შეცვალა. **ეიდურ გუდიონსენმა** კი ისლანდიის ნაკრებში მამა - **არნორ გუდიონსენი**.

სხვა საინტერესო დებიუტებიც გავიხსენოთ: **ჯიმი გრივსს** „ჩელსიში“, „ტოტენჰემში“, „მილანში“, „ვესტ ჰემსა“ და ინგლისის ნაკრებში უთამაშია და ყველა სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა. **ალან შირერმა** „საუთჰემპტონში“ სადებიუტო მატჩში (ოღონდ, სასტარტო შემადგენლობაში) ჰეთ თრიკი შეასრულა და ინგლისურ ფეხბურთში ჰეთ თრიკის ყველაზე ახალგაზრდა ავტორი გახდა (სხვათა შორის, გრივსის რეკორდი დაამხო). მანვე გაიტანა სადებიუტო მატჩებში, როგორც „ბლექბერნში“, ასევე - ინგლისის ნაკრებში.

თუმცა ყველა საოცარ დებიუტს კარგი გაგრძელება არ მოჰყოლია - იტალიელმა **ფაბრიციო რავანელიმ** „მიდლსბროს“ რიგებში დებიუტი „ლივერპულის“ კარში ჰეთ თრიკით აღნიშნა, მაგრამ იმ სეზონში „ბორო“ გავარდა, იტალიელი კი გუნდიდან გაუშვეს. ურუგვაელმა **ალვარო რეკობამ** „ინტერში“ სადებიუტო შეხვედრაში დუბლი შეასრულა და „ბრეშიასთან“ მოაგებინა თავის ახალ გუნდს. ამის შემდეგ კარგა ხანს ელოდნენ რეკობას გაბრწყინებას მილანში, ამაოდ...

საოცნებოდან კოშმარულ დებიუტებზე გადავიდეთ, ისეთებზე, რომელთა შემდეგაც კარიერის გამოსწორება ძნელია. თითქმის ერთი წელი ელოდა ტრავმების გამო გატანჯული **ჯონათან ვუდგეიტი** დებიუტს „სამეფო კლუბში“ და პირველივე მატჩში თავი ავტოგოლითა და წითელი ბარათით „გამოიჩინა“. **მიშელ პლატინის** „შემცვლელად“ აღიარებულმა **ალექსანდრ ზავაროვმა** „იუვენტუსის“ მაისურით პირველ მატჩში ავტოგოლი შეაგდო, შემდეგ საკუთარ დრიბლინგში აიხლართა და თავი სერიოზულად დაიშავა.

ნათელი მაგალითი, როგორ შეიძლება გაუფუჭოს ფეხბურთელს კარიერა სადებიუტო კოშმარმა - 32 წლის **ჯეისონ ქროუს** ახლა ბევრი ვერ გაიხსენებს, ის რანგით მესამე ლიგის „ლეიტონ ორიენტში“ თამაშობს. არადა, მას ინგილისის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ მარჯვენა მცველად მიიჩნევდნენ. „არსენალში“ მის პოზიციაზე **ლი დიქსონი** თამაშობდა, რის გამოც ახალგაზრდას დებიუტის საშუალება კარგა ხანს ვერ მიეცა და აი, 1997 წელს მას ლიგის თასზე „ბირმინგემ სიტის“ წინააღმდეგ უხმეს სათადარიგოთა სკამიდან - ქროუ შევიდა და 33 წამში სერიოზული ტრავმა მიაყენა **მარტინ ოკონორს**. ჯეისონი ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მალე გაძევებული დებიუტანტი გახდა და ალბათ ამ „ტიტულს“ მას ვერავინ ჩამოართმევს. ამის შემდეგ ქროუს „არსენალის“ ორ შეხვედრაში კიდევ გააგორებინეს ბურთი. ახლა სად არის ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ტალანტი, უკვე მოგახსენეთ.


პატრის ევრა (მარჯვნივ)

ახლა კიდევ უარეს ისტორიას მოვყვებით: როცა ახალგაზრდა მეკარე პირველად თამაშობს, ბუნებრივია, ის კარის მშრალად შენახვაზე ოცნებობს. ასეთი ოცნებით გავიდა 1934 წელს „ჰალიფაქსის“ გოლკიპერი **სენტლი მილტონიც** მოედანზე და... „სტოკპორტთან“ მატჩში 13 გოლი გაუშვა. 0:13 ახლაც ითვლება ინგლისური საფეხბურთო ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდ მარცხად. სხვათა შორის, მილტონს პირველ ტაიმში არა უშავდა, მხოლოდ 2 გოლი გაუშვა, მერედამერე დაიწყო კოშმარული ამბები მის კართან...

საბედნიეროდ, დებიუტი მნიშვნელოვანია, თუმცა არა განმსაზღვრელი ფეხბურთელის კარიერისთვის. ბევრი ისეთი შემთხვევაც გვახსოვს, როცა ცუდმა დებიუტმა ამა თუ იმ ფეხბურთელს ხელი ვერ შეუშალა ბრწყინვალე კარიერაში. ფრანგი **პატრის ევრა** პირველად მანჩესტერულ დერბიში საოცრად დაჩაგრა „სიტის“ **ტრევორ სინკლერმა**, თუმცა შემდეგში ევრამ მყარად დაიმკვიდრა ადგილი „იუნაიტედის“ დაცვის მარცხენა ფრთაზე. ცუდად დაიწყო „სელტიკში“ კარიერა შვედმა **ჰენრიკ ლარსონმაც**, „ჰიბერნიანის“ ფეხბურთელს გაატანინა და გლაზგოურმა კლუბმა წააგო. მაგრამ შემდეგი 7 სეზონი ლარსონმა ისე ითამაშა, რომ კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა.

სასაცილო რამ დამართეს ახალგაზრდა **ლილიან ტურამს**, როცა ის პირველად თამაშობდა „მონაკოს“ რიგებში - *„მეკარეს, მეკარეს მიეცი“*, - ჩაესმა ტურამს და მანაც უკან დააბრუნა ბურთი, რომელიც „მეცის“ ფორვარდმა **ფრანსუა კალდერარომ** ჩაჭრა და გაიტანა. თურმე ტურამს სწორედ კალდერარო უყვიროდა.

დიად ფეხბურთელებსაც ჰქონიათ საშინელი დებიუტები: გავიხსენოთ იოჰან კრუიფის დებიუტი ჰოლანდიის ნაკრებში - „მფრინავი ჰოლანდიელი“ გააძევეს. **ლეო მესიმ** არგენტინის ნაკრების მაისურა მოირგო და... 40 წამში უნგრელ **ვალმოშ ვანჩაკს** სახეში იდაყვი მოსცხო, რისთვისაც „ლა პულგამ“ თვალწინ წითელი ბარათი იხილა. „ეს ის თამაში არ არის, რომელზეც ვოცნებობდი“, - იძახდა მესი მატჩის შემდეგ. თუმცა მესიმ და კრუიფმა დაამტკიცეს, რომ პირველი შთაბეჭდილება ზოგჯერ მცდარია...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ალან შირერი


ჯონათან ვუდგეიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალის შემდეგ

# ფრანგული დანაკარგი?

**ფრანგულმა საიტმა „მედიაპარტმა" ცოტა ხნის წინ საფრანგეთში არნახულ სკანდალს დაუდო სათავე, როცა გასული წლის შემოდგომაზე გამართული ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის სტენოგრამა გამოაქვეყნა. მოგეხსენებათ, ლორან ბლანს ბრალი რასიზმში დასდეს, თუმცა მოგვიანებით მისი და ფედერაციის ტექნიკური დირექტორის ფრანსუა ბლაკარის წინააღმდეგ საქმის წარმოება შეწყდა. იმის დასამტკიცებლად, რომ ბლანის შიშები პრაქტიკულად უსაფუძვლო იყო, ერთ-ერთმა ფრანგულმა გაზეთმა იმ ფეხბურთელების სახელები მოიძია, ვისაც პოტენციურად შეეძლო „სამფეროვნების" ღირსების დაცვა, მაგრამ არჩევანი ისტორიულ სამშობლოზე შეაჩერა.**

ლიგა 1-ის დასრულებულ სეზონში 20 კლუბს სულ 524 ფეხბურთელი ჰყავდა განაცხადში. აქედან 196-ს, ანუ 37%-ს, ორმაგი მოქალაქეობა აქვს. „ტრანფერმარკტის" გამოთვლით, ყველაზე მეტი ორმაგი მოქალაქე „ლორიანს" ჰყავდა (14), ყველაზე ცოტა კი „ოსერსა" და „კანს" (5-5). მაშ ასე, გადავდივართ იმ ფეხბურთელების გაცნობაზე, ვინც საფრანგეთმა დაკარგა (ან არ დაუკარგავს). წაიკითხეთ და თავად დარწმუნდებით, **ლილიან ტურამი** ცამდე მართალია, როცა ამბობს, რომ ფეხბურთელები ასეთ არჩევანს მხოლოდ მაშინ აკეთებენ, როცა საფრანგეთის ნაკრებში დამკვიდრების შანსს ვერ ხედავენო.

**იუნეს ბელჰანდა** - 21 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „მონპელიე". დაბადების ადგილი: ავინიონი, საფრანგეთი. 4 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2010 წლიდან მაროკოს ნაკრებშია - 3 შეხვედრა.

**მუსა სოვი** - 25 წლის, თავდამსხმელი. კლუბი: „ლილი". დაბადების ადგილი: მანტ ლა ჟოლი, საფრანგეთი. 2 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2009 წლიდან სენეგალის ნაკრებშია - 10 მატჩი, 3 გოლი.

**ჟაკ ფატი** - 27 წლის, მცველი. კლუბი: „სოშო". დაბადების ადგილი: ვილნევ სან ჟორჟი, საფრანგეთი. 40 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შემადგენლობაში. 2009 წლიდან სენეგალის ნაკრებშია - 6 მატჩი.

**რიშარ სუმა** - 24 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ბრესტი". დაბადების ადგილი: კრეტეი, საფრანგეთი. 2 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2010 წლიდან გვინეის ნაკრებშია - 2 მატჩი.

**ემერს ფაე** - 27 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ნიცა". დაბადების ადგილი: ნანტი, საფრანგეთი. 28 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შემადგენლობაში. 2005 წლიდან კოტ დ'ივუარის ნაკრებშია - 42 მატჩი, 1 გოლი.

**პიერ-ემერიკ ობამეიანგი** - 21 წლის, თავდამსხმელი. კლუბი: „სენტ ეტიენი". დაბადების ადგილი: პარიზი, საფრანგეთი. 1 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2009 წლიდან გაბონის ნაკრებშია - 12 მატჩი, 3 გოლი.

**რაზაკ ბუკარი** - 24 წლის, თავდამსხმელი. კლუბი: „რენი". დაბადების ადგილი: ლომე, ტოგო. 2 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2009 წლიდან ტოგოს ნაკრებშია - 4 მატჩი.

**მამადუ სამასა** - 25 წლის, თავდამსხმელი. კლუბი: „ვალანსიენი". დაბადების ადგილი: პარიზი, საფრანგეთი. 6 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2009 წლიდან მალის ნაკრებშია - 3 მატჩი, 1 გოლი.

**შაუქი ბენ საადა** - 27 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ნიცა". დაბადების ადგილი: ბასტია, საფრანგეთი. 13 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შემადგენლობაში. 2005 წლიდან ტუნისის ნაკრებშია - 38 მატჩი, 4 გოლი.

**ჰასან იებდა** - 26 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ნაპოლი", იტალია. დაბადების ადგილი: სენ მორისი, საფრანგეთი. 56 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შემადგენლობაში. 2009 წლიდან ალჟირის ნაკრებშია - 15 მატჩი, 1 გოლი.

**მურად მეგნი** - 27 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ლაციო", იტალია. დაბადების ადგილი: პარიზი, საფრანგეთი. 16 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შემადგენლობაში. 2009 წლიდან ალჟირის ნაკრებშია - 9 მატჩი.

**სებასტიან ბასონგი** - 24 წლის, მცველი. კლუბი: „ტოტენჰემი", ინგლისი. დაბადების ადგილი: პარიზი, საფრანგეთი. 2 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2009 წლიდან კამერუნის ნაკრებშია- 14 მატჩი.

**იუსუფ მულუმბუ** - 24 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ვესტ ბრომვიჩი", ინგლისი. დაბადების ადგილი: კინშასა, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. 3 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2009 წლიდან კონგოს ნაკრებშია- 8 მატჩი.

**რიად ბუდებუზი** - 21 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „სოშო". დაბადების ადგილი: კოლმარი, საფრანგეთი. 12 თამაში საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში. 2010 წლიდან ალჟირის ნაკრებშია - 6 მატჩი.

**ნადირ ბელჰაჯი** - 28 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „ალ სადა", საუდის არაბეთი. დაბადების ადგილი: სენ კლო, საფრანგეთი. 2 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2004 წლიდან ალჟირის ნაკრებშია - 51 მატჩი, 5 გოლი.

**ალექს სონგი** - 23 წლის, ნახევარმცველი. კლუბი: „არსენალი", ინგლისი. დაბადების ადგილი: დუალა, კამერუნი. 6 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2008 წლიდან კამერუნის ნაკრებშია - 24 მატჩი.

**მარუან შამახი** – 27 წლის თავდამსხმელი. კლუბი: „არსენალი", ინგლისი. დაბადების ადგილი: ტონენი, საფრანგეთი. 1 თამაში საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში. 2003 წლიდან მაროკოს ნაკრებშია 53 მატჩი, 27 გოლი.

საინტერესოა, ზემოთ დასახელებული 17 ფეხბურთელიდან, გამომდინარე მისი სათამაშო კლასიდან, რამდენს შეიძლებოდა ჰქონოდა საფრანგეთის ნაკრებში მოხვედრის სამართლიანი პრეტენზია? ალბათ ალექს სონგს, მუსა სოვსა და ჰასან იებდას. უფრო შორს თუ წავალთ, მაშინ **ბენუა ასუ ეკოტოს** გახსენებაც შეიძლება, რომელიც საფრანგეთის პატარა ქალაქ არასში დაიბადა. თუმცა ის სხვებზე პრინციპული გამოდგა და კამერუნის ნაკრებიდან მიწვევა ისე მიიღო, რომ საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში არასოდეს უასპარეზია. ვერ ვიტყვით, რომ დავადგინეთ, მაგრამ ვარაუდი კი გამოვთქვით, რომ საფრანგეთსა და მის ფარგლებს გარეთ მოთამაშე 200-ზე მეტი ორპასპორტიანი ფეხბურთელისგან მხოლოდ 4 შეძლებდა სამფეროვანთა გაძლიერებას. ღირს კი ამდენი პოტენციურად ძლიერი ფეხბურთელისთვის რაღაც კვოტებზე ლაპარაკი?

საინტერესო სტატისტიკაა, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ალჟირის ნაკრების 23 ფეხბურთელიდან 18 სწორედ საფრანგეთში იყო დაბადებული. შეგახსენებთ, რომ ეს ქვეყანა 1830 წლიდან 1962-მდე საფრანგეთის კოლონია იყო. კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საფეხბურთო სკოლებში დაკავებული ბავშვების 45%-ს ორმაგი მოქალაქეობა აქვს.

ახლა კი უბრალოდ ჩამოვთვალოთ ის ფეხბურთელები, რომელთაც ასევე შეეძლოთ მათთვის მშობლიური ქვეყნების სასარგებლოდ გაეკეთებინათ არჩევანი, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებში თამაში არჩიეს. „აფრიკელები": **სტივ მანდანდა, ბაკარი სანია, პატრის ევრა, მამადუ სახო, კაელ კლიში, როდნი ფანი, ერიკ აბიდალი, ბენუა ტრემულინასი, აბუ დიაბი, ბლეზ მატუიდი, ალი სისოკო, იან მვილა, ლასანა დიარა, ალუ დიარა, ფლორან მალუდა, გიიომ ორო, ლოიკ რემი, დიმიტრი პაიე, ჯიმი ბრიანი.** „არაბები": **ადილ რამი, სამირ ნასრი, ჰატემ ბენ არფა, კარიმ ბენზემა.**

დაბოლოს, ისინი გავიხსენოთ, ვინც „დარჩნენ" საფრანგეთის ნაკრებში: **უგო ლორისი, ფილიპ მექსესი, მატიე დებიუში, ანტონ რევეიერი, ლორან კოშელნი, იოან კაბაი, ფრანკ რიბერი, იოან გურკუფი, მატიე ვალბუენა, ჟერემი მენეზი, კევინ გამეირო.**

**ლევან ბიბილაშვილი**



იშვიათი გამონაკლისთაგანი - მუსა სოვს საფრანგეთის ნაკრების გაძლიერება ნამდვილად შეეძლო

შახტარი



ნერი კასტილიო

# უკრაინის ჩემპიონი ბალასტს იშორებს

როგორც ჩანს, დონეცკის „შახტარის" რიგებში ჩარიცხული მექსიკელი თავდამსხმელი **ნერი კასტილიო** უკრაინის ჩემპიონთან ურთიერთობას სულ მალე დაუსვამს წერტილს. 26 წლის ფეხბურთელმა დონეცკელებთან 2007 წელს 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობასთან და სამწვრთნელო შტაბთან ურთიერთობა თავიდანვე დაეძაბა. ერთი წლის განმავლობაში 12 თამაშში მან სულ რალაც 1 გოლი გაიტანა. შემდეგ კი რიგრიგობით იჯარით უთმობდნენ „მანჩესტერ სიტის", „დნიპროსა" და „ჩიკაგო ფაიერს". 2011 წლის იანვარში ის უკვე სალონიკის „არისში" გაუშვეს, სადაც პირველად 3 წლის განმავლობაში (!) საკლუბო დონეზე გოლის გატანა მოახერხა. დიდი ალბათობით მრავალტანჯული ფეხბურთელი ბედს მალე დაუკავშირებს ბერძნულ კლუბს, რადგან კასტილიოს ტრანსფერში ისინი 1,2 მილიონ ევროს იხდიან და ამ თანხას უკრაინელებიც სჯერდებიან. თავის მხრივ ფეხბურთელი უარს აცხადებს კლუბისგან ყოველგვარი კომპენსაციის მოთხოვნაზე. ამით „შახტარს" ერთი დიდი თავის ტკივილი მოშორდება.

უკრაინული ვებგვერდების ცნობით, კიევის „ობოლონის" მეკარე **ალექსანდრ რიბკა** ახლოსაა „შახტარში" გადასვლასთან. მართალია, დაინტერესების თაობაზე პრესას ინფორმაცია კარგა ხანია ჰქონდა, მაგრამ ოფიციალურად დეტალებზე ლაპარაკს ყველა გაურბოდა. გეტყვით, რომ რიბკა კიევის „დინამოს" აკადემიის აღზრდილია, სადაც გაატარა კიდეც კარიერის დიდი ნაწილი. „ობოლონში" კი უკანასკნელი სეზონი ჩაატარა, სადაც 22 შეხვედრაში 24 გოლი გაუშვა და თავი ყველას სტაბილური ასპარეზობით დაამახსოვრა.

ამბები

## აგენტი უარყოფს



მიშელ ბასტოსი

"ნერაძურიში" ბრაზილიელი არ გადავაო, - განაცხადა **მიშელ ბასტოსის** აგენტმა მას მერე, რაც ევროპულ პრესაში დაირხა ხმები, თითქოს, "ლიონის" უნივერსალ მარცხენაფლანგელს "იუვეს" გარდა "ინტერიც" ეპატიჟებოდა. არადა, აღნიშნულ ინფორმაციას საკმაოდ გავლენიანი ევროპული გამოცემები ავრცელებდნენ. "წარმოდგენა არ მაქვს ასეთ ინტერესზე. ალბათ "ინტერის" ხელმძღვანელობა მიშელის კალიბრის სხვა ფეხბურთელს ეძებს. მასმედიას კიდევ სხვა რა უნდა? წერს და წერს გადაუმოწმებელ ამბებს ჩემს კლიენტზე," – განუცხადა **ფაბიო პარიზიმ** იტალიურ სააგენტოებს.

## ტვენტედან ლიონში?

ჰოლანდიური პრესის ცნობით, იმ შემთხვევაში, თუკი "ლიონის" მთავარი მწვრთნელი **კლოდ პიუელი** თანამდებობიდან წავიდა, მის ადგილს "ტვენტეს" დამრიგებელი, წარსულის ლეგენდარული მეკარე, 52 წლის **მიშელ პრუიდომი** დაიკავებს. მართალია, მუსიე მიშელს აქამდე სახელოვან და მდიდარ კლუბებში არ უმუშავია, მაგრამ ტიტულები მაინც არ აკლია. 2008 წელს ლიეჟის "სტანდარდთან" ერთად მან ბელგიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 2010-ში კი ქვეყნის თასი. ამავე წელს ის სამუშაოდ "ტვენტეში" მივიდა, სადაც ჰოლანდიის თასი მოიგო და ჩემპიონის ტიტულამდე ერთი ნაბიჯილა დააკლდა.

## სამწვრთნელო გადაადგილებები

"ბორდოს" მთავარ მწვრთნელად 51 წლის **ფრანსის ჟიიო** დაინიშნა. ეს სპეციალისტი მხოლოდ "სოშოში" მუშაობით არის ცნობილი. ან დასრულებულ სეზონში მისი ხელმძღვანელობით ამ კლუბმა ლიგა 1-ში არნახულად ძლიერად იასპარეზა და მე-5 ადგილი დაიკავა.

ლიგაში კიდევ ერთი სამწვრთნელო ცვლილების შესახებ გუშინ გაცხადდა: "ოსერის" ყოფილი თავკაცი **ჟან ფერნანდესი** ახალი სეზონიდან სათავეში "ნანსის" ჩაუდგება. თავად სპეციალისტი გახარებულია, რადგან მისი თქმით, "ნანსის" ხელმძღვანელობას დიდი გეგმები აქვს და მასაც სწორედ ასეთ ამბიციურ კლუბში მუშაობის პერსპექტივა ხიბლავს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი



ბავარიული მიდი-მოდი: მიროსლავ კლოზე მიდის, მანუელ ნოიერი მოდის

# კლოზემ გადაწყვიტა: მივდივარ!

## მიროს ხელში ჩაგდება ვალენსიასაც უნდა

მაშ ასე, როგორც მოსალოდნელი იყო, **მიროსლავ კლოზემ** „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე უარი თქვა, რაც იმას ნიშნავს, რომ 32 წლის თავდამსხმელი ოთხწლიანი მოღვაწეობის შემდეგ რეკორდმაისტერს დატოვებს. მიროს მიუნხენური გრანდის ფორმით ბუნდესლიგაში 98 მატჩი აქვს ჩატარებული ( 24 გოლი, 17 პასი). ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას ფორვარდი, რომელიც ხუთშაბათს 33 წლის ხდება.

გასულ სეზონში კლოზე უმეტესად „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამს ხეხავდა – მიუნხენელთა ყოფილი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** მას ძალიან იშვიათად ენდობოდა. ამ სეზონში კლოზემ ბუნდესლიგის 20 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და აქედან მხოლოდ 9-ჯერ იყო ძირითად შემადგენლობაში (ერთი გოლი), რაც ძალიან ცუდი შედეგია ისეთი თავდამსხმელისთვის, რომელიც ჯერ კიდევ გერმანიის ნაკრებში ასპარეზობს და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე არა მარტო განაცხადში ყოფნა, არამედ თამაშიც უნდა.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამისა, კლოზეს, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 109 მატჩში 61 გოლი აქვს გატანილი, „ბაიერნში" დარჩენა უნდოდა. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებთან შეთანხმებას კი იმის გამო ვერ მიაღწია, რომ ბავარიელები მას მხოლოდ ერთწლიან ხელშეკრულებას და მინიმუმ 20 მატჩში სასტარტოში გამწესებას სთავაზობდნენ, კლოზეს კი მინიმუმ ორწლიანი კონტრაქტი სურდა.

*„კლოზესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება ძალიან გვინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ ხელშეკრულების ვადაზე ვერ შევთანხმდით,* - აცხადებს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და დასძენს, - *მიუნხენის „ბაიერნის" სახელით მიროს წარმატებებს ვუსურვებ და დიდ მადლობას ვუხდი ამ 4 წლის მანძილზე გაწეული სამსახურისთვის."*

რეკორდმაისტერის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა კლოზეს კომენტარიც გაავრცელა: *„მიუნხენში ოთხი არაჩვეულებრივი წელი გავატარე, რისთვისაც კლუბს და მიუნხენელ გულშემატკივრებს მადლობას ვუხდი. „ბაიერნის" ფეხბურთელობა ჩემს კარიერაში განსაკუთრებული მოვლენა იყო.* „მიროს მომავალთან დაკავშირებით ჯერ არაფერია ცნობილი. მას რამდენიმე წინადადება აქვს, ყველაზე მეტად კი რომის „ლაციო" აქტიურობს, თუმცა რამდენიმე დღეა, რაც „ვალენსიაც" გააქტიურდა. ესპანურ კლუბს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში განაღდებული აქვს, რამაც, შესაძლოა, კლოზეს გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონიოს. „ბილდის" ცნობით, მირო უპირატესობას სწორედ „ვალენსიას" ანიჭებს.

გარკვეულია ისიც, რომ მიუხედავად კლოზეს დაკარგვისა, „ბაიერნი" ახალ თავდამსხმელს არ იყიდის. რამდენიმე დღის წინ რუმენიგემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს უთხრა, თუ მირო დაგვტოვებს, მომავალ მწვრთნელ **იუპ ჰაინკესთან** უკვე შეთანხმებულები ვართ იმაზე, რომ „ბაიერნი" ახალ თავდამსხმელს არ იყიდის და ახალი სეზონისთვის სამი ცენტრფორვარდით, **მარიო გომესით, ივიცა ოლიჩითა** და „კოტბუსიდან" ახლახან ნაყიდი **ნილს პეტერსენით** მოვემზადებითო. მართალია, რეკორდმაისტერის დარი კლუბისთვის სამი ცენტრალური თავდამსხმელი ცოტაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პოზიციაზე თამაში მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, 21 წლის **თომას მიულერსაც** შეუძლია.

**გოტფრიდ ლენცი**

ტრანსფერი

# შალკეს ახალი მარცხენა მცველი

## კრისტიან ფუხსმა ყენიას კლუბთან ოთხწლიანი გააფორმა


კრისტიან ფუხსი

გასულ სეზონში აშკარა იყო, რომ „შალკეს" ყველაზე მეტად მარცხენა მცველის პოზიციაზე უჭირდა, რის გამოც გელზენკირხენელებმა არ დააყოვნეს და ახალი სეზონისთვის პირველ რიგში სწორედ ეს პოზიცია გააძლიერეს. **ლევან ყენიას** კლუბმა ავსტრიის ნაკრების კაპიტანი **კრისტიან ფუხსი** იყიდა – ფეხბურთელი, რომელიც ამ სეზონში „მაინცის" ღირსებას იცავდა. მარცხენა მცველმა, რომელიც იდეალურად ასრულებს საჯარიმო დარტყმებს, გელზენკირხენულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ფუხსი „მაინცში" „ბოხუმიდან" იყო განათხოვრებული და ეს სეზონი იმდენად კარგად ჩაატარა, რომ მაინცელებმა ის საბოლოოდ გამოისყიდეს. თუმცა „მაინცმა" მისი შენარჩუნება ვერ შეძლო – კრისტიანის „შალკეში" ტრანსფერი გუშინ მაინცელთა მენეჯერმა **კრისტიან ჰაიდელმა** დაადასტურა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გაარკვიეს, რომ ფუხსის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, გარკვეული თანხის სანაცვლოდ მას „მაინციდან" წასვლა შეეძლებოდა და ჰაიდელი ამბობს, „შალკემ" სწორე დეს თანხა შემოგვთავაზაო. „კიკერის" ინფორმაციით, საუბარია დაახლოებით 5 მილიონ ევროზე. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ფუხსამდე „მაინცმა" ახალგაზრდა ლიდერი **ანდრე შიურლეც** დაკარგა, რომელიც მომავალ სეზონში „ლევერკუზენის" ღირსებას დაიცავს. ეს უკანასკნელი ამ სეზონში 15 გოლით „მაინცის" საუკეთესო ბომბარდირი გახლდათ და გაირკვა, რომ „ფარმაცევტებმა" მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. „მაინცს" კიდევ ერთ წამყვან მოთამაშესთან, **ლუის ჰოლტბისთანაც** უწევს გამომშვიდობება – ეს უკანასკნელი კარნავალელთა ღირსებას არენდის წესით იცავდა და ახლა ისევ „შალკეში" ბრუნდება.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰამბურგი

# ჯუჯაკი ჰამბურგში?

## უნგრელი ვარსკვლავი 5 მილიონი ღირს




ფეხბურთელი, რომელმაც 2009/2010 წლების სეზონში „ჰამბურგის" მცველები გაამწარა, ახლა ჩრდილოგერმანული კლუბისთვის სასურველი მოთამაშეების სიაში ერთ-ერთი პირველია. საუბარია 24 წლის უნგრელ ვარსკვლავ **ბალაჟ ჯუჯაკზე**, რომელიც „ეინდჰოვენის" ღირსებას იცავს. ზემოხსენებულ სეზონში მან ევროპის ლიგის მატჩში „ჰამბურგს" გოლიც გაუტანა და როგორც პირველ, ასევე საპასუხო შეხვედრაში, ჰამბურგელ მცველებს წამდაუწუმ ამწარებდა. ახლა კი, დიდი შანსია, რომ თვითონ გახდეს „ჰამბურგის" მოთამაშე. ჩრდილოელთა მაშინდელი მწვრთნელი **ბრუნო ლაბადია** იხსენებს, ეს იყო მოთამაშე, რომლის შეჩერება ყველაზე მეტად გვიჭირდაო.

ჯუჯაკის გადაბირება „ჰამბურგის" ახალმა შეფმა **ფრანკ არნესენმა** მოისურვა. უნგრელმა გასულ სეზონში ჰოლანდიის ჩემპიონატში 33 შეხვედრა ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა. ამასთან, მის ანგარიშზე 13 საგოლე პასია. 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ჯუჯაკს მარჯვენა ან მარცხენა შემტევი გარემარბის ფუნქციების შესრულება შეუძლია და თავს ორივე ფლანგზე ძალიან კარგად გრძნობს. ევროპის ლიგაში მან ამ სეზონში 6 გოლის გატანა მოახერხა, იანვარში კი „ეინდჰოვენთან" კონტრაქტი 2015 წლამდე გააგრძელა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰამბურგელები მას იაფად ვერ იყიდიან. თანაც, ჰოლანდიურ გრანდს ფინანსური პრობლემები აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ეინდჰოვენი" უნგრეთის 2010 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულ ჯუჯაკს 5 მილიონ ევროდ აფასებს.

**გოტფრიდ ლენცი**

ჰოფენჰაიმი

# იბიშევიჩს სოფელი მოჰბეზრდა

## ვედადს სამი ვარიანტი აქვს

დიდი შანსია, რომ 26 წლის ბოსნიელმა თავდამსხმელმა **ვედად იბიშევიჩმა** „ჰოფენჰაიმი" დატოვოს. მართალია, „სოფლელებთან" კონტრაქტი 2013 წლამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მას „ჰოფედან" წასვლა უნდა. გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა ისიც, რომ კლუბი თავის ყველა დროის საუკეთესო გოლეადორს (38 გოლი ბუნდესლიგაში) ტრანსფერში ხელს არ შეუშლის.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბოსნიის ნაკრების თავდამსხმელით სამი კლუბია დაინტერესებული. ამას „ჰოფეს" შეფებიც ადასტურებენ, მაგრამ მენეჯერი **ერნსტ ტანერი** ამბობს, რომ მისთვის კონკრეტული წინადადებით ჯერ არავის მიუმართავს, ინტერესი კი სწორედ სამმა კლუბმა გამოიჩინა. „ბილდის" ცნობით, ამ სამიდან ორი თურქული, ერთი კი ინგლისური კლუბია. პრემიერლიგიდან იბიშევიჩის გადაბირება „სანდერლენდს" უნდა, თურქეთიდან კი „ბეშიქთაშს" და „ტრაბზონსპორს". თვითონ ვედადს ყველაზე მეტად „ტრაბზონის" ვარიანტი ხიბლავს, რადგან ამ გუნდმა სუპერლიგაში მეორე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრაბზონელები მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ.

**გოტფრიდ ლენცი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ალექსის სანჩესი ბარსას დარჩება?


ალექსის სანჩესი

უახლოეს კვირებში „ბარსელონამ" შესაძლოა, კიდევ ერთი ბრძოლა მოუგოს „მანჩესტერ იუნაიტედს" - ლაპარაკია „უდინეზეს" ჩილელი ვარსკვლავის, **ალექსის სანჩესის** ტრანსფერზე. „უდინეზეს" პრეზიდენტმა **ფრანკო სოლდატიმ** განაცხადა, რომ „ბარსელონა" ფავორიტია სანჩესის ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლაში, კატალონიური გრანდის კონკურენტები კი „მანჩესტერ იუნაიტედი", „მანჩესტერ სიტი", „ინტერი" და „იუვენტუსი" არიან.

22 წლის სამხრეთამერიკელს სენსაციური სეზონი გამოუვიდა უდინეში, ის დიდად დაეხმარა გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში. რამდენიმე დღის წინათ, თავად სანჩესმა თქვა, რომ „ბარსელონაში" თამაში მისი ოცნებაა. გუშინ სოლდატიმ „რადიო სპორტივას" განუცხადა, რომ ბოლო დღეებში „ბარსა" აშკარა ფავორიტი გახდა: *„რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურს სანჩესი, მთელი წელია მას „იუნაიტედი" და „სიტი" უთვალთვალებენ. ასევე კარგა ხანია, ჩილელი „ბარსას" სურს და ახლა ეს გუნდი უფრო ფავორიტია, ვიდრე „იუვენტუსი".*

სამაგიეროდ, სოლდატიმ განაცხადა, რომ **გიოკჰან ინლერის** მომავალი კლუბი ალბათ „იუვენტუსი" იქნება, ხოლო **კვადვო ასამოა** კი „უდინეზეში" დარჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. მსოფლიოს თასი

# გენერალური რეპეტიცია მსოფლიოსთვის

## მწვრთნელის ნდობა

დღეს ანთალიაში მშვილდოსანთა მსოფლიოს თასის რიგით მეორე ტურნირი იწყება, რომელშიც 5 ქართველი მიიღებს მონაწილეობას: **ხათუნა ნარიმანიძე, ქრისტინე ესებუა, ასმათ დიასამიძე, ლანა ვერულიძე** და **ტარიელ ქადიძე**. როგორც ვხედავთ, ნაკრების კორეელმა თავკაცმა **ან-იონ სეუნმა** ვაჟთა შეჯიბრებაში მხოლოდ ერთი მონაწილე წაიყვანა. ქადიძე ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი კი არის, მაგრამ კორეელის რჩეულთა შორის პირველად მოხვდა. სეუნი ანთალიაში ახალგაზრდა **თეონა კუტალაძის** წაყვანასაც ფიქრობდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ მოზარდია და უფროსთათვის განკუთვნილ გრძელ დისტანციებზე უჭირს. ამიტომ მწვრთნელმა არჩევანი ვერულიძეზე შეაჩერა, რომელიც, ქადიძის მსგავსად, მის სიმპათიებს იმსახურებს. ვერულიძეც ნარიმანიძე-დიასამიძის თაობის მშვილდოსანია, იმ თაობისა, საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში რომ გამოვიდა ასპარეზზე. კორეელმა ის ერთხელ უკვე გამოცადა ნაკრებში. საინტერესოა, რომ მაშინაც ანთალიაში - ევროპის „დიდ პრიზზე" წაიყვანა. არც ვერულიძემ გაანბილა - შესარჩევ ეტაპზე 1239 ქულით 71 მონაწილეს შორის 19-ე ადგილზე გავიდა. ეს მაჩვენებელი ძალზე ახლოსაა 1250-ქულიან ოლიმპიურ ნორმატივთან, ჩვენს ექვსკაციან გუნდში კი მესამე შედეგი აღმოჩნდა ნარიმანიძისა და ესებუას შემდეგ.

ლობის გამარჯვებული **ჰუნ-ჰუნ იოო** და ვერცხლის მედალოსანი **იე ჯი კვაკი**. თუმცა ამ გუნდებში იმხელა კონკურენციაა და ლიდერები ისე სწრაფად იცვლებიან, ძნელია თქმა, ამ კონკრეტულ მომენტში ვინაა ლიდერი და ვინ - მეორე-მესამე ნომერი. ვინც ნაკრებში ადგილი დაკარგა, ესე იგი, ამ მომენტში სხვები უფრო ძლიერები არიან და ამდენად, ისიც საკითხავია, იმათი არყოფნა არის თუ არა დანაკლისი მსოფლიოს თასისთვის. იქაურებმა გუნდში ვინც უნდა დააყენონ, ყველა ლიდერია და ნებისმიერ შეჯიბრებაზეც ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტი იქნება. სხვა ლიდერები უკვე ანთალიაში არიან - მსოფლიოს ორგზის იტალიელი ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** თანაგუნდელ **ელენა ტონეტასა და პია კარმენ ლიონეტისთან** ერთად, ბრიტანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ალისონ ვილიამსონი** და მისი თანაგუნდელი **ნაომი ფოლკარდი**, კოლუმბიელი მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **ნატალია სანჩესი**, ფრანგი ევროპის ჩემპიონი **ბერენჟერე შუ**, კორეელი მსოფლიოს რეიტინგის ლიდერი **ბო ბაე კი**, უძლიერესი გუნდებით ჩავიდნენ ინდოეთი, იაპონია, რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, გერმანია და სხვები. თურქთა შემადგენლობაში კვლავ იასპარეზებს **ნატო ნასარიძე**, ამერიკელებსაც ძველებურად გაუძლვება ოლიმპიური პრიზიორი **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)**...

ანთალიაში დღეს საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება და გაირკვევიან პლეი ოფის მონაწილენი გუნდურშიც და პირადშიც. ხვალ და ზეგ უკვე პლეი ოფები გაიმართება, ოღონდ მხოლოდ პირადში, გუნდურში კი 10 ივნისს ჩატარდება, ოღონდ ორივე შემთხვევაში გამოვლინდებიან ფინალური შეხვედრების მონაწილენი. ფინალები პირად პირველობაში 11-ში გაიმართება, გუნდურში - 12-ში და ამით ტურნირიც დამთავრდება.

## მსოფლიოზე მხოლოდ ქალებით...

ამასობაში თითქმის გაირკვა 3-17 ივლისს ტურინში გასამართავ მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობა. კორეელი მწვრთნელის გადაწყვეტილებით, იქ ვაჟები არ გამოვლენ, რადგან მათი შედეგები ჯერჯერობით არ იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს და მხოლოდ ქალები იასპარეზებენ. თანაც, უცვლელი შემადგენლობით: ნარიმანიძე, ესებუა, დიასამიძე. სეუნის ამ გადაწყვეტილებას ფედერაციის ალმასკომიც დაეთანხმა, თუმცა შემადგენლობა ჯერ მაინც არაა საბოლოოდ დამტკიცებული - მწვრთნელი ანთალიური შეჯიბრების დასრულებას ელოდება და არაა გამორიცხული, რაღაც კორექტივებიც შეიტანოს. ვფიქრობთ, მას ყველაზე მეტად ვერულიძის გამოსვლა აინტერესებს, რომელმაც ანთალიაში წინა სტუმრობისას პატარა სენსაცია შემოგვთავაზა. ერთი სიტყვით, მსოფლიოს თასი მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია იქნება.

კორეელმაც და ფედერაციამაც ზემოაღნიშნულ გამგეობაზე ერთი მნიშვნელოვანი და ფრიად კომპრომისული გადაწყვეტილებაც მიიღეს - ტურინში სეუნს ნაკრების ძველი თავკაცი **თამაზ ფუტკარაძეც** დაეხმარება. დაგვეთანხმებით, ასეთი გადაწყვეტილება უცხოელის მხრიდან ფრიად გონივრული ნაბიჯია, არადა, სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში მხოლოდ საპირისპირო მაგალითები გვაქვს. ტურინში საქართველოს დელეგაციას მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი **არტემ სანიშვილი** უხელმძღვანელებს, რომელიც იქ საერთაშორისო ფედერაციის ორდღიან სემინარსაც დაესწრება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა, ოღონდ, ადრინდელისგან განსხვავებით, ამჯერად მთავარია არა პირადი, არამედ გუნდური შეჯიბრება - ლიცენზიას გუნდურში საუკეთესო 8 ნაკრები მიიღებს. თანაც უკლებლივ ყველა, სამივე წევრი ანუ 24 მონაწილე ტურინშივე გამოვლინდება. საქმე ცოტა აირევა, თუ ამ მოწინავე ოქტეტში ბრიტანეთიც მოხვდება, რაც სავსებით რეალურია. მოგეხსენებათ, მათ მასპინძლობის სტატუსით ლიცენზია ავტომატურად ეძლევათ, ამიტომ მსოფლიოზე ამ ოქტეტში მათი მოხვედრის შემთხვევაში IX-XVI ადგილებზე გასული გუნდები დამატებით ტურნირში იასპარეზებენ, მათ შორის გამარჯვებული ნაკრები კი ასევე შეუერთდება ლიცენზირებულებს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, როგორ ჯამდება გუნდური პირველობის შედეგები - იკრიბება პირად პირველობაში საკვალიფიკაციო ეტაპზე სამივე მონაწილის მიერ ნაჩვენები ქულები. თუ გავითვალისწინებთ, რომ პლეი ოფში 16 ნაკრები გადის, ჩვენებმა საგზურების მოსაპოვებლად ერთი წრე მაინც უნდა გაიარონ. იმედია, ასეც მოხდება.



## ელიტისა და 50 გუნდის მოლოდინში

ანთალიური შეჯიბრება ყოველთვის გამოირჩეოდა სიძლიერითა და ხალხმრავლობით, რასაც მისი ჩატარების ხელსაყრელი ვადებიც განაპირობებს - მუდამ მსოფლიოს პირველობისთვის მზადების უმნიშვნელოვანეს ეტაპზე იმართება, ბოლო წლებში კი ამას თავად ქალაქის, როგორც მსოფლიოში განთქმული საზღვაო კურორტის ფაქტორიც ემატება. თანაც ზაფხულში იმართება და არც შემადგენლობას უჩივის ოდესმე. შედეგად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეჯიბრებაა, მისი ავტორიტეტი კი საერთაშორისო ტურნირების ახლებურად დახარისხების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა, რადგან უძლიერესთა კატეგორიაში გავიდა. წინასწარი მონაცემებით, მასში ამჯერადაც მთელი ელიტა უნდა გამოვიდეს. მთლიანად შეჯიბრებაში, ყველა დისციპლინაში 50 გუნდი იასპარეზებს, რაც შთამბეჭდავი ციფრია, მათი უმეტესობა კი ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ქალთა ოლიმპიურ დისტანციაზეც გამოვა, სადაც თითქმის ყველა ლიდერი იქნება. გადახალისებული გუნდებით ჩადიან მსოფლიო მშვილდოსნობის ფავორიტები - ჩინეთი და კორეა. ჩინელებს არც ოლიმპიური ჩემპიონი **ჟუან-ჟუან ჭანგი** ეყოლებათ, ვინც ოლიმპიადებზე კორეელთა ნახევარსაუკუნოვანი ჰეგემონია დაამხო, და არც იმ გუნდის სხვა წევრები, რომლებიც გუნდურში პეკინის თამაშების ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. მთლიანადაა გადახალისებული კორეელთა გუნდიც, სადაც არ არიან მსოფლიოს ბოლო პირვე-

## რეიტინგი და ჩვენ

დასასრულ, კიდევ ერთი სიახლე - მაისის ბოლოს მშვილდოსნობის საერთაშორისო და ევროპულმა ფედერაციებმა ახალი რეიტინგები გამოაქვეყნეს, სადაც თვალსაჩინოა ჩვენი ქალთა ნაკრების წარმატება - საერთაშორისო მეექვსე ადგილზე არიან, ევროპულში - მეორეზე. საერთაშორისოში ჩვენები სამხრეთ კორეას, ჩინეთს, რუსეთს, ინდოეთს და იაპონიას ჩამორჩებიან. ამ ხუთეულში ევროპიდან მხოლოდ რუსეთია და სავსებით ლოგიკურია ევროპული ფედერაციის რეიტინგში დაფიქსირებული შედეგები - ლიდერი რუსეთია, ჩვენები კი მეორეზე არიან. პირად პირველობაში ჩვენგან საუკეთესო რეიტინგი ესებუას აქვს - მსოფლიოში 32-ეა, ევროპაში - 27-ე. სამწუხაროდ, ვაჟთა ნაკრებზე სალაპარაკო არაფერია, რადგან ის, პრაქტიკულად, არც არსებობს. კორეელი კი გვაიმედებს, რომ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის ვაჟთა გუნდიც გვეყოლება, რომელიც ლიცენზიის მოპოვებასაც შეძლებს. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს, რამდენად რეალურია მისი ოპტიმიზმი.

**ირაკლი თავაძე**

მძლეოსნობა



სამინისტროში შეხვედრისას

# ბაქოში ფრიადზე

## წარმატება, რომელიც დიდი სტიმულია

ბაქოში აზერბაიჯანის ღია პირველობაზე საქართველოს 22 მძლეოსანი (15 ვაჟი, 7 გოგონა) იცავდა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. შეიძლება ითქვას, რომ მათ „ფრიადზე" ჩააბარეს გამოცდა - 16 ოქროს, 11 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. საგულისხმოა, რომ სალომე რიგიშვილმა, რომელმაც შეჯიბრებაზე ორი ოქრო მოიპოვა, ბადრო 49,51-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნორმატივი შეასრულა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. გოგონები. **სალომე რიგიშვილი** (ბადრო-49,51, ბირთვი-13,54 მ), **მაია გოგოლაძე** (100 მ. თარჯებით-15,14), **სალომე სირაძე** (200 მ-26,22), **თეა ფაცურია** (400 მ. თარჯებით-1.06,67), **თამარ პაპუაშვილი** (1500 მ.-4.43,40), **გიული დენკანაძე** (3000 მ.-10.22,80), **სალომე სირაძე, თათია პაიკიძე, მაია გოგოლაძე, სოფიო მაჭავარიანი** (4X100 მ.-52,72), **თათია პაიკიძე** (სამმაგი-12,09 მ). ვაჟები. **ზურაბ გიგაია** (ბადრო-46,97 მ., ბირთვი-16,45 მ), **დავით ილარიანი** (110 მ. თარჯებით-14,65), **მერაბ ქინიძე** (1500 მ-3.56,60), **ზურაბ გოგოჭური** (სიმაღლეზე ხტომა-210), **ბოლესლავ სხირტლაძე** (სიგრძეზე ხტომა-7,35 მ.)

მეორე ადგილზე გავიდნენ: **გოგონები.** სალომე სირაძე (100 მ-12,74), თეა ფაცურია (400 მ-1.01,36), თამარ პაპუაშვილი (800 მ-2.23,56), გიული დეკანაძე (1500 მ-4.46,35), თათია პაიკიძე (სიგრძეზე ხტომა-5,35 მ), სოფიო მაჭავარიანი (სიმაღლეზე ხტომა-150 სმ); **ვაჟები.** ენდრიკ ზილბერშტეინი (200 მ-21,64), მერაბ ქინიძე (800 მ-1.52,62), გიგლა ზილბერშტეინი (3000 მ-8.52,01), ჯეირან ხოფერია (3000 მ. წინაღობებით-9.26,23), ხოლო 400 მეტრზე რბენაში ენდრიკ ზილბერშტეინი (48,35), 400 მეტრზე თარჯებით დენის ჟვანია (55,33), 800 მეტრზე თენგიზ ლვინჯილია (1.54,78) და სიგრძეზე ხტომაში ოთარ ხაჭაპურიძე (7,18) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

საგულისხმოა, რომ ბაქოს მძლესნურ სექტორებზე მასპინძლებთან და ქართველებთან ერთად მედლებისთვის სირიელი სპორტსმენებიც იბრძოდნენ. ორდღიანი პაექრობების შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენებმა პირველი ადგილი დაიკავეს. მეზობლებთან მიღწეული წარმატება, ვფიქრობთ, საქართველოს ათლეტებისთვის სამომავლოდ დიდი სტიმული იქნება.

გუშინ აზერბაიჯანიდან დაბრუნებულ მედალოსნებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** შეხვდა, რომელმაც წარმატება მიულოცა ჩვენს ათლეტებს და იმედი გამოთქვა, რომ ისინი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც სასურველ შედეგებს აჩვენებენ.

მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ალექსი ახვლედიანმა** შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველოს სპორტსმენები 17-20 ივნისს რეიკიავიკში (ისლანდია) ევროპის III ლიგის გუნდურ ჩემპიონატში მოსინჯავენ ძალებს, მანამდე კი თბილისში ათდღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან. „წლევანდელი სეზონი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან რამდენიმე პასუხსაგები შეჯიბრება მოგველის. კონტინენტის გუნდურ პირველობასთან ერთად ჩვენი ათლეტები ევროპისა და მსოფლიოს ინდივიდუალურ ჩემპიონატებსა და სალიცენზიო ტურნირებზე გამოვლენ. ვეცდებით, სახელმწიფოს თანადგომა ლონდონის 2012 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოპოვებით გავამართლოთ", - დასძინა ალექსი ახვლედიანმა.

**ვაჟა დანელია**

**თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო**

ჭადრაკი

# მე-9 ადგილით დაკმაყოფილდა

ბჰუბანეშვარში (ინდოეთი) დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი **მიხეილ მჭედლიშვილი** რეიტინგით (2629) მეორე ნომრად იყო განთესილი სომეხი **ტიგრან პეტროსიანის** (2634) შემდეგ. ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით ინდოელი **ვენკატეში** დაამარცხა, მაგრამ საბოლოოდ 8 ქულით მე-9 ადგილს ვერ გასცდა. სამაგიეროდ, ბელარუსმა **ალექსეი ალექსანდროვმა** იყოჩაღა. მართალია, მან ტურნირი სუსტად დაიწყო, მაგრამ მერე უმატა ტემპს, გუშინ ერთპიროვნული ლიდერი **ჩანდრან პანჩანადანი** (ინდოეთი) დაამარცხა და 9 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. დაზავდნენ **ებჯით გუფთა** (ინდოეთი) და ტიგრან პეტროსიანი. 8,5-8,5 ქულით მეორე-მეთხე ადგილები პეტროსიანმა, პანჩანადანმა და გუფთამ გაინაწილეს. 9 მოჭადრაკემ 8-8 ქულა მოაგროვა. მათ შორისაა მჭედლიშვილი.

**ვაჟა დანელია**

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ვეტერანი მუშაკი

**მარადი ძძამიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ორი ანა: ტატიშვილი VS ივანოვიჩი!

21 წლის ანა ტატიშვილი ძალიან ახლოს იყო ასეულთან, 2 მაისს მსოფლიოს 105-ე ჩოგანი იყო, „დიდი სლემის" ძირითად ბადეშიც პირველად იასპარეზა, მაგრამ ასე ერთბაშად ელიტაში შესვლა არ გამოუვიდა და გუშინდელ რეიტინგში, როგორც მოველოდით, გვარიანად დაიხია უკან. ჩვენს უძლიერეს ჩოგბურთელს 118-ე ადგილი უკავია, რაც 2 კვირის წინანდელ შედეგს 12 ადგილით ჩამორჩება. რაც ყველაზე ცუდია, მან ქულები საკმაოდ დაკარგა და ახლა მხოლოდ 579 ბალი აქვს. ასეულში ბოლოადგილოსან საბინ ლისიცკის კი 707 ქულა აქვს.

ანა წლის რბოლაში 92-ე პოზიციაზეა, ხოლო წყვილთა რეიტინგში - 136-ეზე. მისი კარიერის მონაგარი 272 ათას დოლარს შეადგენს, აქედან 62 ათასი ქართველმა წლეულს მოიხვეჭა. „როლან გაროსზე" პირველ წრეში მარცხისთვის ანამ 20,5 ათასი დოლარი მიიღო. ივნისში ანას სარეიტინგო ქულები დასაცავი არ აქვს. ასე რომ, თუკი რამეს მოიპოვებს, კიდევ ერთხელ შეუტევს მოწინავე ასეულს. ამის ბრწყინვალე შანსი მას ივნისის მეორე დეკადაში უიმბლდონის ტურნირზე ექნება, სადაც ძირითად ბადეში თამაში გარანტირებული აქვს.



ანა ტატიშვილი

11 საფეხურით დაიხია უკან ოქსანა კალაშნიკოვამ, 20 წლის ჩოგბურთელი 300 ქულით მსოფლიოს 192-ე ჩოგანია. სამაგიეროდ წინ წაიწია 28 წლის მაკა ჩახნაშვილმა, ვინც 249 ქულით მსოფლიოს 218-ე (+14) ჩოგანია. ორ კვირაში 22 წლის სოფიო შაფათავამ ლისტში 25-ადგილიანი ნახტომი გააკეთა და ახლა ის კლასიფიკაციაში 258-ე ჩოგანია. სხვები: 311 (-2) თათია მიქაძე - 161 ქულა; 367 (+3) სოფიო ქვაცაბაია - 111; 494 (+1) ეკა გორგოძე - 71; 939 (-20) მანანა შაფაქიძე - 13. ქვაცაბაიამ კარიერის მაჩვენებელი კვლავ გააუმჯობესა, შაფათავა კი ფორმის 2 წლისწინანდელ პიკს (243-ე ჩოგანი) მიუახლოვდა.

ვაჟები: 660 (-9) ნიკოლოზ ბასილაშვილი - 28 ქულა; 836 (-7) ლადო ჩიხლაძე - 13.

ანა ბირმინგემშია, სადაც წარმატებით ჩაება WTA-ს ტურნირ „აეგონ კლასიკში", რომლის საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარია. პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულემ ორ სეტში აჯობა მასპინძელ სამანტა მიურეის - 7:5, 6:1. ჩვენებურმა 30 ქულა და მეორე წრეში სახელოვანი მეტოქე დაიბევა - მე-2 ნომრად განთესილი სერბი ანა ივანოვიჩი, ვინც პირველ წრეში ისვენებდა. 23 წლის ივანოვიჩი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია, ახლა კი ის 21-ეა რეიტინგლისტში. ორი ანა ერთმანეთს არასოდეს შეხვედრია. ისე, მსოფლიო ჩოგბურთის კაშკაშა ვარსკვლავი ვერ არის სათანადო ფორმაში - ერთი თვეა მატჩი არ მოუგია.

მაკა ჩახნაშვილი ჩეხეთის ქალაქ ზლინში, 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს. სოფიო შაფათავა კი იტალიურ კამპობასოში (25 ათასი დოლარი) განთესილთა შორის იქნება. ნიკოლოზ ბასილაშვილი საკრამენტოში 15-ათასიან ტურნირში ცდის ძალებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სამბო

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

### საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის (1995-1996 წწ). თბილისი

**35 კგ**
1. გიორგი ბაჯაძე (ვანი)
2. ელგუჯა ბარბაქაძე (რუსთავი)
3. გიორგი ნარსია (ფოთი)
3. მამედ სეიდოვი (ბოლნისი)

**38 კგ**
1. ჯეირან წულაია (ფოთი)
2. გიორგი ნარუაშვილი (ვანი)
3. ვასო ქურდიყოშვილი (გორი)
3. უჩა გურგენაძე (აჭარა)

**40 კგ**
1. თორნიკე ნაგლიაშვილი (თბილისი)
2. ზურაბ როხვაძე (ვანი)
3. გიორგი მამამთავრიშვილი (თბილისი)
3. ლაშა ნიკლაური (თბილისი)

**42 კგ**
1. ლევან შონია (ქუთაისი)
2. გიორგი მირუაშვილი (გორი)
3. ტატო ტატულაშვილი (გორი)
3. გოჩა უმეკაშვილი (თბილისი)

**45 კგ**
1 ჯაბა ქურდიანი (ქუთაისი)
2. გიორგი ვარდოსანიძე (ზესტაფონი)
3. ნიკა ხუციშვილი (თბილისი)
3. ანზორ მაჩიტიძე (ფოთი)

**48 კგ**
1. დათო გუჯეჯიანი (გარდაბანი)
2. დათო კორტი (ქუთაისი-თერჯოლა)
3. თემურ ბოლქვაძე (აჭარა)
3. გივი გელენიძე (ქუთაისი)

**51 კგ**
1. იაგო დიხამინჯია (ქუთაისი)
2. ლაშა ბუნტური (დედოფლის წყარო)
3. ალეკო ქვრივიშვილი (თბილისი)
3. მიშა მეგრელიშვილი (რუსთავი)

**55 კგ**
1. ივანე გაჩეჩილაძე (ზესტაფონი)
2. ვარლამ შალიკაშვილი (ქუთაისი)
3. გიორგი მეტრეველი (ხაშური)
3. შოთა ალანია (ფოთი)

**59 კგ**
1. ბაჩო ჭიკაიძე (დედოფ. წყარო)
2. გიორგი მურჯიკნელი (ხაშური)
3. ნოდარ რაზმაძე (თბილისი)
3. ვალერი თაყაძე (რუსთავი)

**63 კგ**
1. ლაშა პარასკებაშვილი (თბილისი)
2. ლევან დიხამინჯია (ქუთაისი)
3. ბესიკ ეჯიბაძე (ქუთაისი)
3. ირაკლი კაპანაძე (რუსთავი)

**86 კგ**
1. გიორგი ტიტვინიძე (გარდაბანი)
2. სოლომონ ჯოჯუა (ზესტაფონი)
3. მამუკა კვირიკაშვილი (გორი)
3. აკაკი კვირკველია (ხობი)

**73 კგ**
1. ლერი დადვანი (ბოლნისი)
2. ნოდარ ბერიანი (ბოლნისი)
3. გელა ქალდანი (მარნეული)
3. ოქრო პაპუაშვილი (ხაშური)

**78 კგ**
1. ჯემალ დაბრუნდაშვილი (თბილისი)
2. ამირან ეფრემიძე (თბილისი)
3. ონისე მირცხულავა (თბილისი)
3. მათე ლაგაზაური (რუსთავი)

**+78 კგ**
1. გიორგი ქურდიანი (თბილისი)
2. ჯონი ჭითანავა (ზუგდიდი)
3. მერაბ ქალდანი (მარნეული)
3. ფრიდონ შარიქაძე (ზესტაფონი).

თავგადასავლები

# მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში რამაზ ნოზაძე

**მის ასაკში მრავალმხრივი ნიჭის გამოვლინება ნამდვილად იშვიათთა ხვედრია. ყველაფერთან ერთად რამაზი მშვენიერი მოსაუბრეა და „დაუფარავად" ყვება თავის მხიარულ თავგადასავალს.**

## შესავლისთვის

დავიბადე და გავიზარდე ავლაბარში. ამ უბანში არაერთი სპორტსმენი გაზრდილა და სირცხვილიც იყო მე გამონაკლისი ვყოფილიყავი. ცოტამ თუ იცის, რომ თავიდან სირბილით ვიყავი გატაცებული და წარმატებებსაც მივაღწიე სპორტის ამ სახეობაში.

დასამალი არაა, რომ ხშირად მიხდებოდა გაკვეთილების გაცდენა ვარჯიშის გამო. ამას ყველა მასწავლებელი შეეგუა მათემატიკის მასწავლებლის კ.ს.-ს გარდა. ხშირად მსაყვედურობდა. ამას დაერთო ჩემი მისწრაფება უსაზღვრო ცელქობისადმი... მოკლედ, რთული და „ცუდი ბავშვი" ერთ დღეს კ.ს-მ კუთხეში დამაყენა, რასაც მყისვე მოჰყვა ჩემი პროტესტი, კ.ს-ს „უტიფრად" გავუსწორე თვალი და ვუთხარი: პატივცემულო, კუთხეში კი დავდგები, მაგრამ იცოდეთ, ცხოვრებაში პრობლემას შეგიქმნითმეთქი.

- რა პრობლემას? - გადაირია ჩემი თავხედობით პატ. მასწ.

- გავალ ქუჩაში გაკვეთილების შემდეგ და თქვენზე გაბრაზებული, ვითომ შემთხვევით, სატვირთოს(!) „გრუზავიკს" გავატანინებ თავს" (ვითომ მსუბუქი მანქანა ვერ მომერეოდა).

კ.ს-მ ელვისებურად წარმოიდგინა ავლაბარში დატრიალებული ტრაგედია:

- რაოოო! - აბა გამასწარი! - გამომენთო.

პირველად მაშინ გადამარჩინა ჩემმა ფეხმარდობამ.

ვიცი ახლა, რადგან პირველად გადამარჩინა, ალბათ კიდევ გქონია შემთხვევაო - გაიფიქრებთ, გიამბობთ:

ზემოთ რომ ვთქვი, ბლომად სპორტსმენი ცხოვრობდა ჩემს უბანში-მეთქი ხომ გახსოვთ? იყო ერთი მძლეოსანი „ვზროსლი" უბნელი ა.ს. რომელიც „პივის" ზომაზე მეტად მოტრფიალე გახლდათ და მოსვენებას არ გვაძლევდა პატარებს - „წადით, „პივა" მომიტანეთ!.."

ათასჯერ რომ მოვუთმინეთ, ათასმეერთე მოთხოვნაზე - „ჩქარა, პივა მომიტანეთ", მე და ჩემმა „შანტრაბამ" მზაკვრული გეგმა შევიმუშავეთ. მოვძებნეთ ცარიელი ბოთლები, გავავსეთ საპნიანი, აქაფებული წყლით და ვითომ მოგვაქვს ცივი ლუდი. სანამ მივუტანდით, გზად მამაჩემი შემოგვხვდა - სად მიგაქვთ და რა მიგაქვთო - ჩაგვაცივდა პატრულივით.

- ლუდი მიგვაქვს ა.ს-მ გვთხოვა, - ვუპასუხეთ.

- მომეცით ერთი, მეც გავსინჯავ ცივი თუა.

- არაა ცივი... - ვცადეთ მოგერიება.

- არა უშავს, მომეცით!

რაღა ვქნათ ახლა! გადმოვაპირქვავე ეს ბოთლები და ვღვრი ვითომ „პივას" გაოცებული მამის თვალწინ. სანამ მამა გაერკვეოდა, რა უბედურებაც გვჭირდა, შემკვეთმა ა.ს-მ არ დაგვინახა?!

- რას შვებით, თქვე ულმერთოებოო! - იყვირა - რას შვებით, თქვე ტარტაროზებოო! „პივას" როგორ აქცევთ თქვე ანტიქრისტეებოო! - და ჩვენც „დავგაზეთ" თავდაღმართში. რომ დაგვწეოდა... ჰოოოდააა, ე, მაშინ გადამარჩინა მეორედ სირბილმა.

## ძეგლი, ძეგლი, დედიკო!

ამდენი რომ ვიტრაბახე, მაგრად დავრბოდი-მეთქი, ტყუილი არ გეგონოთ. 100 მეტრზე მართლაც ვერავინ მჯობდა. დასადასტურებლად ერთსაც გავიხსენებ: ერთ-ერთ ადგილობრივ სპარტაკიადაზე დამაჯერებლად გავიმარჯვე და დამაჯილდოეს კიდეც.

გახარებულმა, ჯილდო სპორტულ ჩანთაში ჩავდე და მოვკურცხლე შინისკენ, რომ მშობლები გავახარო. ეზოს რომ მივუახლოვდი, დედაჩემი დავინახე.

- დედაა! - ვიძახი აღგზნებული ჩემპიონი და თავგამეტებით გავრბივარ მისკენ.

- რა იყო შვილო! - დედა მაინც დედაა და შეშინდა, რა აყვირებს ასე შორიდანო.

- დედა, ძეგლი! ძეგლი, დედააა!

- რა ძეგლი, რის ძეგლი? - გაოცდა ქალი.

- ძეგლი მაჩუქეს დედაა, ძეგლიიი!

შეეშინდებოდა, აბა რა მოუვიდოდა, იმ პერიოდში თბილისში ლენინის და ორჯონიკიძის ძეგლების დემონტაჟი ხდებოდა. ახლა, ლენინის ძეგლს მე არავინ რომ არ მაჩუქებდა, მით უმეტეს სახლში ვერ მივიტანდი - მიხვდა, მაგრამ თადარიგი წინდაწინ დაიჭირა:



რამაზ ნოზაძე

- სუუ, ჩუმად! რა გაყვირებს, არავინ გაიგონოს, ბიჭო! რა ძეგლი გაჩუქეს, სადაა ძეგლი, დედიკო, სიცხემ ხომ არ აგიწია? (მართლაც მაგრად ცხელოდა იმ დღეს)

- რა და, აი, ეს ძეგლი... წვალებით ამოვაძვრინე ჩანთიდან ნაჩუქარი „ჯილდო" პატარა, 200 გრამიანი ოლიმპიური ჩირაღდნიანი მორბენალი კაცის ბიუსტი.

- ეს ძეგლი არაა, შვილო.

- არა, ძეგლია, ძეგლი! - ვიმეორებდი დაჟინებით („პრასნი, ტავარიშჩ ლენინ!")

## ვიქეიფოთ ბიჭებო, არა!

ბოლოს და ბოლოს მოჭიდავე გავხდი.

თუ როგორ მივაღწიე წარმატებებს, თავმდაბლობა არ მაძლევს უფლებას დეტალურად აღგიწეროთ და არც „ლელოს" ეს რუბრიკა საჭიროებს ამას.

2003 წელია. ფინეთში ვართ ასპარეზობაზე მოჭიდავეები. მართალია, კომუნისტური რეჟიმი დიდი ხნის გასული იყო „გალმა, მარილზე", მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში მაინც გოიმებად ვგრძნობდით თავს და იქაური წესები ნაკლებად ვიცოდით საქართველოში ლაღად გაზრდილმა ბიჭებმა.

კვების საკითხი ფინეთში „თავისებურად - თავისებური" იყო. აგიხსნით. არსებოდა დიდი მაგიდა („შვედურ მაგიდას" ეძახდნენ), რაზეც ეწყო სპორტსმენებისთვის განკუთვნილი საკვები, რძის და ხორცის პროდუქტები, ნაირგვარი ბოსტნეული და ნუგბარი-ტკბილეული. თურმე წესია, რომ რიგში ჩამდგარმა სპორტსმენებმა ამ მაგიდიდან უნდა აილონ თავიანთთვის სასურველი ულუფა და მიირთვან მერე სხვა მიკრომაგიდებთან.

ყველა ჯგუფშია გამორჩეული „ახირებული" ტიპი და ჩვენც გვყავდა ერთი მოჭიდავე ი.კ. (გვარს და სახელებს შეგნებულად არ ვაკონკრეტებ-ხოლმე, მაინც უხერხულია, თან - მნიშვნელობა არა აქვს).

მოკლედ, ვდგავართ რიგში, რომ ჩვენ-ჩვენი პროდუქტი ავითვისოთ და რას ხედავს ჩვენი თვალები. ეს ჩვენი ი.კ. საიდანღაც მოტანილ სკამზე ზის ხონთქარივით ამ მაგიდასთან ზუსტად შუაგულში. თავადივით გაუშლია მხრები და ჩვენს დანახვაზე ფრიად გაიხარა:

- ბიჭებო, აქეთ, აქეთ! - გვიქნევს ხელს დიდი ამბით.

- მოშორდი, ბიჭო, მაქაურობას! - დაუძახა რომელიღაც ჩვენგანმა.

- რატომ მოვშორდე? - გაუკვირდა ი.კ.-ს (ესენი ვერ არიანო) კაი სუფრაა, მშვენიერი პურმარილია და სად უნდა წავიდე?! იშოვეთ სკამები და შემომიერთდით, ვიქეიფოთ, მაგის დედა არ ვატირე?!

ძლივს „ავატყავეთ" სკამიდან გულდაწყვეტილი და გაოცებული ჩვენი დარდიმანდი თბილისელი „ყარაჩოღელი".

## რა გქვია, ლამაზო?!

იმ ამბის შემდეგ ი.კ. სულ გვებუზღუნებოდა - თქვენი ბრალია სულ, რა სუფრა დამაკარგვინეთო. საერთოდ ბუზღუნაა. ბუნებით მოქეიფედაა დაბადებული. იტყვით ახლა, ქეიფი და სპორტი როგორ შეიძლება ერთადო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი წინაპარი ბუმბერაზი მოჭიდავეები სპორტს და ქეიფს მშვენივრად უწყობდნენ ერთმანეთს და ძალიან დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ „მტრის ჯინაზე".

ი.კ.-ს ქეიფის გარდა ერთი სისუსტეც ჰქონდა - ქალები. სადაც უნდა ვყოფილიყავით, როგორც მელა ყურძენს, ისე გაადევნებდა ხოლმე ქუჩაში თვალს ლამაზმანებს, ჩაყლაპავდა სიმწრის ნერწყვს და გულზე იბრაგუნებდა მჯილს - „ოხ, ერთი თქვენი თავი მამცა ხალიჩაზეე!"

ვერ იქნა და ვერ გადავაჩვიეთ. ბოლოს, გადავწყვიტეთ ჭკუა გვესწავლებინა და მომენტს დაველოდეთ. მომენტიც მალე მოვიდა.

ბორჯომში ვართ შეკრებაზე. ამ კურორტზე ლამაზმანებს რა გამოლევს და ი.კ.-მაც შეილეწა გულმკერდის ძვლები მჯილის ბრაგუნით - „ოხ ერთიიი!!!"

ერთი ტურისტისგან შევიძინეთ რეზინის „გასაბერი ქალი". ავიტანეთ ნომერში. გავბერეთ და... ჩვენ წინ დადგა ლამაზი, ჰაეროვანი, ქერათმიანი და გასაგიჟებელი, უზადო გარეგნობის ფრიად ელასტიკური „ნაშა".

საღამოს, მკერდში მჯილნაცემი და დაღლილი ი.კ. ადრე დაწვა, დაიძინა და გაეხვია ფერად-ფერად (ალბათ) სექსუალურ სიზმრებში.

რომ დავრწმუნდით, გვარიანად ეძინა, მოქმედება დავიწყეთ. სახელდახელოდ ისევ გავბერეთ ჩვენი „ნაშა". მივუწვინეთ გვერდით. რა დაგვაძინებს! - ველოდებით რეაქციას. შუქი ჩავაქრეთ. ბრა ავანთეთ („პოლუმრაკ"). ვართ გატრუნულები. ნახევარ საათში ი.კ.-მ ერთი მძლავრად ამოიხვრინა და გვერდი შეინაცვლა. შეინაცვლა და თვალებს არ უჯერებს - მის გვერდით ულამაზესი „ნაშაა" გაშხლართული.

ი.კ.-მ ჯერ თვალები მოიფშვნიტა. სიზმარი არაა, „კაცო, დალევით არ დამილევია, მით უმეტეს არ დავმთვრალვარ ისე, რომ ეს მოვიყვანე და არ მახსოვს; ნაღდად ცოლად „მეტენებაო" და „შეალვიძა":

- ეეე... ეეე... დევუშკა... სლიშიშ? - წაჰკრა ხელი - პრასნის ნატაშენკა.

გოგო - ბუნებრივია, დუმს. დუმილი რომ თანხმობის ნიშანია ი.კ.მ- ბავშვობიდან იცოდა და შეტევაზე გადავიდა:

- კაკ ტებე ზავუტ? - ნატაშკა და? (სულ „ნატაშკაზე" იყო „აცრილი" - ადრე ჰყავდა ერთი...)

გოგო დუმს. ი.კ-მ იფიქრა რუსი არაა, ქართველი იქნება, აბა ბორჯომში ახლა, ვაბშე...

- რა გქვია გოგო? - გაუმეორა...

აქ კი ველარ მოვითმინეთ და ი.კ-ს თავზე მეხივით დაატყდა ჩვენი კოლექტიური ხარხარი.

რაღა ექნა? თვითონაც აგვყვა, ვითომ არ შეიმჩნია და სულ მალე, ორ კვირაში „აბაროტი" აგვილო. როგორი? ძალიან მაგარი. ცოლი შეირთო და ქორწილში მაგრად გვაქეიფა.

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კოტე ტულუშთან

# ყველაზე გემრიელი ჯილდო

ჩვენი გაზეთი სეზონის საუკეთესო კალათბურთელის გამოსავლენ გამოკითხვას 2003 წლიდან ატარებს. დღემდე მხოლოდ ერთ კალათბურთელს ერგო ერთზე მეტჯერ საუკეთესოდ აღიარების პატივი - **კოტე ტულუშს,** რომელმაც MVP-ს ჯილდო ჯერ „ავიამშენის" თამაშით დაიმსახურა, შემდეგ - „ენერჯიში" (ორჯერ), წლეულს - „არმიაში".

28 წლის კოტემ პლეი ოფებიც სტაბილურად ჩაატარა და რეგულარული ეტაპიც, ორჯერ შეასრულა სამმაგი დუბლი.

- ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად მეოთხედ დამასახელეს. დღევანდელი აღიარება გაცილებით ღირებულია, ვიდრე წინა სამი.

**- რატომ?**

- ამას ობიექტური მიზეზი აქვს: წინა წლებთან შედარებით 2010-11 წლების სეზონში სუპერლიგაში ლეგიონერებმაც იმატა, დაძაბულობამაც და დიდი იყო კონკურენცია. სერიოზული ჩემპიონატი გვქონდა. შეჯიბრების დაწყებიდან ბოლომდე ტონუსში ვიყავი, მოდუნების უფლება არავის ჰქონდა, რადგან ყოველ ტურში მნიშვნელოვანი მატჩი გველოდა. წინა წლებში კი სერიოზული მატჩები იშვიათად გვქონდა, ამიტომ, „ენერჯის" მწვრთნელი სათანადოდ არ მტვირთავდა. ეს პრეტენზია არ გეგონოთ, უბრალოდ, ზოგი ისეთი მატჩი იყო, როცა მეტოქეებს „ენერჯის" ახალგაზრდებიც უმკლავდებოდნენ და თან გამოცდილებას იღებდნენ. შესაბამისად წინა წლებში პლეი ოფებს ოპტიმალურ ფომაში ვერ ვხვდებოდი.

**- წლეულს საუკეთესოთა შორის ვის დაასახელებდი?**



- ვინმეს გამორჩევა გამიჭირდება, რადგან 4-5 სერიოზული გუნდი იყო. თითოეულში 3-4 წამყვანი კალათბურთელი გახლდათ, რომლებიც MVP-ად აღიარების ღირსეული კანდიდატები გახლდნენ.

**- „არმიამ" ჩემპიონის ტიტული სადებიუტო სეზონში მოიპოვა.**

- ბედნიერი ვარ, რომ ჩვენს გულშემატკივარს დიდი სიამოვნება მივანიჭეთ. სავსე ტრიბუნების წინაშე თამაში სულ სხვა გრძნობაა, კონცენტრაციაც მატულობს და ხარისხიც... ამიტომაც მიმაჩნია წლევანდელი გამარჯვება ყველაზე გემრიელად. ასეთ ჩემპიონატში მხოლოდ 4 მატჩი წავაგეთ და ღირსეულად გავხდით ჩემპიონები.

**- მაინც რის ხარჯზე მიაღწია „არმიამ მწვერვალს?**

- კონცენტრაციისა და გუნდურობის ხარჯზე. არ ვიცი, სხვა გუნდებში რა სიტუაცია იყო, მაგრამ ჩვენთან ერთსულოვნება სუფევდა, ყველა ერთი მიზნისთვის ვიყავით გაერთიანებულები. ერთი აზრის გამოხატულება იყო რეგულარული ეტაპის შემდეგ წვერის მოშვება...

**- 2011-12 წლების სეზონში „არმია" ევროჩელენჯზე იასპარეზებს.**

- ჩემი აზრით, ეს ქართული კალათბურთის განვითარებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ევროჩელენჯზე ერთხელ ვითამაშე. ამ შეჯიბრებისთვის სერიოზული მომზადებაა საჭირო. ასევე უნდა გავითვალისწინოთ აქამდე დაშვებული შეცდომები - ზოგჯერ ლეგიონერები ევროტურნირების დაწყებამდე 3-4 დღით ადრე ჩამოჰყავდათ. ამ მოკლე დროში წარმოუდგენელია უცხოელი გუნდს მოერგოს და სარგებელი მოუტანოს. „არმიაში" სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, ევროჩელენჯის მოგების პრეტენზია არ გვაქვს, თუმცა ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გუნდი ჯგუფურ ეტაპზე მოხვდეს და საქართველოს სახელი ღირსეულად წარმოაჩინოს.

**- ყოველი სეზონის წინ ერთი და იგივე კითხვე ისმოდა: სად გააგრძელებ კარიერას? აქამდე ხომ სუპერლიგის მოთამაშეთა უმეტესობას ერთწლიანი ხელშეკრულებები ჰქონდა.**

- „არმიადან" წასვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. გუნდთან ერთად ბევრი ვიშრომე და ძალიან მინდა გაისადაც დავეხმარო. ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იყო, როცა 4-5 ათასი ქომაგი ჩემს გვარს ერთხმად სკანდირებდა. მსგავსი შემთხვევა მხოლოდ ირანში თამაშისას მქონდა...

ქართველები სლოვენიაში

# შერმადინი ოლიმპიას გაუძლვა

სლოვენიის ჩემპიონატის ფინალში „ოლიმპიამ" კრკა 61:59 დაამარცხა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მესამე მატჩი ნოვო მესტოში, კრკა-ს მოედანზე 7 ივნისს გაიმართება.

61:59... ეს ანგარიში „ოლიმპიას" ქართველებს, **ვლადიმერ ბოისასა** და **გიორგი შერმადინს** დღესაც კარგად ემახსოვრებათ - სწორედ 59:61 დათმო საქართველოს ნაკრებმა 2008 წელს შვედეთში. თუმცა, ამჯერად ქართველებმა გაიმარჯვეს ამ ანგარიშით.

გადამწყვეტი ტყორცნა **გორან იაგოდნიკმა** შეასრულა, თუმცა წარმატებაში არანაკლები წვლილი მიუძღოდა შერმადინს: 16 წუთში 12 ქულა (2-დან 2 ორქულიანი, 10-დან 8 საჯარიმო), 3 მოხსნა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით იგი ოლიმპიელთაგან საუკეთესო იყო - 17.

მწვრთნელმა, **მირო ალილოვიჩმა** ვლადიმერ ბოისა 2 წუთი ათამაშა.



ქართველი იტალიაში



„კანტუმ" ბოლო 30 წელიწადში საუკეთესო შედეგი უჩვენა - იტალიის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. იქ **მანუჩარ მარკოიშვილის** თანაგუნდელებს სიენას „მონტეპასკის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევთ. მართალია, სიენაში მსოფლიო დონის ვარსკვლავთა კრებულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნახევარფინალში კანტუელებმა არანაკლები ვარსკვლავებით დახუნძლული „არმანი" დაამარცხეს. თანაც სერიაში 3:1 მოუგეს, რაც „კანტუმ" ძლიერი მწვრთნელის (**ანდრეა ტრინჩიერი** რეგულარული ეტაპის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა) და გუნდური თამაშის წყალობით მოახერხა. ეს პლუსები „კანტუს" „მონტეპასკის" ძლევისთვის ეყოფა თუ არა, მალე ვნახავთ - ფინალური სერია 11 ივნისს სიენაში გასამართი მატჩით დაიწყება. ეს გუნდები 13 ივნისსაც „მონტეპასკის" მოედანზე ითამაშებენ, ხოლო მომდევნო ორი მატჩი 15 და 17 ივნისს „კანტუს" არენაზე შედგება. სერია სამ მოგებამდეა და თუ გადამწყვეტი მატჩის ჩატარება გახდა საჭირო, მასპინძლის რანგში სიენელები ითამაშებენ.

# ისტორიული გამარჯვება

## მანუმ ჯინსი დახია

■ ■ ■

ფინალში გასვლა ევროლიგის საგზურის მოპოვებას ნიშნავს. ასე რომ, მანუჩარ მარკოიშვილი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ევროლიგას დაუბრუნდება. მან ამ შეჯიბრებაში ბოლოს 2006 წელს სლოვენიის „ოლიმპიას" მაისურით იასპარეზა. შეგახსენებთ, რომ მანუმ მაისში „კანტუსთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ასე რომ, გაისადაც ტრინჩიერის გუნდში ითამაშებს.

ფინალში მოხვედრამ ძალიან გაახარა „კანტუს" პუბლიკა, ხოლო მწვრთნელი, ანდრეა ტრინჩიერი როგორც ყოველთვის მშვიდი და ენაწყლიანი იყო:

*- ორი წელია გუნდის მთავარ მწვრთნელად ვმუშაობ. ამ დროში დიდი მოცულობის სამუშაო შევასრულეთ, რაც შედეგზე აისახა. ყოველწლიურად ვაუმჯობესებდით თამაშის სხვადასხვა კომპონენტს, ვაშენებდით პირამიდას, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. ორი რამ მაქვს საამაყო: ბოლო 30 წლის განმავლობაში საუკეთესო შედეგის მიღწევა და მეორე - იმ კალათბურთელებთან მუშაობა, რომლებიც დღეს „კანტუში" არიან შეკრებილნი.*

სხვათა შორის, შემადგენლობა თავად ტრინჩიერიმ დიდი დაკვირვების შედეგად შეარჩია. მანუჩარს ჯერ კიდევ 2009 წლის გაზაფხულზე ურეკავდა (მაშინ მანუ „კიევის" ღირსებას იცავდა), გაისად „კანტუში" გელიო...

■ ■ ■

მწვრთნელმა ისიც თქვა, „არმანისთან" მეოთხე მატჩისას 40 წუთის განმავლობაში ინიციატივა ხელიდან არ გაგვიშვია, კალათბურთელებს სჯეროდათ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა და ამიტომაც მოვიგეთო.

რომ არა თავდაჯერება, მეოთხე პერიოდის დასაწყისში სამი სამქულიანის ჩაგდებას ვერავინ მოახერხებდა... 28-ე წუთამდე მილანელები სტუმრებს „კვალში ედგნენ", თუმცა მარკოიშვილის ორქულიანს **მაიკ გრინმა** სამიანი მიაყოლა და „კანტუს" სამქულიანი უპირატესობა ერთბაშად 8-ქულიან ჰანდიკაპად იქცა (53:45).

სტუმრები ამაზე არ შეჩერდნენ: მეოთხე რაუნდის დასაწყისში მილანელთა ფარქვეშიდან ტყორცნებს სამქულიანებით პასუხობდნენ: ჯერ **მაარტენ ლეუნენმა** გამოიყენა შორეული ტყორცნა, შემდეგ მაიკ გრინისა და მანუჩარ მარკოიშვილის სამქულიანის შემდეგ „კანტუს" უპირატესობამ 9 ქულას მიაღწია (64:55). მატჩის დასრულებამდე 5 წუთი რჩებოდა. ამ დროში 9-ქულიანი დეფიციტის აღმოფხვრა შესაძლებელია, მაგრამ არა „კანტუსთან" - სირენამდე 2 წუთით ადრე **ვლადიმირ მიკოვმა** სამქულიანით კვლავ 9-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა (71:62) და ცხადი გახდა, „არმანის" კალათბურთელები მოკლე დროში თამაშის შემოტრიალებას ველარ შეძლებდნენ.

სხვათა შორის, მანუჩარმა იტალიის ჩემპიონატში ამ სეზონში 29 მატჩი ითამაშა და მწვრთნელმა მხოლოდ ორჯერ დააყენა სასტარტო ხუთეულში. მეორედ ეს მილანელებთან მეოთხე მატჩში გააკეთა. მარკოიშვილმა 20 წუთში 10 ქულა (5-5 ორქულიანი და სამიანი ისროლა და 2-2 ჩააგდო) და 4 მოხსნა მოაგროვა. „კანტუს" ბომბარდირი 17 ქულით მაიკ გრინი გახდა.

აღიარება

# ჯაკო და საუკეთესონი

გუშინ სპორტის სასახლის საპრესკონფერენციო დარბაზში რადიო „ჯაკოს" ინიციატივით სეზონის საუკეთესო სპორტსმენები დააჯილდოვეს. ლონისძიებას ჟურნალისტებისა და ვეტერანი სპორტსმენების გარდა, საქართველოს ნაკრების წევრებიც დაესწრნენ: **ნიკა ცქიტიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, თორნიკე შენგელია...**




სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელისთვის განკუთვნილი თასი და ძვირფასი საჩუქრები **კოტე ტულუშს** ერგო, თუმცა იგი ამჟამად „არმიასთან" ერთად ანთალიაში შეკრებაზეა და პრიზები კოტეს თანაგუნდელმა **სერგო ათუაშვილმა** მიიღო.

მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს **ლაშა ფარლალავამ** და **გიორგი შარაბიძემ**. ლაშა ღონისძიებას ესწრებოდა და ჯილდოები პირადად მიიღო, ხოლო შარაბიძე არმიელია, ისიც თურქეთშია და მისთვის განკუთვნილი პრიზები **დავით უგრეხელიძემ** ჩაიბარა. მან იქვე პირობა დადო, ყველას უკლებლივ პატრონს ჩავაბარებო.

**ბექა ჩიკვილაძემ** სუპერლიგის 23 მატჩში 548 ქულა ჩააგდო და სეზონის ბომბარდირი გახდა. შესაბამისად, სნაიპერისთვის განკუთვნილი თასი და ფასიანი საჩუქრები ბექას ერგო.

ასევე დაჯილდოვდნენ ახალგაზრდული ჩემპიონატის გამორჩეული კალათბურთელები. პლეი ოფის საუკეთესო სტუ-ს მეფარე **აკაკი დვალიშვილი** გახდა, ხოლო რეგულარული ეტაპის საუკეთესოდ **გიორგი რევაზაშვილი** დასახელდა, რომელმაც ტურნირის ბომბარდირობა არავის დაუთმო: 15 მატჩში 542 ქულა (საშუალოდ 36.1) ჩააგდო.

ღონისძიების ორგანიზატორმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** მთავარი სანახაობა ბოლოსთვის შემოინახა: მცირე სცენაზე ხუთი ძმა რევაზაშვილები ავიდნენ. საინტერესო იქნება მათი ერთ გუნდში ხილვა, რისთვისაც მოცდა მოგვიწევს, რადგან უმცროსი, ჯაბა რევაზაშვილი 4 წლისაა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**
**ნუგზარ კერესელიძის** ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიო ალაფი

# ტურნირი დამთავრდა, ველით ახალ ტურნირებს

თბილისში ახლახან დასრულებულ „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის" გათამაშებაში საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. ცხადია, ჩვენი გუნდი გაცილებით მეტს უმიზნებდა. შინაურ კედლებში პირველობა არავისთვის უნდა დაეთმო და მომავალ წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს საგზური უნდა მოეპოვებინა, მაგრამ ამჯერად არ გამოვიდა. ამის მიზეზებზე ცალკე.

ტურნირზე მრავლად იყვნენ რაგბის საერთაშორისო საბჭოს ჩინოსნები. დასკვნით ეტაპზე კი თბილისში IRB-ს განვითარებისა და საშეჯიბრებო კომიტეტის თავმჯდომარე **მარკ იგანი** გვეწვია, რომელიც რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს **ლადო ვარძელაშვილს** შეხვდა და ტურნირის თაობაზე ისაუბრა.


მარკ იგანი

მარკ იგანი ფინალის წინა დღეს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელებთან, რაგბის კავშირის და ინგლისის ერთ-ერთი სარაგბო აკადემიის ხელმძღვანელებთან ერთად რაგბის პაბს ეწვივნენ, სადაც თვალი მიადევნეს საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალს, რომელშიც ქართველი მორაგბეების, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე" ფრანგული რაგბის გრანდს, „ტულუზს" დაუპირისპირდა.

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თბილისში გამართული ტურნირი წინა სამი „მსოფლიო ალაფისგან" განსხვავებით, რომლებიც ჩილეში, ურუგვაისა და რუსეთში ჩატარდა, შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ყველა ნაკრების დელეგაცია, მსაჯები, ტურნირის ორგანიზატორები IRB-დან აღფრთოვანებულნი არიან მასპინძლობით, სასტუმროებით, კვებით და ყველა იმ პირობით, რომელიც აქაა შექმნილი.*

*პირობა, რომელიც რაგბის კავშირმა ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებით დადო, შესრულებულია. ახლა განვიხილავთ და, ადვილი შესაძლებელია, საქართველომ მომავალში უფრო მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლოს"*, - თქვა მარკ იგანმა.

ტურნირის დღეები უხვად იყო დატვირთული სხვა სპორტული და კულტურილი ღონისძიებებით. სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა სარაგბო ფესტივალი ქვიშის რაგბიში, რომელშიც მონაწილეობა „მსოფლიო ალაფში" მოასპარეზე გუნდების მორაგბეებმაც მიიღეს. ორ-ორი მათგანი ბავშვთა გუნდებს დაემატნენ და ნორჩ ქართველ მორაგბეებს წარმატების მიღწევაში ეხმარებოდნენ.

იქვე გაიმართა ტურნირი ქვიშის რაგბში მედია საშუალებების გუნდებს შორის. ფინალში საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდმა „მედია პალიტრას" აჯობა და ტურნირის გამარჯვებული გახდა.

● ლეგიონერები

# მონპელიეს ქართული კვარტეტი მეორეა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასრულდა. ქართველ მორაგებთა გუნდმა, **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძისა** და **გიორგი ჩხაიძის** „მონპელიემ" თავის ისტორიაში პირველად ითამაშა ფინალში. მონპელიელებმა თავდადებით ითამაშეს, ყველაფერი გაიღეს, ტიტულოვან და მაღალი დონის ვარსკვლავებით უხვად დხუნძლულ „ტულუზს" 71-ე წუთამდე უგებდნენ კიდეც. თუმცა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ მატჩი 80 წუთს გრძელდება.

საფრანგეთის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ფინალი დამსახურებულად მოიგო. ტულუზელები, მიუხედავად იმისა, რომ აგებდნენ, მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ სათამაშო უპირატესობას. ბურთს ძირითადად სწორედ ისინი აკონტროლებდნენ და რომ არა მათი მგეზავის **დავიდ სკრელას** უზუსტო საჯარიმოები მეტოქეს, ალბათ, ბევრად ადრე გატეხდნენ.

პირველი ტაიმი „მონპელიემ" 7:3 მოიგო. შესვენების შემდეგ პირველივე წუთზე ანგარიშში კიდევ სამი ქულით დაწინაურდნენ - 10:3 და თამაშის ბოლომდე მონაგარის გაზრდა ველარ შეძლეს. ტულუზელებმა კი ოთხი საჯარიმოს გატანა მაინც მოიახერხეს და ჩემპიონობაც იზეიმეს.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ჟღენტი 72-ე წუთზე შეცვალეს, შველიძე და ჩხაიძე განაცხადში არ იყვნენ.


მამუკა გორგოძე

● შვიდკაცა რაგბი

# ქალები ვერ დაწინაურდნენ

საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა უნგრეთის ქალაქ ჟანკაში გამართულ ევროპის ჩემპიონატის გათამაშების C დივიზიონში მესამე ადგილი დაიკავა და, სამწუხაროდ, რანგით უფრო მაღალ B დივიზინში ვერ გადავიდა.

არადა, ქართველმა მორაგბეებმა შესანიშნავად იასპარეზეს ჯგუფურ ტურნირში. მათ B ჯგუფში ყველა მეტოქე დიდი ანგარიშით დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

ნახევარფინალში ჩვენი ქალების მეტოქე დანიის ნაკრები იყო, რომელიც A ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდა. სკანდინავების დამარცხება ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო -21:26. მესამე ადგილისთვის მატჩში კი საქართველოს ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს 28:7 მოუგო.

ტურნირი პოლონეთის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა, რომელსაც ჯგუფურ ტურნირში ჩვენებმა 26:7 მოუგო.

საქართველოს ნაკრები: შორენა გამსახურდია, ანა პოლოსიანი, ბელა გოგსაძე, მარეხი მაისურაძე, ნათია გიორგაძე, ნინო ელოშვილი, ნათია ცინცქილაძე, ეკატერინე ბალარჯაშვილი, ნანა კაშია, ქრისტინე შალამბერიძე, ანა ანდღულაძე, ელეონორა გიგილაშვილი.

მწვრთნელი: პალიკო ჯიმშელაძე

**ევროპის ჩემპიონატი**

**C დივიზიონი**

საქართველო-ლუქსემბურგი 33:0, საქართველო-ბარბაროსები 34:7, საქართველო-პოლონეთი 26:7, საქართველო-ბოსნია 43:0

**ნახევარფინალი**

საქართველო-დანია 21:26

**III ადგილისთვის**

საქართველო-უნგრეთი 28:7

**საბოლოო მდგომარეობა**

1. პოლონეთი, 2. დანია, 3. საქართველო, 4. უნგრეთი, 5. ლიტვა, 6. სერბეთი, 7. ლუქსემბურგი, 8. ბარბაროსები, 9. ბოსნია, 10. ლუქსემბურგი.

● ზე რაგბი


ბურთით ბიორნ ბესონი

# ხარები ტიტულს კბილებით იცავენ

ზე რაგბის გათამაშების მე-16 ტურში ორი სენსაციური ანგარიში დაფიქსირდა. ლიდერებმა ოქლენდის „ბლუზმა" და ბრისბენის „რედსმა" მოულოდნელად შინ წააგეს სრულიად უმოტივაციო გუნდებთან, შესაბამისად ჰემილთონის „ჩიფსთან" და კანბერის „ბრამბიზთან".

ბრისბენელები, რომლებიც მარცხის მიუხედავად მაინც ინარჩუნებენ A ჯგუფში პირველ ადგილს, მეოთხეადგილოსან „ბრამბიზთან" მატჩში სრულიად უსუსურად გამოიყურებოდნენ. სტუმრებმა, ფაქტობრივად გამარჯვება პირველივე ტაიმში დაიბევეს, რომელიც 19:6 მოიგეს.

შესვენების შემდეგ, მართალია „რედსმა" კიდევ ერხელ გაიბრძოლა, მაგრამ მხოლოდ ერთი ლელოს გატანა მოახერხა. კანბერელთაგან ყველაზე შედეგიანი მგეზავი **მეთ გიტო** იყო, რომელმაც ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (17 ქულა).

საგულსიხმოა, ამ გამარჯვებას „ბრამბიზსთვის" სახეირო არაფერი მოუტანია და რა შედეგსაც უნდა მიაღწიოს დარჩენილ ორ ტურში, პლეი ოფში ვერაფრით გადის.

კიდევ უფრო უცნაური იყო B ჯგუფის ლიდერის ოქლენდის „ბლუზის" მარცხი ამავე ჯგუფის აუტსაიდერ ჰემილთონის „ჩიფსთან" - 11:16. მასპინძლებმა, რომლებიც საბრძოლო შემადგენლობით ასპარეზობდნენ, ვერაფერი გააწყვეს უმოტივაციო მეტოქესთან, რომელიც, მიუხედავდ ყველაფრისა, მაინც თავდადებით იბრძოდა.

ალსანიშნავია, რომ ოქლენდელებს ერთი ლელო, რომელიც გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა, 38 წლის ახალზელანდიელმა ვარსკვლავმა **ტანა უმაგამ** გაუტანა. ამასთან, ადვილი შესაძლებელია, რომ ეს მატჩი მის კარიერაში ბოლო გამოდგეს, რადგან ტანამ აქილევსის მყესი გაიწყვიტა და ასეთი მძიმე ტრავმის შემდეგ, მისი ასაკში თამაშის გაგრძელება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ბრამბიზელთაგან აღნიშვნის ღირსია მგეზავ **სტივენ დონალდის** კარგი თამაში, მის ანგარიშზე სამი საჯარიმო და ერთი გარდასახვაა (11 ქულა).

ტურის ცენტრალური შეხვედრა პრეტორიაში გაიმართა, სადაც შარშანდელმა ჩემპიონმა „ბლუ ბულზმა" პლეი ოფში მოხვედრისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი სიდნეის „ვორათაზი" დაამარცხა - 23:17. შედეგად სამხრეთაფრიკელებს 49 ქულა დაუგროვდათ და საერთო ჩათვლაში ავსტრალიურ გუნდს გაუსწრეს.

ალსანიშნავია, რომ პრეტორიელებს კარგი შანსი აქვთ პირდაპირ ნახევარფინალში ითამაშონ შესარჩევის გარეშე, თუმცა საამისოდ მარტო მათი წარმატებული თამაში საკმარისი არ არის. „ვორათაზთან" მატჩში „ლურჯ ხარებს" მხოლოდ დასაწყისში გაუჭირდათ, თუმცა პირველი ტაიმის მოგება მაინც შეძლეს.

შესვენების შემდეგ საწყის 20 წუთში „ბლუ ბულზი" დომინირებდა და ანგარიშში სხვაობა 14 ქულამდე გაზარდა. სიდნეელებმა მატჩის გადარჩენა სცადეს, თუმცა მხოლო ანგარიშის ექვს ქულამდე შემცირება მოახერხეს - 17:23.

მასპინძელთაგან თითო ლელო **ვინანდ ულიფიემ** და **ბიორნ ბესონმა** გაიტანეს, მგეზავმა მორნი სტეინმა ორივე ლელო გარდასახა და სამი საჯარიმოც მიითვალა (13 ქულა).

საკმაოდ მძიმე ბრძოლა გადახდა სტუმრად ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან" C ჯგუფის მეორეადგილოსან დურბანის „ნატალ შარქსს". სტუმრებმა, რომლებიც პლეი ოფში გასვლისა და გათამაშების უმთავრესი ფავორიტები არიან, პირველი ტაიმი 6:11 წააგეს.

შესვენების შემდეგ, „ზვიგენებმა" მდგომარეობა სწრაფად გამოასწორეს და 68-ე წუთისთვის 23:11 დაწინაურდნენ. ბლუმფონტეინელებმა ანგარიშის შემცირება მატჩის ბოლო წუთზე შეძლეს - 16:23. სტუმართა რიგებში კვლავ შეუდარებელი იყო მსოფლოს ამომავალი ვარსკვლავი, მგეზავი **პატრიკ ლამბიე**, რომელმაც ერთი ლელო, სამი საჯარიმო და ორი გარდასახვა გაიტანა (18 ქულა)

**XVI ტური**

**A ჯგუფი**

მელბურნ რებლზი-სტორმერზი 3:40, რედსი-ბრამბიზი 14:22

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რედსი - 58 ქულა, 2. ვორათაზი - 47, 3. ფორსი - 32, 4. ბრამბიზი - 28, 5. მელბურნ რებლზი - 23.

**XVII ტური**

ბრამბიზი-მელბურნ რებლზი, ვორათაზი-ჰაილენდერზი, ფორსი-რედსი

**B ჯგუფი**

ჰაილენდერზი-ფორსი 14:21, ჰარიკენზი-ლაიონზი 38:27, ბლუზი-ჩიფსი 11:16

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუზი - 55 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 53, 3. ჰაილენდერზი - 45, 4. ჰარიკენზი - 39, 5. ჩიფსი - 38.

**XVII ტური**

ჩიფსი-ჰარიკენზი, კრუსეიდერზი-ბლუზი

**C ჯგუფი**

ბლუ ბულზი-ვორათაზი 23:17, ჩიტაზი-ნატალ შარქსი 18:23

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტორმერზი - 57 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 51, 3. ბლუ ბულზი - 49, 4. ჩიტაზი - 49, 5. ლაიონზი - 23.

**XVII ტური**

ლაიონზი-ნატალ შარქსი, სტორმეზი-ბლუ ბულზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1


საფრანგეთი რბოლას ელოდება

# საფრანგეთი შეიძლება დაბრუნდეს

პარიზული ყოველკვირეული Journal du Dimanche წერს იმის შესახებ, რომ არსებობს საფრანგეთის გრანპრის აღორძინების გეგმა, რომლის რეალიზაციისთვის ზრუნავენ ქვეყნის საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი **ნიკოლა დეშო** და „ლოტუს რენოს" ხელმძღვანელი **ერიკ ბულიე**. უფრო მეტიც, ამ იდეას მხარს უჭერს ქვეყნის პრემიერმინისტრი **ფრანსუა ფიიონი**. დღეისთვის განიხილება ეტაპის ლე კასტელში მდებარე პოლ რიკარის ავტოდრომზე ჩატარება. თეორიულად ეს შესაძლებელი იქნება, თუ ეკონომიკური გამოთვლები აჩვენებენ, რომ ბილეთების რეალიზაციიდან სავარაუდო მოგება 20-25 მილიონ ევროს გაუტოლდება.

მანი-კურის ტრასაზე დაბრუნებისგან თავი შორს დაიჭირეს, ამიტომაც დღეისთვის ყველაზე პერსპექტიული ვარიანტია „პოლ რიკარი", მით უმეტეს, რომ ავტოდრომის ხელმძღვანელობა მზად არის წავიდეს დანახარჯებზე, რაც რბოლის ორგანიზებასა და დაგეგმვას სჭირდება. დაბრუნების რეალური თარიღია 2013 წელი. პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, მონაცვლეობით უნდა გაიმართოს ფრანგული და ბელგიური ეტაპები, როგორც ეს გერმანიის გრანპრის შემთხვევაში ხდება, როცა რბოლას ხან ჰოკენჰაიმი და ხან ნიურნბურგრინგი მასპინძლობს.

ბელგიის გრანპრის ორგანიზატორები ყოველწლიურად კარგავენ 4 მილიონ ევროს. მათ ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან 2012 წლის ბოლომდე აქვთ კონტრაქტი. იმის გამო, რომ ამ კლასიკური რბოლის პერსპექტივები ბუნდოვანია, მისი პრომოუტერები არ გამორიცხავენ ფრანგულ მხარესთან კომპრომისს.

*„წელს უკვე დამიკავშირდნენ ფრანგული მხარის ოფიციალური წარმომადგენლები,* - დაადასტურა ბელგიური რბოლის პრომოუტერმა **ანდრე მაესმა**. - *შესაძლოა, ამან დაგვაინტერესოს, მე ახალ წინადადებებს ველი".*

ორი ეტაპის მონაცვლეობით ჩატარების იდეა, შესაძლოა, ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმაც** გაიზიაროს. მაგრამ Journal du Dimanche წერს, რომ წინასწარი გამოთვლებით ბილეთების რეალიზაციით მაქსიმუმ 14 მილიონი ევრო შეგროვდება. საჭიროა კიდევ 6-8 მილიონი.

■ ■ ■

საინტერესო სტატისტიკა წარმოადგინა გაზეთმა Bild am Sonntag. მან მონაკოს გრანპრიზე შეისწავლა ხმაურის დონე, რომელსაც გუნდების ბოლიდები წარმოქმნიან.

ყველაზე ხმაურიანი მანქანა ჰყავს „მერსედესს" - 127,8 დეციბელი, რაც პრაქტიკულად უთანაბრდება რეაქტიული თვითმფრინავის ხმას. „მერსედესის" შემდეგ მოდიან „ლოტუს რენო" (127,5), „მაკლარენი" (127,3) და „რედ ბული" (127,1).

ყველაზე „ჩუმი" ბოლიდი ჰყავს „ვირჯინს", რომელიც „კოსუორტის" ძრავით მუშაობს - 125,9 დეციბელი.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-ის შეფმა ბერნი ექლსტოუნმა ბოლიდების მიერ გამოცემული ხმაური ოთხცილინდრიანი ძრავების შემოღების ერთ-ერთ მიზეზად დაასახელა.

კრივი

# პირდაპირ რინგზე აიყვანეს


ქუდიანი ტშეპანგ მოჰალეა

სამხრეთაფრიკულმა პოლიციამ პირდაპირ რინგზე დააპატიმრა ქვეყნის ჩემპიონი ნახევრადმძიმე წონაში.

კვირას **ტშეპანგ მოჰალემ** (8-3, 7KO) ნოკაუტში გაგზავნა მანამდე დაუმარცხებელი **ჯონი მიულერი** (9-0-2, 7KO) და სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი გახდა ნახევრადმძიმე წონაში.

მაგრამ გამარჯვების სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა - პოლიციამ მოჰალე გამარჯვების აღნიშვნის დროს დააპატიმრა. მიზეზი გახდა მოპარული მობილური ტელეფონის შენახვა. თავად მოკრივე ამტკიცებს, რომ ტელეფონი უცნობი მამაკაცისგან შეიძინა.

გამარჯვებული მოკრივის პრომოუტერი იმედგაცრუებულია მომხდარით. *„ეს ჩვენთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა და რაც ყველაზე სამწუხაროა, ინციდენტი ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ მოხდა. მან თავის კარიერაში მთავარი ბრძოლა მოიგო, ახლა კი მხოლოდ ლოდინი დაგვრჩენია",* - ამბობს როდნი ბერმანი.

ჯერჯერობით უცნობია, როდის გაათავისუფლებენ ტშეპანგ მოჰალეს.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი

# სტატისტიკით მაიამი ჩემპიონია

მცირეხნიანი შესვენების შემდეგ განახლდა „დალასისა" და მაიამის" ფინალური სერია. როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, 1985 წლიდან მოყოლებული, როცა ფინალის ჩატარების სისტემა 2-3-2-ზე გადავიდა, 11-ჯერ იქნა დაფიქსირებული ანგარიში - 1:1. და ყოველთვის, მესამე მატჩის მომგები გუნდი საბოლოოდ ჩემპიონი ხდებოდა. შესაბამისად, გუშინდელი მატჩის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო.

მატჩის წინ „დალასს" საკადრო პრობლემები შეექმნა. **ბრენდონ ჰეივუდმა** ვერ მოასწრო ბარძაყის ტრავმის მკურნალობა, რომელიც მან მეორე შეხვედრაში მიიღო, რის გამოც განაცხადში მისი ადგილი ფრანგმა **იან მაინმიმ** დაიკავა. სხვა მხრივ, გუნდები სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ მატჩს.

შეხვედრის პირველი წუთები თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მაგრამ მეოთხედის შუა ნაწილისთვის „დალასმა" ნელ-ნელა წინა გასვლა დაიწყო. **კიდისა** და **სტივენსონის** სამქულიანებმა მასპინძლებს მინიმალური უპირატესობა მოუტანეს. თუმცა „ჰიტი" არ დაბნეულა და აგრძელებდა თავისი საფირმო თამაშის ჩვენებას. დროული ტაიმ-აუტის აღების შემდეგ **ერიკ სპოელსტრამ** საჭირო კორექტივები შეიტანა გუნდის თამაშში და შედეგიც მალე მიიღო. შესანიშნავი გუნდური კალათბურთის წყალობით ფლორიდელებმა არათუ გაათანაბრეს ანგარიში, არამედ წინ გასვლაც მოახერხეს.

ეს ყველაფერი „მაიამის" „დიდი ტრიოს" შეტევაში კარგი თამაშის ფონზე მიმდინარეობდა. „ჰიტის" ვარსკვლავებმა სწორი დასკვნები გააკეთეს მეორე მატჩის შემდეგ და მეტი ყურადღება ფარქვეშ შესვლებს დაუთმეს. საბოლოოდ, სტუმრებმა ბრწყინვალე სპურტი განახორციელეს - 14:4. „მაიამიმ" შვიდქულიანი უპირატესობა მიიღო.

მეორე მეოთხედში ორივე გუნდს ჰქონდა აღმაფრენისა და ჩავარდნის მომენტები. მაყურებელმა ორივე მხრიდან უამრავი გაქცევა იხილა, რითაც ტრიბუნები სხვადასხვაგვარ ემოციებს გამოხატავდნენ. ყველაფერი **დირკ ნოვიცკის** შესანიშნავი თამაშით დაიწყო, რომლის წყალობითაც ტექსასელებმა ოდნავ შეამცირეს ჩამორჩენა. თუმცა სტუმრების პასუხი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო. ამის მიზეზი გახდა „დალასის" რეზერვისტთა საშინელი თამაში **ხუან-ხოსე ბარეას** მეთაურობით. პუერტორიკოელი ჯერჯერობით ძალიან სუსტად გამოიყურება ამ სერიაში, არადა, „მავერიქსში" მისი დიდი იმედი ჰქონდათ.

**უეიდმა** და **ლებრონმა** კარგად შეირგეს მასპინძლების მიერ ბოძებული საჩუქრები. დიდ შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე სტუმრების უპირატესობა უკვე 14 ქულას შეადგენდა, თუმცა წინა მატჩის პერიპეტიების გახსენებისას გამარჯვებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევი იყო. ახლაც, ფლორიდელებმა ოდნავ მოადუნეს ყურადღება, საპასუხო სპურტი მიიღეს და გასახდელში მხოლოდ ხუთქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა. ფლორიდელები ისევ გაიქცნენ, „მავერიქსი" კი მუდმივად ჩამორჩენის გაბათილების მცდელობაში იყო. უნდა ითქვას, რომ გუშინ „მაიამის" ძალიან დაეხმარა **მარიო ჩელმერსი**. გამთამაშებელი თავისი სამქულიანებით მოსვენებას არ აძლევდა ტექსასელებს და წყალში ყრიდა იმ შრომას, რასაც მასპინძლები მოედანზე ეწეოდნენ. მიუხედავად ამისა, „დალასს" ძალიან გაუმართლა იმით, რომ მესამე მეოთხედის შუაში „ჰიტმა" ამოწურა გუნდური პერსონალურების ლიმიტი. ასე რომ, სტუმრების ყველა დარღვევა საჯარიმოს სროლით აღინიშნებოდა. ამის წყალობით კარლაილის გუნდმა ბოლო მეოთხედის წინ თითქმის გაათანაბრა ანგარიში.

მეოთხე მეოთხედის პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, რომ მატჩს დაძაბული ფინალი ექნებოდა. მოედანზე ისეთი ნერვული სიტუაცია იყო, ყოველი შეტევა გადამწყვეტი გეგონებოდათ. მთელი ამ დროის განმავლობაში „ჰიტი" ცდილობდა ახლოს არ მოეშვა „მავერიქსი", რომელიც, თავის მხრივ, დანებებას არ აპირებდა. ბოლო წუთები ნოვიცკისა და დუეინ უეიდის პირად დაპირისპირებად იქცა. დასკვნით ნაწილში საკუთარი გუნდების ქულათა თითქმის ასი პროცენტი მათ თავიანთ ანგარიშზე მიითვალეს.

საფინალო სირენამდე 39 წამით ადრე „ჰიტმა" კარგად გაიყვანა სასროლ პოზიციაზე **კრის ბოში**, რომელმაც საშუალო მანძილიდან აილო ორი ქულა - 86:88. საპასუხო შეტევაში ნოვიცკიმ ვერ გადაწყვიტა - თავად ესროლა თუ პასი გადაეწოდებინა და საბოლოოდ, ბურთი დაკარგა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს მაინც რჩებოდათ შანსი - მთავარი იყო კარგი დაცვა. „დალასმა" მაინც ვერ გააკონტროლა პერიმეტრი, საიდანაც ლებრონმა პრაქტიკულად წინააღმდეგობის გარეშე ისროლა, მაგრამ „მავერიქსისთვის" საბედნიეროდ - ააცილა. ბურთი ნოვიცკიმ მოხსნა.

ბუნებრივია, **რიკ კარლაილმა** ტაიმაუტი აიღო. „დალასს" შეხვედრის გასარჩენად კიდევ 4.4 წამი რჩებოდა, თუმცა ამით ტექსასელებმა ვერ ისარგებლეს. ჰასლემთან ერთი ერთზე დარჩენილმა ნოვიცკიმ მორიგი რთული ტყორცნა შეასრულა, მაგრამ ამჯერად არაზუსტად.

„მაიამიმ" დაიბრუნა საკუთარი მოედნის უპირატესობა და ახლა, „დალასს" უბრალოდ აღარ აქვს წაფორხილების უფლება. საკუთარ კედლებში დარჩენილ ორ მატჩში თუნდაც ერთი წაგება ამ გუნდს თითქმის არ დაუტოვებს სერიის მოგების შანსს.

**დალასი–მაიამი 86:88**

**22:29, 20:18, 22:20, 22:21**

**დ:** ნოვიცკი (34+11 მოხსნა+3 დაფარება), ტერი (15), მერიონი (10+3 პასი), კიდი (9+10 პასი+6 მოხსნა), ბარეა (6), ჩენდლერი (5+11 მოხსნა+3 დაფარება), სტივენსონი (3), სტოიაკოვიჩი (2), მაინმი (2), კარდინალი.

**მ:** უეიდი (29+11 მოხსნა+3 პასი), ბოში (18), ჯეიმსი (17+9 პასი), ჩელმერსი (12), ჰასლემი (6), ბიბი (3), ენტონი (2+6 მოხსნა+2 დაფარება), ჰოვარდი, მილერი.

**სერია: 1-2**



უეიდი ვერ გააჩერეს

ამბები

## დეტროიტმა მწვრთნელი გაუშვა

„დეტროიტ პისტონზის" ახალმა მფლობელმა **ტომ გორესმა** კლუბის შეძენიდან ოთხი დღის თავზე მთავარ მწვრთნელთან **ჯონ კიუსტერთან** გამოთხოვება გადაწყვიტა.

2004 წელს მოპოვებული ტიტულის შემდეგ კლუბი ზედიზედ ექვსჯერ გადიოდა მინიმუმ ნახევარფინალში, მაგრამ ბოლო ორი წელია „პისტონზი" პლეი ოფში ვერ მოხვდა. ამ ორ სეზონში გუნდს სათავეში სწორედ კიუსტერი ედგა.

## ფინიქსი ნეშს გაცვლის

როგორც ამერიკული პრესა წერს, „ფინიქს სანზს" სურვილი აქვს წლევანდელი დრაფტის მეორე ნომრის არჩევის უფლება ჩაიგდოს ხელთ, რომელიც „მინესოტას" ეკუთვნის. ამისთვის არიზონული კლუბის ხელმძღვანელობა „მგლებთან" ტრეიდის გაფორმებას აპირებს, კერძოდ, „სანზი" მზად არის დათმოს თავისი ვეტერანი გამთამაშებელი **სტივ ნეში**.

„ფინიქსს" დრაფტის მეორე ნომერი **დერიკ უილიამსის** ხელში ჩასაგდებად სურს. თუ გარიგება განხორციელდა, „ვულვზს" ორი კალათბურთელის - **ჯონი ფლინისა** და **უესლი ჯონსონის** დათმობა მოუწევს.

## ჟალგირისი იავტოკასს იბრუნებს

კაუნასის „ჟალგირისმა" მომავალი სეზონისთვის ლიტველი ცენტრი **რობერტას იავტოკასი** დაიმატა. 31 წლის კალათბურთელთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

გასული სეზონი 211 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელმა „ვალენსიაში" გაატარა და საშუალოდ ევროლიგაში 7.8 ქულა და 5.3 მოხსნა დააგროვდა.

## აშშ და ესპანეთი ისპარინგებენ

ლონდონის ოლიმპიადის ფავორიტები - აშშ-სა და ესპანეთის ნაკრებები ლონდონის ოლიმპიადამდე აპირებენ ამხანაგური მატჩის გამართვას. ამ მომენტისთვის ორი ქვეყნის კალათბურთის ფედერაცია ასეთი მატჩის ორგანიზებით არიან დაკავებული. შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები გასული ოლიმპიადის ფინალისტები არიან.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის ნაკრები ავტომატურად ხვდება ლონდონის ოლიმპიადაზე, როგორც პეკინის თამაშების გამარჯვებული, ესპანეთს კი ამისთვის მომავალ ევრობასკეტზე პირველ სამეულში მოხვედრა სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჩოგბურთი. ტურნირების წინ

# გრუნტიდან ბალახზე

**კვირას დასრულდა „დიდი სლემის“ რიგით მეორე ტურნირი და უკვე ორ კვირაში ჩოგბურთელები ამ პრესტიჟული კატეგორიის მორიგ ჩემპიონატში ჩაებმებიან. გრუნტის სეზონი ამ კვირიდან ბალახისამ შეცვალა. როლან გაროსის მამაკაცთა ბადის ორივე ფინალისტს ამ კვირას ისევ ვიხილავთ საქმეში.**


ლონდონის კოხტა სტადიონი

## ATP

### AEGON Championships

ლონდონი (ბრიტანეთი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 627 700 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა:*** რაფაელ ნადალი, ენდი მიურეი, ენდი როდიკი, სტანისლას ვავრინკა, ჟო-ვილფრიდ ცონგა, ჟილ სიმონი, ფერნანდო ვერდასკო, მარინ ჩილიჩი...

შარშან ამ ტურნირზე **ენდი მიურეიმ** გაიმარჯვა და ამჯერად მასპინძელი ტიტულის დაცვას ეცდება. მაგრამ ენდის სერიოზული მეტოქე ეყოლება - **რაფაელ ნადალი**, რომელსაც ლონდონში ასევე აქვს ერთი გამარჯვება. სხვა საკითხია, როლან გაროსზე ტრიუმფის შემდეგ მოინდომებს თუ არა ესპანელი თავისი შესაძლებლობების სრულად გამოვლენას.

სხვათა შორის, 1979 წლიდან მოყოლებული ექვსი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ამ ტურნირის გამარჯვებული შემდეგ უიმბლდონის ჩემპიონი გამხდარა. ასე რომ, ჩოგბურთელებს თუნდაც იმისთვის მოუწევთ ბრძოლა, რომ იღბალი საკუთარ მხარეს გადაიბირონ.

ორი აშკარა ფავორიტის გარდა ტურნირზე თავის გამოჩენას ეცდებიან ამერიკელები - **ენდი როდიკი** და **სემ კუერი**. ასევე არ ღირს ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** ჩამოწერა. საერთოდ კი ამ ტურნირისა და მთლიანად კვირის მთავარი მომენტია კორტის საფარის შეცვლა და ის, თუ როგორ გადაიტანენ ამას ჩოგბურთელები.

### Gerry Weber Open

ჰალე (გერმანია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 663 750 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა:*** როჯერ ფედერერი, ტომაშ ბერდიხი, გაელ მონფილსი, მიხაილ იუჟნი, ვიქტორ ტროიცკი, ფლორიან მაიერი, ალექსანდრ დოლგოპოლოვი, მილოშ რაონიჩი...

ბალახზე მეორე ტურნირს ეწვევა როლან გაროსის კიდევ ერთი ფინალისტი **როჯერ ფედერერი**, რომელიც ჰალეში კარიერაში მეექვსედ გამარჯვებას ეცდება. შარშან მან აქ ფინალში ითამაშა, მაგრამ **ლეიტონ ჰიუიტთან** დამარცხდა.

საინტერესო იქნება კანადელი ვუნდერკინდის **მილოშ რაონიჩის** თამაშზე დაკვირვება. სეზონის დასაწყისში მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავი ჰარდის სწრაფ კორტებზე, მაგრამ გრუნტის სეზონში ჩრდილში მოექცა. ახლა კანადელს ისევ ექნება თავის გამოჩენის შანსი.

## WTA

### AEGON Classic

ბირმინგემი (ბრიტანეთი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

***მონაწილეთა შემადგენლობა:*** კაია კანეპი, ანა ივანოვიჩი, შუაი პენგი, დანიელა ჰანტუხოვა, რობერტა ვინჩი, ეკატერინა მაკაროვა, სარა ერანი, არავან რეზაი...

შარშან აქ ჩინელმა **ნა ლიმ** გაიმარჯვა, რომელმაც ფინალში **მარია შარაპოვა** დაამარცხა. მაგრამ როლან გაროსზე გამარჯვების შემდეგ აზიელმა ბირმინგემის ტურნირის გამოტოვება გადაწყვიტა, რაც სავსებით ლოგიკურია. თუმცა ფინალში მისი შარშანდელი მეტოქეც არ ჩადის ტურნირზე.

რაც შეეხება ფავორიტთა ჯგუფს, აქ უნდა შევიყვანოთ **დანიელა ჰანტუხოვა, ანა ივანოვიჩი** და **ეკატერინა მაკაროვა**, რომელიც ბოლო დროს შესამჩნევ პროგრესს განიცდის.

### Danish Open

კოპენჰაგენი (დანია). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 ევრო

***მონაწილეთა შემადგენლობა:*** კაროლინ ვოზნიაცკი, კლარა ზაკოპალოვა, ბეტანი მატეკი, ლუსი საფაროვა, ბარბორა ზახვალოვა, ანასტასია სევასტოვა...

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **კაროლინ ვოზნიაცკი** გარემოებათა მსხვერპლი გახდა და მას ამ კვირას არა ბალახზე, არამედ ჰარდზე მოუწევს თამაში, ისიც დარბაზში.

სხვათა შორის, დანიის დედაქალაქში ასეთი რანგის ტურნირი სულ მეორედ ტარდება და პირველი სწორედ კაროლინმა მოიგო. ასე რომ, მას არ შეეძლო ქვეყნის ღია პირველობის გამოტოვება, რადგან შარშანდელი სარეიტინგო ქულები ჰქონდა დასაცავი.

წესით და რიგით, დანიელს აქ კონკურენტი არ უნდა ჰყავდეს, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კაროს ჩვევია უცნაური წაგებები, მაგალითად, როგორც ეს გასულ როლან გაროსზე მოხდა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| უკრაინა-საფრანგეთი | 1:4 |
| **UNDER 21** | |
| პოლონეთი-საბერძნეთი | 1:2 |
| ბულგარეთი-მაკედონია | 0:0 |
| შვედეთი-სერბეთი | 2:1 |
| დანია-თურქეთი | 4:0 |
| **ტულონის ფესტივალი** | |
| ჩინეთი-მექსიკა | 1:2 |
| საფრანგეთი-უნგრეთი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ლანდსკრონა-ანგელჰოლმი | 0:0 |
| ლიუნგსკილე-იონჩოპინგი | 2:3 |
| **ფინეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| იიპო-პოპა | 1:2 |
| **ირლანდიის თასი** | |
| ფინ ჰარპსი-ლონგფორდი | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| სტიარნანი-გრინდავიკი | 2:1 |
| ვიკინგური-ფილკირი | 1:3 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **თურქეთი** | |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 95:74 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ჰალე** | |
| ნიემინენი-ლუ | 6:7, 3:6 |
| ანდრეევი-სტარაჩე | 6:4, 6:4 |
| სტახოვსკი-ჰერნიხი | 3:6, 7:6, 6:7 |
| კამკე-რაისტერი | 4:3 უარი |
| კოლშრაიბერი-შბეტე | 6:4, 3:6, 6:1 |
| რიბა-დოდიგი | 6:7, 6:7 |
| ჰაასე-დოლგოპოლოვი | 7:6, 4:6, 4:6 |
| **ATP. ლონდონი** | |
| ბერერი-ჰარისონი | 7:6, 2:6, 7:5 |
| ფ. ლოპესი-ტურსუნოვი | 7:6, 6:3 |
| კოქსი-უორდი | 3:6, 1:6 |
| ილჰანი-ჰაიეკი | 6:4, 6:4 |
| კლემანი-პერი | 7:5, 6:3 |
| მაუ-გოლდინგი | 6:3, 6:4 |
| ლოდრა-პოსპიშილი | 6:3, 6:2 |
| შუტლერი-რეინოლდსი | 6:1, 6:1 |
| ბელუჩი-დიმიტროვი | 3:6, 7:6, 6:2 |
| კუერი-ნიშიკორი | 6:3, 6:4 |
| იანგი-ჰაიდერ მაურერი | 6:4, 6:7, 6:2 |
| ბენეტო-ბრანდსი | 6:7, 6:1, 6:4 |
| ბოგომოლოვი-კუნიცინი | 4:6, 6:7 |
| ლუბიჩიჩი-სვიტინგი | 7:6, 6:2 |
| კუკუშკინი-ბოჟოლიაკი | 4:6, 4:6 |
| **WTA. ბირმინგემი** | |
| მიურეი-ტატიშვილი | 5:7, 1:6 |
| გოვორცოვა-ოპრანდი | 6:2, 2:6, 6:4 |
| უოტსონი-სხეპერსი | 6:3, 7:5 |
| ლუჩიჩი-სტივენსონი | 6:3, 7:6 |
| უებლი სმიტი-რიბარიკოვა | 4:6, 3:6 |
| კუდრიავცევა-კორნე | 7:6, 6:1 |
| რაზანო-როდიონოვა | 4:6, 4:6 |
| აოიამა-ვანდევეგე | 2:6, 1:6 |
| მარინო-საუთი | 6:4, 6:1 |
| რისკე-უ. რადვანსკა | 4:6, 6:2, 6:3 |
| გრონერი-იოვანოვსკი | 6:1, 5:7, 6:4 |
| ჩანგი-კირსტეა | 3:6, 3:6 |
| დატე-ლისიცკი | 4:6, 6:7 |
| ერაკოვიჩი-პარა სანტონხა | 6:4, 6:4 |
| ფუჯივარა-პერენი | 6:2, 7:5 |
| ფლიპკენსი-ლერტჩეევაკარნი | 6:1, 6:2 |
| **WTA. კოპენჰაგენი** | |
| პანოვა-ბრიანტი | 7:6, 1:6, 5:7 |
| სავჩუკი-ა. ბონდარენკო | 4:6, 3:6 |
| ვორლი-ზაკოპალოვა | 6:3, 6:2 |
| მარტიჩი-დიატჩენკო | 6:2, 6:2 |
| კუკოვა-ნარა | 6:1, 6:2 |

TV პროგრამა

**7 ივნისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-კოლონი.
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნანსი.
**14:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-კორინთიანსი.
**16:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
**17:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ლაციო.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. სტ.პაული-ბაიერნი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-გოდოი კრუსი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მესამე მატჩი.
**14:30** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nustrum). I ეტაპი. ბარსელონა. ესპანეთი.
**16:30** K1. ბრძოლა წესების გარეშე.
**19:00** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nustrum). I ეტაპი. ბარსელონა. ესპანეთი.
**21:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი“. 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მაკაბი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მესამე მატჩი.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**22:55** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. იტალია-კუბა. შვეიცარია (LIVE).

**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. დალასი-მაიამი. მეოთხე მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**20:25** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-გერმანია. შვეიცარია (LIVE).
**22:40** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. იტალია-ირლანდია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ATP-ის ტური. ჰალე. გერმანია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**18:55** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. უნიქსი-ხიმკი. მეხუთე მატჩი (LIVE).

**SPORT+**

**21:55** ფეხბურთი. ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-ფინეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:30** ველოსპორტი. კრიტერიუმ დოფინე. III ეტაპი. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. II დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. კონკაკაფის ჩემპიონატი - ოქროს თასი. ჯგუფური ეტაპი. პანამა-გვადელუპა. აშშ (LIVE).

მოტოსპორტი

# იოლი და ნერვული გამარჯვება


კეისი სტოუნერი

**კეისი სტოუნერმა** ძალიან იოლად მოიგო კატალონიის გრანპრი, მაგრამ როგორც თავად განაცხადა, ამ რბოლამ გვარიანად ანერვიულა.

კვალიფიკაცია კარიერაში პირველად **მარკო სიმონჩელიმ** მოიგო. მაგრამ სასტარტო ბილიკზე პირველი ადგილი ნახევარი საქმეა - მნიშვნელოვანია კარგი სტარტი. იტალიელმა ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო და სტარტი ჩააგდო. ლიდერობა მესამე ნომერმა **ხორხე ლორენსომ** მოიპოვა, პირველ მოსახვევში მას მიჰყვა სტოუნერი, ხოლო მესამე იყო „იამაჰას“ მეორე პილოტი **ბენ სპისი**. რაც შეეხება სიმონჩელის, ის მეშვიდე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

უკვე პირველივე წრის შემდეგ სტოუნერმა სწორ მონაკვეთზე გაუსწრო მოქმედ ჩემპიონსა და საერთო ჩათვლის ლიდერს და სოლიდური ჰანდიკაპის შექმნა სცადა, იმ დროს, როცა მეოთხე ადგილისთვის დიდი ბრძოლა იყო გამართული **ვალენტინო როსისა** და **ანდრეა დოვიციოზოს** შორის - „დუკატი“ და „ჰონდა“ თითქმის ყველა წრეზე ცვლიდნენ ადგილებს.

სტოუნერი დამაჯერებლად ლიდერობდა, სანამ მე-13 წრისთვის მსაჯებმა ტრასაზე თეთრი დროშები არ გამოფინეს, რითიც მიანიშნეს ეტაპის მონაწილეებს, რომ ტრასა წვიმის გამო თანდათან სველდებოდა. მექანიკოსებმა ბოქსებიდან წვიმისსაბურავიანი მოტოციკლებიც კი გამოიყვანეს, მაგრამ არც ერთი მრბოლელი არ ჩქარობდა მოტოციკლის შეცვლას. ლიდერმა ოდნავ დააგდო ტემპი, თითქოს ტრასის მდგომარეობას ამოწმებდა, მაგრამ ლორენსო წინ მაინც არ გაუშვა, მალე კი ძველი ტემპი დაიბრუნა.

ფინიშამდე არც წვიმა წამოსულა და ლიდერობისთვის ბრძოლაც არ ყოფილა. სტოუნერმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, მეორე-მესამე ადგილებზე „იამაჰას“ წევრები ლორენსო და სპისი გავიდნენ, შემდეგ იყო იტალიური ტრიო - დოვიციოზო, როსი და სიმონჩელი.

ფინიშის შემდეგ სტოუნერმა განაცხადა, რომ ერთი შეხედვით იოლი გამარჯვება საკმაოდ რთული და ნერვული იყო. *„შევძელი მცირე უპირატესობის მოპოვება და მთელი რბოლის განმავლობაში საკმაოდ კომფორტულად ვლიდერობდი. წვიმის საფრთხემ ამანერვიულა - სხვადასხვა მოსახვევში წვეთების ინტენსივობა სხვადასხვაგვარი იყო. არ ვიცოდი, რა ტემპი ჰქონდათ კონკურენტებს, რას გვიმზადებდა ამინდი - ასეთი ზეწოლის ქვეშ იოლია პოზიციის დაკარგვა, მაგრამ საბედნიეროდ, ლიდერობა შევინარჩუნე“,* - აღნიშნა ავსტრალიელმა.

ხუთი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში ლიდერობას ლორენსო ინარჩუნებს, მაგრამ ძალიან მიუახლოვდა მას სტოუნერი - „იამაჰასა“ და „ჰონდას“ პილოტებს მხოლოდ შვიდი ქულა ჰყოფს. ასე რომ, შემდეგ, ეტაპი, რომელიც 12 ივნისს ბრიტანეთის „სილვერსტოუნზე“ გაიმართება, ძალიან საინტერესო უნდა იყოს.

**კატალონიის გრან-პრი**

1. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა“) - 25 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - +2.403; 3. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა“) - +4.291; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - +5.255; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი“) - +7.371; 6. **მარკო სიმონჩელი** (იტა, „ჰონდა“) - +11.831...

**საერთო ჩათვლა**

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა“) - 98 ქულა; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „დუკატი“) - 91; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „ჰონდა“) - 63; 4. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა“) - 61; 5. **ვალენტინო როსი** (იტა, „იამაჰა“) - 58; 6. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი“) - 47...

ჩოგბურთი

# უილიამსები ბრუნდებიან

როგორც ჩანს, დასრულდა დები **უილიამსების** კარიერაში ხანგრძლივი იძულებითი პაუზა, რომელიც ტრავმებით იყო გამოწვეული. უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი ვენუს უილიამსი „დიდი სლემის“ რიგით მესამე ტურნირამდე ისტბურნში გამოვა, რაც ბოლო რეპეტიცია იქნება უიმბლდონის წინ. შეგახსენებთ, რომ ვენუსს ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ არ უთამაშია, როცა მან ბარძაყის ტრავმა მიიღო.

რაც შეეხება სერენა უილიამსს, რომლის პაუზამ უკვე ერთ წელიწადს მიაღწია, ის ასევე შეიძლება ვიხილოთ ისტბურნში. უმცროსი უილიამსის გუნდის ერთ-ერთმა წევრმა **მაკი შილსტოუნმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სერენა უიმბლდონის ტიტულის დაცვამდე გასახურებელ ტურნირს სწორედ ისტბურნში ჩაატარებს. ამ შეჯიბრების ორგანიზატორებს უკვე გამზადებული აქვს უაილდ-ქარდი დებისთვის.


დებს უიმბლდონზე ვნახავთ

როგორც იცით, სერენამ უიმბლდონზე გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე ფეხი გაიჭრა, შემდეგ ფილტვის ემბოლია შეეყარა და მხოლოდ ახლა ჩადგა მწყობრში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩინური ოცნება

რОЛАН ГАРОСИС ფინალში შარშანდელი ჩემპიონის, იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონეს** დამარცხების (6:4, 7:6) შემდეგ 29 წლის ჩინელი **ნა ლი** პირველი აზიელი ჩოგბურთელი გახდა, ვინც „დიდი სლემის" ტურნირი მოიგო.

ნა ლიმ ჩემპიონობისკენ პირველი ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა ბადმინტონის ჩოგანი ჩოგბურთისაზე შეცვალა, არადა, ბადმინტონში შესამჩნევი პროგრესი გააჩნდა. შემდეგ კი უკვე საბოლოოდ არჩეულ გზაზე ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ და თან ჩინური ჩოგბურთის ახალ ისტორიას წერდა. ეს წინსვლა ნელი, მაგრამ მიზანმიმართული იყო.

ლი პირველი ჩინელი ჩოგბურთელი გახდა, ვინც **WTA**-ის ტურის ტურნირი მოიგო (2004 წელს გუანგჯოუში), პირველმა შეაბიჯა პროფესიული რეიტინგის საუკეთესო ოცეულში, შემდეგ ათეულში, პირველმა მიაღწია „დიდი სლემის" ტურნირის ფინალს (ავსტრალიის ღია, 2011) და აი, შაბათს პირველმა მოიგო როლან გაროსი. ამ გამარჯვებამ მას **WTA**-ის რეიტინგის მეოთხე ადგილი მოუტანა და ახლა, მას მხოლოდ სამი ნაბიჯი აშორებს პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელის ტიტულამდე.

ჩინეთისთვის ეს წარმატება იმაზე დიდია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ფინალის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიმ გულწრფელი სიამაყით განაცხადა, რომ ჩინეთის ტელევიზიამ **მარია შარაპოვასთან** მისი ნახევარფინალის პირდაპირ ეთერში საჩვენებლად მაგიდის ჩოგბურთის ტრანსლაციაც კი გადადო. ჩინეთისთვის ეს არნახული ამბავია! წლევანდელი სეზონიდან მოყოლებული ამ ქვეყანაში ჩოგბურთისადმი ინტერესი ათმაგად გაიზარდა, ხოლო რა შეუძლიათ ჩინელ სპორტსმენებს განსაკუთრებული მონდომებისა და ქვეყნის სათანადო მხარდაჭერის პირობებში, ამაში სპორტის სხვა სახეობების მაგალითზე დავრწმუნდით.

როლან გაროსის მსვლელობისას ნა ლი გვერდიდან აკვირდებოდა, როგორ იშორებდნენ ერთმანეთს გზიდან ტურნირის ფავორიტები - **კაროლინ ვოზნიაცკი, კიმ კლაისტერსი, ვერა ზვონარევა, სამანტა სტოსური, სვეტლანა კუზნეცოვა** და სხვები. თავად ჩინელი ჩუმად, შეუმჩნევლად მიიწევდა წინ და გადამწყვეტ მატჩებამდე მთავარ ფავორიტებს შორის არ მოიაზრებოდა.

თუმცა ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ამ სეზონამდე მის თამაშს ძალიან უბრალოსა და პრიმიტიულს უწოდებდნენ. მაგრამ წელს ნა ლიმ ახალი მწვრთნელის, დანიელი **მიკაელ მორტენსენის** მეთაურობით დაიწყო ვარჯიში და ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია, განსაკუთრებით მისთვის აქამდე საძულველ გრუნტზე. მან კორტზე უკეთ მოძრაობა დაიწყო, ისწავლა დარტყმების ვარირება, იყენებდა მოკლე დარტყმებს, უფრო ხშირად გადიოდა ბადესთან... რაც მთავარია, ის საკუთარ ძალებში უფრო დარწმუნებული გახდა და აღარ უშვებდა მატჩების დროს ისეთ ჩავარდნებს, რაც ადრე მისი სავიზიტო ბარათი იყო. შედეგმაც არ დააყოვნა.

■ ■ ■

სკიავონეს დამარცხების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე პარიზული ტრიუმფის შესახებ მსჯელობისას ჩინელმა ჩოგბურთელმა იუმორის კარგი გრძნობაც გამოამჟღავნა.

**- პირველი ჩინელი გახდით, ვინც „დიდი სლემის" ტურნირი მოიგო. როცა ბიორნ ბორგმა იგივე შვედეთისთვის გააკეთა, ამ ქვეყანაში ნამდვილი საჩოგბურთო ბუმი დაიწყო. ელოდებით თუ არა იმავეს ჩინეთში, რომელიც შვედეთზე გაცილებით დიდია?**

- რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ პირველი ჩინელი ვარ, ვინც „დიდი სლემის" ტურნირი მოიგო. ეს ჩინური საჩოგბურთო სკოლის ძალას ადასტურებს. შესაძლოა, საჩოგბურთო თვალსაზრისით დღევანდელი ჩინეთი მართლაც ჰგავს 70-იანი წლების შვედეთს. ჩვენ გვყავს პერსპექტიული მოთამაშეები და ბევრი ბავშვია დაკავებული ჩოგბურთით. მჯერა, რომ ჩინური ჩოგბურთი კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავა.

**- მილიონობით ჩინელი ადევნებდა თვალს თქვენს ფინალს. როდის აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას და როგორ დახვედრას ელოდებით თანამემამულეებისგან?**

- როლან გაროსსა და უიმბლდონს შორის ძალიან მცირე დროა, ასე რომ, ახლა ვერ მოვახერხებ შინ დაბრუნებას - მხოლოდ უიმბლდონის შემდეგ. შესაძლოა, უიმბლდონზე ცუდად გამოსვლის შემთხვევაში ხალხი დაივიწყებს იმას, რაც აქ გავაკეთე (სიცილი დარბაზში). ახლა კი ამ წარმატებას ჩემს გუნდთან ერთად აღვნიშნავ და შემდეგ უიმბლდონზე მოვახდენ კონცენტრირებას.

**- რამდენად დაგეხმარათ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში მიღებული გამოცდილება?**

- რა თქმა უნდა, მელბურნში, სადაც პირველად გავედი „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში, ძალიან გამიჭირდა. არ მქონდა ასეთ საპასუხისმგებლო მატჩებში გამოსვლის გამოცდილება. ამჯერად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, ვემზადებოდი, შესაბამის ფსიქოლოგიურ განწყობას ვიქმნიდი...

ნა ლი კარიერის მთავარი ჯილდოთი



**- რას ნიშნავს იყო „დიდი სლემის" ტურნირის ჩემპიონი? რას გრძნობთ ახლა, როცა დიადი ჩოგბურთელის გვერდით აღმოჩნდით?**

- ჩემი ოცნება რეალობად იქცა. იუნიორთა ასაკში ვოცნებობდი, გავმხდარიყავი „დიდი სლემის" ტურნირის ჩემპიონი - და მე ეს შევძელი. თანდათან ვბერდები, ასეთ ასაკში კი უკვე სხვაგვარად აღიქვამ ახდენილ ოცნებას, ხვდები, რამხელა შრომის ჩადებაა მასში საჭირო. როცა ტაი-ბრეიკზე 6:0 დავწინაურდი, გავიფიქრე: „ახლა მთავარია სისულელე არ ჩავიდინო" (სიცილი დარბაზში). აქამდე არაერთხელ წამიგია მატჩები მატჩბოლებიდან და ახლა ამას არ დავუშვებდი. მოკლედ, ძალიან ბედნიერი ვარ. ბევრ ჩოგბურთელს არ აქვს მოგებული „დიდი სლემის" ტურნირი.

**- თქვენს ახლობლებსა და მწვრთნელს მაისურებზე რაღაც ეწერათ ჩინურად. ხომ ვერ აგვიხსნიდით მათ მნიშვნელობას?**

- ეს მაისურები სწორედ როლან გაროსის წინ კომპანია „ნაიკის" თხოვნით დამზადდა. იქ ეწერა: „იყავი ის, ვინც ხარ". მაშინ მხოლოდ 30 ასეთი მაისურა დაამზადეს, ახლა დამატებითი პარტიის გამოშვება გახდა საჭირო, რადგან ბევრი გულშემატკივარი მეკითხებოდა - ზედმეტი მაისურა ხომ არ მომეპოვებოდა.

**- 2002 წელს ჩოგბურთი მიატოვეთ და უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე დაიწყეთ სწავლა. რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება? გჯეროდათ, რომ დაბრუნების შემდეგ იმდენად გააუმჯობესებდით თამაშს, რომ „დიდი სლემის" ტურნირის ჩემპიონი გახდებოდით?**

- მაშინ მხოლოდ 20 წლის ვიყავი და საჩოგბურთო კარიერა მაინცდამაინც კარგად არ ვითარდებოდა. გადავწყვიტე, რომ საჭირო იყო განათლების მიღება, ყურადღების სხვა რამეზე გადატანა... მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავბრუნებულიყავი ჩოგბურთში.

**- მეორე წრეში გამარჯვების შემდეგ ძალიან გაკვირვებული იყავით იმით, რომ კიმ კლაისტერსი გამოეთიშა ტურნირს. როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ დაგეხმარათ ეს ფაქტორი ფინალში გასასვლელად?**

- სიმართლე გითხრათ, არ დავფიქრებულვარ ამაზე, რადგან კიმი ბადის მეორე მხარეს იყო. ვფიქრობდი მეტოქეზე მესამე წრეში, მეოთხეში და ა. შ. ადრე არაერთხელ მომსვლია ასე - ადრეულ ეტაპზე წამიგია ტურნირი იმის გამო, რომ სავარაუდო ნახევარფინალში ან ფინალში თამაშზე ვიწყებდი ფიქრს.

**- როგორ ემზადებოდით ამ მატჩისთვის ტაქტიკური და ტექნიკურ თვალსაზრისით? ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ძალიან იოლად გაუსწორდით მეტოქის მოჭრილ დარტყმებს.**

- მე აქ ექვსი მატჩი ჩავატარე. რომ არ შემძლებოდა მოჭრილი დარტყმების შესრულება, ფინალშიც ვერ გავიდოდი. გრუნტის კორტებზე ეს თამაშის აუცილებელი ელემენტია.

**- კითხვა სკიავონეს მოჭრილ დარტყმებს ეხებოდა...**

- გასაგებია. იცით, ჩემი მეუღლე ჩემი სპარინგპარტნიორია და მანაც იცის მოჭრილი დარტყმების შესრულება (სიცილი დარბაზში).

**- თქვენმა ნათესავებმა უყურეს მატჩს ტელევიზორში? მაგალითად, დედამ?**

- არა, არ მგონია, რომ მას ამისთვის გაეძლო (იცინის). ჩემმა მეუღლემ მატჩის წინ ჩემს დას დაურეკა და მან გვითხრა, რომ დედასთან ერთად ძალიან ნერვიულობს და ალბათ, ვერ შეძლებს მატჩის ყურებას. მოგვიანებით ჩანაწერს ვაჩვენებთ.

**- ადრე შვედ ტომას ჰოგსტედტთან მუშაობდით, ახლა დანიელი მიკაელ მორტენსენი გავარჯიშებთ. ამ მწვრთნელებთან უფრო კომფორტულია მუშაობა თუ თქვენს მეუღლესთან?**

- ვფიქრობ, მწვრთნელის შეცვლა - ნორმალურია. პრაქტიკულად შეუძლებელია ხუთი-ათი წელი ერთ მწვრთნელთან მუშაობა. ყველა სპეციალისტს აქვს თავისი ღირსება და ნაკლი, თითოეულს შეუძლია რაღაც მისცეს მოთამაშეს, მისი თამაშის დონე აამაღლოს. რა თქმა უნდა, მორტენსენმა ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა.

**- თქვენ რომ ჟურნალისტი გამოსულიყავით, რას დაწერდით ამ შესანიშნავ ჩინელ ჩოგბურთელზე, რომელმაც სულ ახლახან მოიგო როლან გაროსი?**

- ოცნება რეალობად იქცა. ჩინეთს ხომ არასოდეს ჰყოლია „დიდი სლემის" ტურნირების ჩემპიონი. ამიტომაც ბევრი ჩინელი ჩოგბურთელი ძალიან ბევრს შრომობს - მათ ოცნება ამოძრავებთ. ოცნება გამარჯვებაზე.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ უიმბლდონამდე ასეთი ფორმის შენარჩუნებას და ლონდონში წარმატებით გამოსვლას?**

- ჯერჯერობით სკიავონეს რჩევას მივყვები და რამდენიმე დღის განმავლობაში როლან გაროსზე მოპოვებული გამარჯვებით დავტკბები. შემდეგ უკვე კორტის სხვა საფარისთვის მომიწევს ალღოს აღება. უიმბლდონამდე ისტბურნში ვითამაშებ.

## ნა ლი

**დაიბადა:** 1982 წლის 26 თებერვალი

**სიმაღლე:** 172 სმ. **წონა:** 65 კგ. მემარჯვენე

ცხოვრობს ქალაქ უჰანიში

ჩოგბურთში ბადმინტონიდან მივიდა

პროფესიონალი 1999 წლიდან

**WTA-ის 5 ტიტული ერთეულებში:** გუანგჯოუ (2004), გოლდ კოუსტი (2008), ბირმინგემი (2010), სიდნეი (2011), როლან გაროსი (2011)

ავსტრალიის ღიას ფინალისტი: 2011

**WTA-ის 5 ტიტული წყვილებში:** ტაშკენტი (2000), ბირმინგემი (2006)

კარიერის განმავლობაში გამოიმუშავა 6 მილიონი დოლარი

**მეუღლე** - ჟიან შანი (იქორწინეს 2006 წლის 27 იანვარს)

**მწვრთნელი** - მიკაელ მორტენსენი

## ჩოგბურთი. რეიტინგები

### ATP

| | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 12 070 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | [illegible]025 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 230 |
| 4(4). ენდი მიური (ბრიტ) | 6 625 |
| 5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 4 595 |
| 6(7). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 150 |
| 7(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | [illegible]490 |
| 8(9). გაელ მონფილსი (საფ) | 2 780 |
| 9(10). მარდი ფიში (აშშ) | 2 440 |
| 10(11). ენდი როდიკი (აშშ) | 2 200 |
| 11(8). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2 175 |
| 12(15). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 930 |
| 13(16). რიშარ გასკე (საფ) | 1 925 |
| 14(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 920 |
| 15(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 1 875 |
| 16(18). ჟილ სიმონი (საფ) | 1 745 |
| 17(13). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1 740 |
| 18(19). ფლორიან მაიერი (გერ) | 1 600 |
| 19(17). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 480 |
| 20(34). ხუან-იგნასიო ჩელა (არგ) | 1 475 |

### ATP. ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 5 853 733 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 349 439 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 2 283 551 |
| 4. ენდი მიური (ბრიტ) | 1 941 627 |
| 5. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 582 631 |
| 6. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1 165 887 |
| 7. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 797 419 |
| 8. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 779 751 |
| 9. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) | 677 727 |
| 10. რიშარ გასკე (საფ) | 638 776 |
| 11. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 636 897 |
| 12. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 611 470 |
| 13. ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 603 234 |
| 14. ხუან-იგნასიო ჩელა (არგ) | 596 417 |
| 15. ბობ ბრაიანი (აშშ) | 590 920 |
| 15. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 590 920 |
| 17. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 579 592 |
| 18. ფლორიან მაიერი (გერ) | 533 005 |
| 19. ენდი როდიკი (აშშ) | 527 929 |
| 20. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 526 539 |

### WTA

| | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 9 915 |
| 2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 8 215 |
| 3(3). ვერა ზვონარევა (რუს) | 7 935 |
| 4(7). ნა ლი (ჩინ) | 6 475 |
| 5(4). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 920 |
| 6(8). მარია შარაპოვა (რუს) | 5 221 |
| 7(5). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 646 |
| 8(9). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 4 018 |
| 9(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 740 |
| 10(6). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 3 405 |
| 11(12). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 3 280 |
| 12(14). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3 210 |
| 13(13). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 056 |
| 14(15). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 3 055 |
| 15(10). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 050 |
| 16(18). იულია გორჯესი (გერ) | 2 560 |
| 17(16). კაია კანეპი (ესტ) | 2 545 |
| 18(22). იანინა ვიკმაიერი (ბელ) | 2 350 |
| 19(21). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 330 |
| 20(25). შუია პენგი (ჩინ) | 2 240 |

### WTA. ფულადი მონაგარი

| | |
|---|---|
| 1. ნა ლი (ჩინ) | 3 117 713 |
| 2. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 312 066 |
| 3. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 2 031 104 |
| 4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 933 884 |
| 5. მარია შარაპოვა (რუს) | 1 406 125 |
| 6. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 1 371 134 |
| 7. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1 270 551 |
| 8. მარიონ ბარტოლი (საფ) | 964 933 |
| 9. ვერა ზვონარევა (რუს) | 953 161 |
| 10. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 751 079 |
| 11. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 693 628 |
| 12. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 588 739 |
| 13. ფლავია პენეტა (იტა) | 570 468 |
| 14. მარია კირილენკო (რუს) | 542 170 |
| 15. იულია გორჯესი (გერ) | 520 416 |
| 16. შუაი პენგი (ჩინ) | 517 331 |
| 17. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 509 712 |
| 18. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 509 144 |
| 19. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 506 502 |
| 20. ხისელა დულკო (არგ) | 493 662 |

გია თვალაბეიშვილი